

არასამთავრობოების შეტევა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელზე
A2



პრესომბუდსმენი
A8



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები
B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 26 სექტემბერი, 2005 წელი. №213 (1073) — ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება

### განახლებული სკოლები ახალი სასწავლო წლისთვის



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი აგრძელებს მუშაობას თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული განათლების ობიექტების რეაბილიტაციის პროექტზე, რომელიც 22 სკოლის აღდგენა-გამაგრებას ისახავს მიზნად.

A3

## უცხოეთი

### მეხუთე საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში

პირველი საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ



A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 26/09 | 27 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 26 |
| ყვარელი | 23 | 22 |
| სოხუმი | 23 | 22 |
| დმანისი | 20 | 21 |
| გორი | 21 | 21 |
| ონი | 17 | 16 |
| ზუგდიდი | 27 | 25 |
| ახმეტა | 25 | 25 |
| გაგრა | 22 | 22 |
| სამტრედია | 26 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1931 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2472 |
| რუბლი | 0.0632 |

ამბები A 2
საზოგადოება A 3
საზოგადოება A 4
რევიუ A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
საზოგადოება A 8
ტენდერი B 2
ტენდერი B 3
სხვადასხვა B 4

# ფინეთის პრეზიდენტის რჩევები

## ტარია ჰალონენი: სამხრეთ კავკასიასთან უკეთესი ურთიერთობები შეიძლება გვქონდეს

ნიკა თარაშვილი

*ფინეთი, ისევე, როგორც საქართველო, ერთ დროს რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. თუმცა, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მათ ჩვენზე მეტად გაუმართლათ. ამ პატარა სკანდინავიურმა ქვეყანამ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთთან ორი ომი გადაიტანა, მაგრამ სუვერენიტეტი შეინარჩუნა. დღეს "ათასი ტბის ქვეყანა" ევროპული სოციალიზმის, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ეს ქვეყანა, უკვე ათი წელიწადია, შეუერთდა ევროკავშირს და ცხოვრების დონით, განათლების სისტემით, განსაკუთრებით, სოციალური დაცვის გამართული მექანიზმებით მოწინავეთა რიგებშია. 2000 წელს სკანდინავიის ერთადერთ რესპუბლიკაში მეთერთმეტე პრეზიდენტი აირჩიეს. ბუნებრივია, მსოფლიო პოლიტიკაზე არცთუ დიდი გავლენის მქონე სახელმწიფოს მეთაურის არჩევა მნიშვნელოვანი მოვლენა არ იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტი - ტარია ჰალონენი ქალბატონია. ქალი პრეზიდენტი პირველი შემთხვევაა ქვეყნის ისტორიაში. ზეგ ქალბატონი ჰალონენი ორდღიანი ვიზიტით საქართველოს ეწვევა. გასულ კვირას ჰელსინკში საშუალება მოგვეცა, ვიზიტის წინ ფინეთის პრეზიდენტთან საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ევროპის როლზე რეგიონში და, ზოგადად, ევროპულ პოლიტიკაზე გვესაუბრა. ტაირა ჰალონენმა მომავალი ვიზიტის მიზნებზე საუბარი საბჭოთა საქართველოს გახსენებით დიწყო.*

გაგრძელება A8 გვერდზე

# "თქვენ პირველები ხართ!"

დალი კუპრავა

ამას აუწყებდნენ გუშინ სპორტის სასახლეში საქართველოს პირველკურსელებს განათლების მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტი.

**"რომ არა კახა ლომაიას შეუპოვრობა და პრინციპულობა, ცოდნისა და ახალგაზრდის სწორი შეფასება, მე სტუდენტი ვერ გავხდებოდი,"** - ამბობს ანა მამუკელაშვილი, ეროვნული გამოცდების რეიტინგით საქართველოს პირველი სტუდენტი თელავის მეცხრე საშუალო სკოლიდან. ანამ, "მთელი ცხოვრება" ვსწავლობო: **"ეს ჩემთვის დიდი სიხარულია, ერთდროულად ვტიროდი და ვიცინოდი. ჩავაბარე "იესემ"- ში. ეს კარგი ტიპის გამოცდებია, როცა კონტაქტი გაქვს უშუალოდ სამუშაო მასალასთან, რადგან ადამიანთან კონტაქტის დროს გამოცდაზე შეიძლება დაიბნე და სრულად ვერ გამოამჟღავნო შენი თავი."**

გაგრძელება A4 გვერდზე




*შეხვედრა სპორტის სასახლეში.*

# როგორ გადავარჩინოთ უნივერსიტეტი

ნიკო მელიქაძე
*სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი*

*საქართველოში განათლების რეფორმის ერთ-ერთი უშუალო ობიექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც გახდა. ცხადია, უნივერსიტეტი სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს - უნივერსიტეტში შექმნილი ზნეობრივი ატმოსფერო, მისი ინტელექტუალური ცხოვრება რადიკალურად არის შესაცვლელი. ამის მიუხედავად, ამ რეფორმის პირველსავე ნაბიჯებს ქართული საზოგადოება დიდი შეშფოთებით გამოეხმაურა. ეს წერილიც ამგვარი შეშფოთების გამოხატულებაა; კერძოდ, ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრში გვსურს უნივერსიტეტის რეფორმის გააზრების ფორმა მოექცეს; თბილისის უნივერსიტეტის რეფორმა მხოლოდ მისი შინაგანი მოწყობის საკითხი როდია; ყველას ქვეყანაში ინტელექტუალური ცხოვრების ბედზე გვმართებს დაფიქრება.*

გაგრძელება A4 გვერდზე



# ორფოლოს მანევრებით დაზარალებულნი კომპენსაციებს ელიან

სოფო მერაბიშვილი
*ახალციხიდან*

ორფოლოს პოლიგონზე ჩატარებული წვრთნების შედეგად ახალციხის რაიონის მაცხოვრებელთა სავარგულები განადგურდა. ზარალი დათვლილია, თუმცა მისი ანაზღაურების საკითხი ჯერ გაურკვეველია.

2005 წლის ივნის-ივლისში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯავშანსატანკო ნაწილების წვრთნების დროს, ორფოლოს პოლიგონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადაადგილების შედეგად, როგორც ნათესი, ისე სათიბი ფართობები დაზიანდა. დაზიანებული ფართობით, საიდანაც მოსავლის აღება შეუძლებელი გახდა, ახალციხის სამი სოფლიდან - საკუნეთიდან, აწყურიდან და მინაძიდან 17 მოიჯარე სარგებლობდა.

სოფელ საკუნეთის გამგებლის დავით ღვალაძის თქმით, ეს სოფელი ყველაზე მეტადაა დაზარალებული, რადგან პოლიგონს უშუალოდ ესაზღვრება.

10,30 ჰა ფართობზე დათესილი იყო საშემოდგომო ხორბალი, 102 ჰა-ზე - ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი. სოფლის ზარალმა 15 ათას 471 ლარი შეადგინა.

**"ხალხი ძალიან არის დაზარალებული. მათ კარგად იციან, რომ სახელმწიფო დონის მანევრები ჩატარდა, მაგრამ სახელმწიფო მათ მდგომარეობაშიც უნდა შევიდეს. ზარალი მინიმალურად არის შეფასებული, და ეს ხომ მაინც უნდა აგვინაზღაურონ. ხალხმა ეს მიწები იჯარით აიღო. 15 მოიჯარეზე 2000 ლარია გადასახდელი. საიდან უნდა გადაიხადონ, როცა ერთი კილო ხორბალიც არ გამოუტანიათ?! ან კომპესაციები დარიგდეს, ან მიწის გადასახადში გააკეთონ შეღავათები. მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მაქვს, რომ საქმის კურსშია რაიონის გამგეობა, საკრებულო. ალბათ, რაღაც გვეშველება,"** - აცხადებს სოფლის გამგებელი "24 საათთან" საუბრისას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# არასამთავრობოების შეტევა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელზე

*ქუთაისის მერიაში რევოლუციების კარგად ნაცნობი სცენარი მუშაობს, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორი ქალაქისთავიც გადაჰყვა: როდესაც მხარეში ახალი რწმუნებული ინიშნება, როგორც წესი, ამ მოვლენას ამ უკანასკნელის "კეთილი რჩევა" მოსდევს ხოლმე ქუთაისის მერის მიმართ, თანამდებობიდან საკუთარი ნება-სურვილით გადადგომის თაობაზე. თუკი რჩევას ნება არ მოჰყვა, ავანსცენაზე საზოგადოებრივი სექტორის ერთი ნაწილი ინაცვლებს, რომლებსაც ქუთაისში უკვე კარგად იცნობენ, როგორც საკადრო რევოლუციების უცვლელ პერსონაჟებსა და შემსრულებლებს.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

გასულ კვირას, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ გულორდავამ არ გაიზიარა იმერეთის რწმუნებულის "კეთილი რჩევა" თანამდებობიდან ნებით გადადგომის თაობაზე, რის შემდეგაც მოქმედება არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს. გულორდავასა და მისი გუნდის "მაკომპრომეტირებელი" მასალები "ახალგაზრდა ეკონომისტებმა" და ასოციაცია "საჩინომ" 23 სექტემბერს ჯერ მერიის საინფორმაციო დაფაზე გამოაკრეს, შემდეგ პროკურატურაში გაგზავნეს.

ასოციაცია "საჩინომ" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის ფილიალმა" ქუთაისის მთავრობის საქმიანობაში სისხლის სამართლის დანაშაულები, როგორიცაა მითვისება, გაფლანგვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება, ქუთაისის 2005 წლის ბიუჯეტის მონიტორინგის დროს აღმოაჩინეს. მონიტორინგს აღნიშნული ორგანიზაციები "ევრაზიის ფონდის", USAID-ისა და ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რთველის პირველი კვირა

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სიმონიშვილი "რთველი 2005"-ით კმაყოფილია. მინისტრი მიიჩნევს, რომ მის უწყებაში გატარებულმა რეფორმებმა შედეგი გამოიღო. მიხეილ სვიმონიშვილის თქმით, ფალსიფიკაციასთან ბრძოლამ ხელი შეუწყო გლეხის მოსავლის დაბინავებას. **"მე ვთვლი, რომ რა ღონისძიებებიც ტარდება სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში, მართებულია. ასე რომ, უნდა ითქვას, გასულ წლებთან შედარებით, მეღვინეობაში და მევენახეობაში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

"რთველი 2005" ერთი კვირაა, რაც დაიწყო. გლეხებს კი მთავრობის მიმართ პრეტენზიები აქვთ. კახელი მევენახეების გულისწყრომას ყურძნის დაბალი ფასები იწვევს. აქ რქაწითელის ჯიშის ყურძენი 20 დან 30 თეთრამდე ღირს, ხოლო საფერავის ფასი 95 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობს.

პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ ღვინის ქარხნების ხელმძღვანელებსაც აქვთ. მათი განცხადებით, მეწარმეებს ყურძნის მიღებაში ხელს შუქის მკაცრი გრაფიკი უშლის. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას სოფლის მეურნობის მინისტრი ღვინის ქარხნების დირექტორებს კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ საგანგებო თათბირზე დაჰპირდა. მიხეილ სვიმონიშვილი კი დედაქალაქში ჩასვლას მანამ არ გეგმავს, სანამ კახეთში რთველი არ დასრულდება.

**24 საათი**

# იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ბრალდებებს ეხმაურება

იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს ბრალდებებს ეხმაურება და განმარტავს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო განყოფილებებს ლიცენზია არ სჭირდებათ.

როგორც ცნობილია, შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე მონიტორინგის საბჭოს წევრებმა - კერძოდ, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებებს სამედიცინო ლიცენზია არ გააჩნიათ.

მისივე თქმით, ლიცენზია აქვს მხოლოდ ერთ დაწესებულებას - ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, რომელიც გაცემულია 2002 წლის 24 ოქტომბერს.

**"ჩვენ მოვითხოვეთ, რომ სამედიცინო დაწესებულებების შემოწმება ხდებოდეს ინსპექციისა და, ასევე, უშუალოდ ხარისხის ინსპექციის მიერ, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროში არსებობს,"** - აღნიშნა თუთბერიძემ.

მისი თქმით, აღმოჩნდა, რომ არც ერთი ინსპექციის მიერ არ მომხდარა ლიცენზიის გაცემის შემდეგ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს შემოწმება.

იმავე პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ანა დოლიძემ განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო სისტემა არალეგალურ მდგომარეობაში ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რა მასალებს აგზავნის პროკურატურაში და რა ბრალდებებს უყენებს იუსტიციის მინისტრი ზედამხედველობის მონიტორინგის საბჭოს და სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს რამაზ ღულაძეს პატიმრების ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით.

**"იუსტიციის სამინისტროში საერთოდ არ არსებობს სამედიცინო დახმარების გაწევის სამართლებრივად გამართული სისტემა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაც ხდება იუსტიციის სამინისტროში. კემულარია არ არის საქმის კურსში, რა ხდება მის დაქვემდებარებაში, ხოლო რასაც ის საბჭოს მიმართ აკეთებს, განპირობებულია მისი პირადი ანგარიშსწორებით. პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე იუსტიციის მინისტრია,"** - აღნიშნა დოლიძემ.

სწორედ ამ ბრალდებებს გამოეხმაურა გუშინ იუსტიციის სამინისტრო. სამინისტროს მიერ გავრცელებული ცნობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სამედიცინო განყოფილებებს საქმიანობის ლიცენზია არ სჭირდება, ვინაიდან პაციენტები იქ მხოლოდ ამბულატორიულად მკურნალობენ.

იუსტიციის სამინისტრო იუწყება, რომ ამის თაობაზე განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა, რაც იუსტიციის სამინისტროს მისამართით გაკეთებული კიდევ ერთი ცილისმწამებლური განცხადების პასუხია. მინისტრის თქმით, ლიცენზია მხოლოდ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას აქვს, სადაც პატიმრებს სტაციონარულად მკურნალობენ.

**"პრესკონფერენციის ორგანიზატორები ან ვერ ერკვევიან მათ მიერ დასმულ საკითხში ან შეგნებულად, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ცრუ ინფორმაციის გამოყენებით, ცდილობენ იუსტიციის სამინისტროს დისკრედიტაციას,"** - განმარტავენ იუსტიციის სამინიტროში.

თავის მხრივ, მონიტორინგის საბჭოს წევრები ამ პასუხით, ცხადია, არ კმაყოფილდებიან და შემდგომი მოქმედების გეგმაც აქვთ.

**"ჩვენი საბჭო გენერალურ პროკურატურაში სარჩელს შეიტანს მოთხოვნით, დაიწყოს გამოძიება აღნიშნულთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალები გადაეცემა გენერალურ პროკურატურას; ასევე, მივმართავთ სანიტარული ინსპექციის უფროსს დავით მესხიშვილს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში სანიტარული შემოწმება ჩატარდეს,"** - აცხადებს თეა თუთბერიძე.

**24 საათი**

# შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოვლენილ კანონდარღვევათა ნუსხას აქვეყნებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 8 თვეში დარეგისტრირებულ კანონდარღვევათა ნუსხას აქვეყნებს.

როგორც სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, მიმდინარე წლის 8 თვეში სულ 2358 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა რეგისტრირებული, რომელთა შედეგადაც 376 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 3495 ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 506 სამართალდარღვევის ფაქტია გამოვლენილი, მათ შორის, სისხლის სამართლის ხაზით - 504 ფაქტი, ხოლო ფინანსური ხაზით - 2.

ამავე პერიოდში პოლიციამ 3 170 ლარის საქონელი ამოიღო და საფინანსო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის გადასცა.

2005 წლის 8 თვეში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოების მიერ 1279 სამართალდარღვევის ფაქტია გამოვლენილი, მათ შორის, სისხლის სამართლის - 518, ხოლო ფინანსური სამართალდარღვევის - 761 ფაქტი; ამოღებულია და საფინანსო ორგანოებზე რეაგირებისათვის გადაცემულია 1 572 746 ლარის საქონელი.

ამავე პერიოდში საქართველოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის ხაზით გამოვლენილია 1785 ფაქტი, მათ შორის - 92 ყაჩაღობის, 109 ძარცვის, 15 მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის, 259 ქურდობის, ქურდობის მცდელობის, 60 სხეულის დაზიანების, 52 გატაცება-გატაცების მცდელობა-გატაცებული ავტომანქანის ამოღების, 118 ხულიგნობის, 36 იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარების, 77 პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის, 18 ქონების დაზიანების, 108 ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების, 763 ეკონომიკური სახის სამართალდარღვევების და 79 სხვა სახის დანაშაულის ფაქტი.

2005 წლის 8 თვეში შს სამინისტროს მიერ გამოვლენილია 763 ეკონომიკური სამართალდარღვევის ფაქტი, რის შედეგადაც საფინანსო ორგანოებს 1575916 ლარის საქონელი გადაეცათ.

**24 საათი**

# პატიმარი ქალები ამნისტიის მოთხოვნით შიმშილობის დაწყებას აპირებენ

ქალთა საპყრობილეში 50-მდე პატიმარი ქალი დღეიდან ამნისტიის მოთხოვნით შიმშილობის დაწყებას აპირებს. ბრალდებულ იანა ხუციშვილის განცხადებით, ციხეში მრავალშვილიანი, ინვალიდი, ფეხმძიმე და ფსიქიკურად შეშლილი ქალები სხედან.

**"ჩვენ ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს; სასამართლოსი არ გვჯერა. ჩვენთან შეხვედრას გეგმავდნენ ელენე თვდორაძე და სოზარ სუბარი, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ციხეში მოვკვდებით თუ შიმშილით,"** - აღნიშნა ხუციშვილმა.

მისი თქმით, მომავალში მათ ეტაპობრივად შეუერთდებიან სხვა მსჯავრდებულებიც, რადგან "სხვა არჩევანი არ აქვთ".

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთის მთავრობის მიმართვა

ძვირფასო თანამემამულენო!

დიდი გულისტკივილით, უმძიმესი განცდებით ხვდება სრულიად საქართველო ჩვენთვის ავადმოსაგონარ თარიღს - 27 სექტემბერს. თორმეტი წელია, გვენატრება ჩვენი ძირძველი კუთხე, ჩვენი წინაპრების საფლავები თორმეტი წელია, ძილსა თუ სიფხიზლეში აფხაზეთი უდგას თვალწინ ათასობით დევნილს.

წლები გაილია მონატრებაში, მოლოდინში. თაობები წამოიზარდა, რომლებიც მხოლოდ მშობლებისგან იცნობენ აფხაზეთს, თუმცა არანაკლებ უყვართ და იზიდავთ ის მიწა-წყალი, სადაც მათი ფესვებია.

სამწუხაროდ, ბოლო დრომდე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვერ გადაიდგა აფხაზეთის პრობლემის ღირსეულად გადაჭრისთვის, რამაც გარკვეული უიმედობა გამოიწვია. თუმცა, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს მოლოდინის წლები დევნილობაში, ის აუცილებლად შეიცვლება საკუთარ სახლში დაბრუნების სიხარულით. ამის იმედს ჩვენ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ახალი სამშვიდობო ინიციატივები გვაძლევს. დღეს საქართველოს მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მშვიდობიანი გზით მოგვარდეს კონფლიქტი, რადგან ომი ახალ მსხვერპლსა და სისხლისღვრას გამოიწვევს, საქართველოს კი არა ჰყავს გასამეტებელი შვილები არც ერთი მხრიდან. მისი მკვიდრია აფხაზიც და ქართველიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს, ერთი ჰქონდათ ჭირიც და ლხინიც.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ სულ მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როცა ჩვენს მშობლიურ კერას დავუბრუნდებით, მუხლს მოვიდრეკთ დაღუპულთა საფლავებთან და ჩვენ წილ ლოცვასა და ცრემლს მივაგებთ მათ სულებს. ამისთვის ჩვენი ერთიანობა, ერთი მიზნისკენ სწრაფვა და ურთიერთთანადგომაა საჭირო. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს 27 სექტემბერი - "ხსოვნისა და იმედის" დღე.

# ორფოლოს მანევრებით დაზარალებულნი კომპენსაციებს ელიან

პირველი გვერდიდან

თუმცა, რაიონის გამგეობაში ამ პრობლემის ღრმად მცოდნე ძნელი მოსაძებნი აღმოჩნდა.

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილის სერგო ბარძიმაძის თქმით, რაიონის გამგეობის დავალებით, ზარალის დასადგენად კომისია შეიქმნა, რომელმაც 2005 წლის 21 ივლისს ზარალის ოდენობა დაადგინა. სულ, ნათესები და სათიბები 189,7 ჰექტარზე განადგურდა, და მოსავლის მიღება შეუძლებელი გახდა. აღნიშნულ ფართობზე დათესილი იყო სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი. ზარალმა 30 ათას 151 ლარი შეადგინა. შედგენილი აქტი რაიონის გამგეობას გაეგზავნა.

თუმცა, იმის გარკვევა, რა ბედი ეწია ამ აქტს და აპირებს თუ არა ვინმე მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურებას, ახალციხის რაიონის გამგეობაში შეუძლებელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ზარალის ოდენობა დაზუსტდა, ორი თვე გავიდა, დაზარალებულებმა კი ჯერ არაფერი იციან იმის შესახებ, მიეცემათ თუ არა კომპენსაცია და რა სახით გაიცემა იგი.

# არასამთავრობოების შეტევა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელზე

ქუთაისის ბიუჯეტის მონიტორების მტკიცებით, 2005 წლის ექვს თვეში მათ 836 ათას 147 ლარის არამიზნობრივი ხარჯი აღმოაჩინეს და ამის საილუსტრაციოდ 20 კონკრეტული ფაქტიც წარმოადგინეს. წარმოდგენილი ფაქტების შეფასებაში, რომლებიც უშუალოდ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს ეხება, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყველაზე ხშირად მიუთითებენ, რომ გულორდავა ქუთაისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს არასწორად იყენებს. აღნიშნული ფონდიდან 2005 წლის 17 აგვისტოს გაცემულია 9 ათას 364 ლარი ქუთაისის განათლების განყოფილების უფროსი ინსპექტორ-ორგანიზატორისა და პედაგოგ-ორგანიზატორთა სახელფასო დავალიანების დასაფარად.



*მონიტორინგის შედეგებს მერიაში აკრავენ.*

**"ეს თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა, რადგან საკრებულომ იმის გამო, რომ მაშინ დაპირისპირებული იყო ჩვენთან, დაგვავალა, აღგვედგინა ეს სამსახური და გაგვეცა ხელფასები. ეს კიდევ უფრო გაამაგრა სასამართლო გადაწყვეტილებამ, რომელიც საბოლოოა და დაგვევალა, რომ ამ ადამიანებისათვის სახელფასო განაცდურის ხარჯი აგვენაზღაურებინა. ბუნებრივია, ეს არის დაუგეგმავი საგანგებო ხარჯი, რომელიც არსად არ დევს. სარეზერვო ფონდი სწორედ იმისათვის არის, რომ ასეთი ხარჯები გაიცეს,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

გულორდავას კომპრომატებს შორის ვხვდებით ინდმეწარმე გია გოქაძესთან ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაზე გაფორმებულ ხელშეკრულებასაც ისეთ ჟურნალებზე, როგორიცაა "სარკე", "თბილისელები" და "ზა რულიომ". არასამთავრობოების ინფორმაციით, ასევე, ი/მ გია გოქაძესთან მიმდინარეობს თვითმმართველობის საინფორმაციო ორგანოს - "ჩემი ქუთაისის" შეძენა, რომელიც ასევე, ბიუჯეტიდან ფინანსდება. "24 საათთან" საუბარში გია გოქაძე აცხადებს, რომ აღნიშნული ჟურნალებისა და გაზეთ "ჩემი ქუთაისის" გამოწერაზე ხელშეკრულება სწორედ ბესიკ გულორდავას მერად დანიშვნის შემდეგ გაუქმდა.

კიდევ ერთი ბრალდება გულორდავას სამსახურებრივი მანქანის საწვავის ხარჯს ეხება, რომელმაც არასამთავრობოების მტკიცებით, ერთ თვეში 1232 ლარი შეადგინა. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი განმარტავს, რომ თბილისში ერთი მივლინებისთვის მას 110 ლიტრი ბენზინი გამოეყოფა. იმ თვეში კი, რომელზეც არასამთავრობოები მიუთითებენ, ქალაქისთავმა სამი ასეთი მივლინება განახორციელა.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ მიმართული ნაცნობი კამპანია, ცხადია, არც გულორდავას შემთხვევაში ჩაივლიდა რესტორნის მენიუსა და მთავრობის სადილ-ვახშმების ხარჯების აფიშირების გარეშე, რადგან წელიწადნახევრის წინ იმავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საზოგადოებას მაშინდელი მერის ნუგზარ ფალიანისა და მისი მთავრობის რესტორანში ქეიფის ამსხაველი მენიუ და ქვითრები წარუდგინეს.

**"თვითმმართველობის ჩინოვნიკები ქეიფობენ, დროს ატარებენ, ასევე, თავიანთი ახლობლების დაკრძალვაზე დადიან და ყვავილებსაც კი ბიუჯეტის თანხებით ყიდულობენ,"** - აცხადებს ქუთაისის "ახალგაზრდა ეკონომისტების" თავკაცი კახა გვანცელაძე "24 საათთან" საუბარში.

არასამთავრობოების მტკიცებით, გულორდავას მთავრობას რესტორნებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში 8 ათასი ლარი აქვს გახარჯული, ყვავილების შეძენაში კი (მათ შორისაა "სარიტუალო ყვავილები") - 1000 ლარი.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს, რომ ოფიციალური სადილებისათვის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მთავრობას 3 ათას 400 ლარი აქვს დახარჯული. ქუთაისის კულტურის სამსახურის საბუღალტრო დოკუმენტაციაში კი ყვავილების შეძენაზე მხოლოდ 200 ლარის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. რაც შეეხება "ახლობლების" დაკრძალვაზე ვოიაჟების ხარჯებს, აქ საქმე ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორის თენგიზ ჭუმბურიძის დაკრძალვაზე ქუთაისის კულტურის სფეროს მუშაკების მგზავრობას ეხება ქუთაისიდან თბილისში, რომელზეც კულტურის სამსახურს 600 ლარი აქვს დახარჯული.

**"უბრალოდ, სასაცილოა ყველა ეს ბრალდება, რადგან ამ ადამიანებმა შეამოწმეს ის ეტაპი, როცა თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში. "ახალგაზრდა ეკონომისტების" ერთ-ერთი ლიდერი ბესო ბრეგაძე ქალაქის პრემიერი იყო, რომლის პირველი მოვალეობა სწორედ ბიუჯეტის კურირება იყო. მათი მხრიდან, ეს არის სუფთა პოლიტიკური პროვოკაცია და ეს კარგა ხანია, გასცდა გრანტის პროექტის ფარგლებს,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს, რომ აღნიშნული ჯგუფი კონკრეტული ძალების პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს, რადგან მათი გააქტიურება პრეზიდენტის რწმუნებულის შეთავაზებას საეჭვოდ დაემთხვა.

"ახალგაზრდა ეკონომისტების" მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივი უზუსტობებია. მაგალითად, დასკვნაში ვკითხულობთ, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებით, თვითმმართველობის კომუნალური ხარჯებისათვის დამტკიცდა 25 ათასი ლარი წლის განმავლობაში, თვითმმართველობის აპარატის მიერ მოწოდებული ოფიციალური პასუხით კი, ექვს თვეში კომუნალური ხარჯებისათვის გახარჯულია 30 ათას 576 ლარი.

**"საკრებულოს მიერ განხორციელებული ცვლილებით, ეს ხარჯი 25 ათასი ლარიდან გაზრდილია 51 ათას 600 ლარამდე. ასე რომ, გამორიცხულია, ბიუჯეტში დამტკიცებული ასიგნება გადაჭარბებული იქნას,"** - აცხადებს ქუთაისის საფინანსო სამსახურის უფროსი ტარიელ მაკარიძე.

ამ ინფორმაციის მიღება არც "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებს უნდა გასჭირვებოდათ, რადგან მათი წარმომადგენელი კოტე ქავთარაძე ამჟამადაც საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობს.

ქუთაისის ამჟამინდელი მთავრობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია - "დახმარების საერთაშორისო ფონდი" გამოეხმაურა. ამ ფონდში ადრე ამჟამინდელი ვიცე-რწმუნებული გიგა შუშანია თანამშრომლობდა, ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი კი მერიის ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის უფროსი - თემურ სულაძე გახლავთ.

ფონდის დირექტორი დავით სარალიძე "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ სუფთა ენთუზიაზმით შეუდგა ქუთაისის 2004-2005 წლების ბიუჯეტის სოციალური სფეროს ხარჯების მონიტორინგს, თუმცა არ მალავს, რომ მონიტორინგის დაჩქარება გულორდავას წასვლის თაობაზე გავრცელებულმა მითქმა-მოთქმამ გამოიწვია: **"გულორდავა აცხადებს, რომ სხვა თანამდებობაზე უნდა გადასვლა. მე მოვუწოდებ ყველას, პირველ რიგში, მივმართავ ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს, რომ ამ ადამიანებმა, რომლებიც სახელმწიფო სამსახურებში იყვნენ და დაარღვიეს კანონი, შესაბამისად აგონ პასუხი, და ხვალ და ზეგ კიდევ ნუ მოგვევლინებიან სხვადასხვა თანამდებობებზე,"** - აცხადებს სარალიძე.

მონიტორინგის შედეგად, "დახმარების საერთაშორისო ფონდის" წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს, რომ 2005 წლის პირველ ექვს თვეში მრავალშვილიანი დედებისადმი, განსაკუთრებით, გაჭირვებული მოქალაქეებისადმი დახმარებისა და სამამულო ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის სარიტუალო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯებიდან 19 ათას 740 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი. ამასთან, ქუთაისის მერიის ჯანდაცვის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სიებში არის გაორება, ასევე, მითითებულია ისეთი პირები, რომლებსაც ფული არ აუღიათ და არიან ისეთებიც, რომლებიც მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობენ.

სიებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გამო, სამსახურიდან უკვე გათავისუფლდა ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გია ოყრეშიძე. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი, სხვა დარღვევების დასაბუთების შემთხვევაში, საკადრო ცვლილებებს ზემდგომებისა და სხვა სამსახურების ხელმძღვანელების მიმართაც გეგმავს. ქუთაისის საფინანსო სამსახურში კი აცხადებენ, რომ ბრალდება ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის თაობაზე აბსურდულია, რადგან ეს დოკუმენტაცია მათთან არსებობს.

ბრალდებების გასაფანტად, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი მერიის ბუღალტერიის ერთდროულ შემოწმებას ითხოვს ფინანსური პოლიციისგან, საგადასახადო ინსპექციისგან და აუდიტისგან. ამასთან, გულორდავა "ახალგაზრდა ეკონომისტებსა" და ასოციაცია "საჩინოს" ცილისმწამებლური და დამახინჯებული ფაქტების გავრცელებისთვის სასამართლოში უჩივის, ასევე, რეაგირებისთვის მიმართავს მათ დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებს. არასამთავრობოები მათ მიერ მოპოვებული ბრალდებების სამართლებრივ შეფასებას პროკურატურისგან მოითხოვენ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას კი რწმუნებულისგან და პრეზიდენტისგან ელიან.

# მოლაშვილი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, ქართველი ადვოკატების მიერ შეტანილ სარჩელზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ორ დღეში გამოაცხადებს.*

დღეს კი სულხან მოლაშვილის ინტერესების დამცველები თბილისის საოლქო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ცოტა ხნის ♠წინ გამოტანილ განაჩენს გააპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებისთვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მითვისება-გაფლანგვისთვის ბრალდებულ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შეგახსენებთ, რომ პროკურატურის მიერ მოლაშვილისთვის სასჯელის ზომად მოთხოვნილ ათ წელიწადს მოსამართლემ მხოლოდ ერთი წელი მოაკლო.

სხვათა შორის, სულხან მოლაშვილის პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერების შესახებ გადაწყვეტილება ევროსასამართლოს აგვისტოში უნდა გამოეტანა. მსჯავრდებულის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შემაჯამებელი პროცესის გადადება ევროსასამართლოს 27 სექტემბრისთვის მოთხოვა, რათა ამ პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოქვეყნება მოესწრო. სულხან მოლაშვილის ინტერესების დამცველები აცხადებენ, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ განაჩენი ხელისუფლების ზეწოლით, საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შედეგად გამოიტანა, რათა სტრასბურგის სასამართლოს მეშვეობით არ მომხდარიყო მოლაშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება.

**"სტრასბურგის სასამართლოში თვეების წინ შეტანილმა სარჩელმა აქტუალურობა მას შემდეგ დაკარგა, რაც თბილისის საქალაქო სასაამრთლომ მოლაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. თუმცა, არ არის გამორიცხული, ევროპელმა მოსამართლეებმა ნაწილობრივ მაინც დააკამაყოფილონ ჩვენი სარჩელი, რადგან სასამართლოს საბოლოო განაჩენი ჯერ კიდევ ძალაში არ არის შესული,"** - აცხადებს ადვოკატი შალვა შავგულიძე.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც საქალაქო სასამართლომ სულხან მოლაშვილს განაჩენი გამოუტანა, სტრასბურგის სასამართლოში ახალი დოკუმენტაცია გაიგზავნა. დაცვის მხარემ მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაშვებულ დარღვევებზე ახალი ინფორმაცია მიაწოდა ევროპულ სასამართლოს.

**"სულხან მოლაშვილს გულის იშემიური დაავადება, თირკმლის, ღვიძლის პრობლემები და სხვა მძიმე დაავადებები აწუხებს. მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია სტრასბურგის სასამართლომ თავად მოითხოვა,"** - აცხადებს ადვოკატი სოსო ბარათაშვილი.

ერთი სიტყვით, ვიდრე თბილისის საოლქო სასამართლო სულხან მოლაშვილისთვის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის სამართლიანობაზე დაიწყებს მსჯელობას, ცნობილი გახდება ყოფილი მაღალჩინოსნის წინასწარი პატიმრობის კანონიერება-არაკანონიერების შესახებ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

**24 საათი**

## "ენგურჰესის" "ევრორემონტი" გრძელდება

გუშინ გერმანულმა კომპანია "დსდ დილინჯერმა" "ენგურჰესის" თაღოვან კაშხალზე მისაყრდნობი ფარის დამონტაჟება დაიწყო. ფარის 180 მეტრის სიღრმეზე ჩაშვების პროცესს 5-6 დღე სჭირდება. სამაგიეროდ, მისაყრდნობი ფარის დამონტაჟების შემდეგ, "ენგურჰესზე" წელიწადში 700 მილიონი კილოვატსაათის ეკვივალენტი წყლის დაზოგვა გახდება შესაძლებელი.

სხვათა შორის, თაღოვან კაშხალზე მისაყრდნობი ფარის ჩაშვებისა და დამონტაჟების პროცედურას "დსდ დილინჯერი" თავის საპრეზენტაციო ფილმში გამოიყენებს. შესაბამისად, 24 სექტემბერს დაწყებულ ღონისძიებას სპეციალური აპარატურით გადაიღებენ.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 38,7 მლნ. დოლარი 1999 წელს გამოყო. ქართულმა მხარემ თანადაფინანსებისთვის 14 მლნ. დოლარი უნდა გამოყოს.

თავის მხრივ, 10 მლნ. ევროს ოდენობის გრანტი ევროკომისიამ გაიღო, აქედან, 5 მილიონი - "ენგურჰესის" თაღოვანი კაშხლის მისაყრდნობი ფარისა და მისი ამწე მექანიზმის შესყიდვისთვის გამოიყო. ამ სამუშაოს, ტენდერში გამარჯვების შემდეგ, გერმანული კომპანია "დსდ დილინჯერ სტაჰლბაუ" ახორციელებს.

## საქართველოში გულის საერთაშორისო დღე აღინიშნა

სექტემბრის თვის ბოლო კვირას მსოფლიო გულის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. საქართველოში გულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მეხუთე წელია ტარდება. რესპუბლიკის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე გუშინ მოწყობილი კროსი, რომელშიც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, სწორედ გულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახლდათ. სპორტული შეჯიბრის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. მოგვიანებით კი, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" კონფერენცია ჩატარდა, სადაც ლექცია ქართველ ექიმებთან ერთად უცხოელმა კარდიოლოგ-ანგეოლოგებმაც წაიკითხეს.

გულის საერთაშორისო დღე ქართველ ექიმებთან ერთად მათმა ავსტრიელმა კოლეგამ პიტერ პიხლერმაც საქართველოში აღნიშნა. საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ავსტრიელმა ექიმმა 6 ოპერაცია "გულის ფონდში", შპს "ადაპტის" კლინიკაში ჩაატარა, რომელიც ქავთარაძის ქუჩაზე, "ლეჩკომბინატის" შენობაში მდებარეობს. შპს "ადაპტის" კლინიკა, დაახლოებით 2 თვის წინ, ახალი აპარატურით აღიჭურვა, უახლოეს მომავალში კი კიდევ ახალი ანგიოგრაფიული აპარატი შეემატება, რაც კლინიკის ხელმძღვანელობის თქმით, ექიმებს დაკისრებულ მისიას ბევრად გააადვილებს.

24 საათი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე ეუთოს დამკვირვებლების ევროკავშირის წარმომადგენლებით ჩანაცვლების საკითხზე დღეს საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელთან, გენერალ-ლეიტენანტ ბადრი ბიწაძესთან იმსჯელებენ.

ბიწაძე ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტიეს შეხვდება. შეხვედრა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ხვალ 11.00 საათზე დაიწყება.

საქართველოში უკვე იმყოფება ევროკავშირის სპეციალური, შემფასებელთა ჯგუფი, რომელიც თბილისში რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ შაორჰესის" 50 წლის იუბილე პომპეზურად აღინიშნა. ღონისძიებაში საქართველოს ენერგეტიკის და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ასევე საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ. როგორც სააგენტოში აცხადებენ, ამ ეტაპზე ჰესის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მილიონი ლარი გამოიყო. სარემონტო სამუშაოები ჰესის ოთხივე აგრეგატს უტარდება. "შაორჰესი" 40 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. "რეაბილიტაციის შედეგად "შაორჰესის" საიმედობა მნიშვნელოვნად გაიზრდება," - განაცხადეს საწარმოთა მართვის სააგენტოში. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის" სააგენტოს თანამშრომლებს ევროსაბჭოს იურისტები 26-28 სექტემბერს ტრენინგებს ჩაუტარებენ.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულების "პარტნიორობა+თანამშრომლობის" განხორციელებას. პირველი სემინარი დღეს საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლების ფონდის დარბაზში გაიმართება, სადაც ევროპის კონკურენციის პოლიტიკაში იურიდიულ და ინსტიტუციური მშენებლობის საკითხებს განიხილავენ. ტრენინგს ევროკავშირის უფროსი, იურიდიული ექსპერტი-ჰანს იურგენ ზაჰორკა წარუძღვება. მეორე სემინარი 28 სექტემბერს ჩატარდება, რომელზეც ევროპის კავშირში საკონკურენციო პოლიტიკის ეკონომიკურ ასპექტებსა და გარდამავალი ქვეყნების გამოცდილების შესახებ ისაუბრებენ. სემინარს საფრანგეთის, გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორი, ევროკავშირის უფროსი ეკონომიკური ექსპერტი ივან სამსონი წარუძღვება. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# განახლებული სკოლები ახალი სასწავლო წლისთვის

## სსიფ მიწისძვრით დაზიანებული სკოლების რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს

*საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი აგრძელებს მუშაობას თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული განათლების ობიექტების რეაბილიტაციის პროექტზე, რომელიც 22 სკოლის აღდგენა-გამაგრებას ისახავს მიზნად.*
*შეგახსენებთ, რომ თბილისში მიწისძვრით დაზიანებული სკოლების რეაბილიტაციის პროექტი საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის 2003 წლის 2 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით (შესაბამისად, 5 მლნ. და 1,2 მლნ. აშშ დოლარი) ხორციელდება. პრიორიტეტული ობიექტები შერჩეულია საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.*


124-ე საშუალო სკოლა


152-ე საშუალო სკოლა


"აქაურობას მოფარფატე ბალერინების გარდა არაფერი აკლია"


85-ე საშუალო სკოლა

აღნიშნული პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე სსიფ აქტიურად თანამშრომლობს როგორც ქალაქის თვითმმართველობასთან, ისე სკოლების ადმინისტრაციასთან, რასაც, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აღდგენითი სამუშაოების მიზანმიმართულად და სრულყოფილად წარმართვისა და პროექტის ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად. მონიტორინგის ჯგუფი სსიფდან და დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურებიდან სისტემატიურად აკონტროლებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხს და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, მაშინვე ხდება შესაბამისი ზომების მიღება: დგება გამოსასწორებელი სამუშაოების დამატებითი ნუსხა, რომლითაც ხელმძღვანელობს ობიექტზე მომუშავე ორგანიზაცია მომავალ მონიტორინგამდე.

აღსანიშნავია, რომ 22 სარეაბილიტაციო ობიექტიდან სამუშაოები საბოლოოდ დასრულებულია - **ნ. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო, 24-ე, 165-ე, მე-60, 54-ე საშუალო სკოლებში, პრაქტ\იკულად დასრულებულია და სამთვიანი მონიტორინგის რეჟიმშია გადასული 31-ე, 124-ე, 139-ე, 69-ე, 85-ე, 152-ე საშუალო სკოლები და ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი. მცირე სამუშაოებია დარჩენილი 55-ე, 157-ე, 48-ე, 74-ე და 83-ე სკოლებში.**

სსიფ-მა აღდგენითი სამუშაოები აწარმოა **მე-10 და 124-ე** საშუალო სკოლებშიც. რამდენიმე თვის წინ დედაქალაქის მერიამ გადაწყვიტა აღნიშნული სკოლები საჩვენებელ ობიექტებად ექცია. შესაბამისად, სსიფის მიერ წარმოებული სამუშაოების პარალელურად, აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მერიის შესაბამისი სამსახურებიც შევიდნენ და სკოლების რემონტი სრული სვლით გაჩაღდა.

**"იცით როგორი სკოლა იყო? ამ იატაკს თუ რამე გაასწორებდა არ მეგონა; შუიდან აქეთ-იქით ისე იყო დაწეული, სასიარულოდ მალე მოაჯირი გახდებოდა საჭირო. დაბზარული კედლები... ჩამოქცეული ჭერი... მადლობა ღმერთს, ყველაფერი გასწორდა. სსიფ-ის პროექტის მიხედვით, სკოლა საძირკვლიდან სახურავამდე სულ რკინა-ბეტონში ჩასვეს. საკლასო ოთახების ნაწილიც გაარემონტეს. ნაწილს ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები გვიკეთებენ. როგორც იცით, ჩვენი სკოლა საჩვენებელი უნდა გახდეს. შესაბამისად, ყველა ვცდილობთ შენობა მაქსიმალურად კარგად და ლამაზად გაკეთდეს. ინვენტარიც მოგვიტანეს, ავაწყობთ და ახალ სასწავლო წელს ახალ შენობაში, ახალ მერხებზე შევხვდებით. აუცილებლად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო როგორც საქართველოს სოცილური ინვესტიციების ფონდს, ასევე ქალაქის მერიას, იმ უდიდესი თანადგომის, ყურადღების და კეთილსინდისიერებს გამო, რომელიც მათ ჩვენს მიმართ გამოიჩინეს", -** განაცხადა მე-10 სკოლის დირექტორმა ელისო ანჯაფარიძემ.

სსიფ-ის მენეჯერი მერაბ სვანიძე: **"რაც შეეხება მე-10 სკოლას, მისი რეაბილიტაციისთვის სსიფ-მა 611 566 ლარი გამოყო. სკოლის დაზიანების ძირითად მიზეზს ზედაპირული და გრუნტის წყლების ამრიდების არქონა და სანიაღვრეების გაუმართაობა წარმოადგენდა. ეს პრობლემები მიწისძვრის შემდეგ ბევრად უფრო თვალსაჩინო გახდა და მდგომარეობა საგანგაშო შეიქმნა. ფირმამ, რომელმაც სსიფ-ის მიერ გამართულ ტენდერში გაიმარჯვა, წყლის არიდების საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები აწარმოვა; ჩატარდა ბურღვები და რკინა-ბეტონით გამაგრდა საძირკველი; რკინის კორსეტში ჩაჯდა შენობის დიდი ნაწილი, შეკეთდა სახურავი; სრულად მოწესრიგდა სველი წერტილები; გამოიცვალა უვარგისი გათბობის სისტემა, შეკეთდა და შეიღება ფასადი. ცოტა მოგვიანებით, შიდა სარემონტო სამუშაოებში ქალაქის მერია ჩაერთო, მოხდა სამუშაოების გადანაწილება და, როგორც ხედავთ, სკოლა უკვე პრაქტიკულად მთლიანადაა დასრულებული".**

ლია კოსტავა, 124-ე სკოლის დირექტორი: **"ჩვენთან სსიფ-მა უკვე დაამთავრა მუშაობა. გარედან რომ შეხედავთ, რა მარტივადაა ყველაფერი. მუშაობის პროცესი სულ რკინა-ბეტონის მტვერში მიმდინარეობდა... გულიანად იმუშავეს. მონიტორინგის ჯგუფიც თითქმის ყოველ კვირა მოდიოდა და ყველა წვრილმანს ამოწმებდა, "მოვიდნენ სულთამხუთავები"-ო, ხუმრობდნენ ხოლმე მათი დანახვისას მუშები. ბევრი ხარვეზი გაასწორებინეს - რაც არ მოსწონდათ, ხელმეორედ აკეთებინებდნენ. დიდი მუშაობა გაწიეს სსიფ-მაც და მშენებლებმაც. ახლა მერია მუშაობს. 26-მდე ისინიც მორჩებიან. ახალი სასკოლო ინვენტარიც მოგვიტანეს. მართლა ძალიან მადლობლები ვართ. ორშაბათს ისეთი ზეიმი გვექნება..."**

ფაქტიურად, დასრულებულია ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის შენობის რეაბილიტაცია. როგორც ამ პროექტის კოორდინატორი დავით ჯინჭარაძე აღნიშნავს: **"სასწავლებელში საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა, რომლის ღირებულებამ 600 ათას ლარს მიაღწია: გაფართოვდა და გამაგრდა არსებული საძირკვლები. მიწისზედა კონსტრუქციებს სეისმომდგრადობის ასამაღლებლად ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები - მოეწყო ლითონის სიხისტის ჩარჩოები, დაზიანებული აგურის კედლები ჩაისვა არმატურის ჯავშანში, მონოლითური რკინა-ბეტონის ფილებით შეიცვალა სართულშუა გადახურვები. თავიდან მოეწყო დაზიანებული შიდა კიბე, შეიცვალა სახურავი, ჩატარდა ზედაპირული წყლის არიდების ღონისძიებები. მცირე გადაგეგმარების ხარჯზე სკოლას შეემატა ორი მოზრდილი საცეკვაო დარბაზი. ამასთან, კაპიტალურად შეკეთდა დანარჩენი რვაც. აღდგა დიდი ხნის წინ მწყობრიდან გამოსული საშხაპეები. მთლიანად შეკეთდა ელექტროსისტემა, სველი წერტილები, შიდა და გარე წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო სისტემა; შეილესა და შეიღება ფასადი. დარჩა მხოლოდ დარბაზების იატაკზე დასაგები სპეციფიური ლინოლიუმი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა უცხოეთიდან და გაიშლება".**

**"ამ ობიექტზე დასაქმებულმა ადამიანებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობები, რისთვისაც მადლობას იმსახურებენ. ისინი ყველა ჩვენს შენიშვნას ითვალისწინებდნენ და მონიტორინგის მორიგ პროცედურამდე ხარვეზებს გამოსწორებულს გვახვედრებდნენ; შედეგიც სახეზე გვაქვს", - აღნიშნავს სსიფ-ის კონსულტანტი ნიკო სოსელია.**

**"ხომ ხედავთ, აქაურობას მოფარფატე ბალერინების გარდა აღარაფერი აკლია", -** გვითხრა შპს "DTC"-ის სამუშაოთა მწარმოებელმა სერგო თეთრუაშვილმა.

ყველა სკოლა, რომელშიც სსიფ-მა აღდგენითი სამუშაოები აწარმოა, ახალ სასწავლო წელს განახლებული შენობით, შეღებილი ფასადით, გარემონტებული საკლასო ოთახებით და, რაც მთავარია, ხალისით ხვდება.

**"სკოლა 1955 წელსაა აშენებული და სარემონტო სამუშაოები ბოლოს 1964 წელს აქვს ჩატარებული. კედლები და ჭერი ისეთ მდგომარეობაში იყო, გვეშინოდა თავზე არ დაგვნგრეოდა. ზოგიერთი ოთახი გაუქმებული გვქონდა. არ ფუნქციონირებდა სპორტული დარბაზი. ახლა შეხედეთ, როგორი დარბაზი გვაქვს. აქ იმდენი რამ გაკეთდა, იმხელა გამაგრებითი სამუშაოები შესრულდა, კედლები სულ რკინებში ჩასვეს, საძირკველიც კარგად გაამაგრეს; ტუალეტებში კაფელი გაიკრა, ყველგან გააახლეს სველი წერტილები, კედლები და ფასადი შეკეთდა და შეიღება, სრულად აღდგა კანალიზაცია და წყალმომარაგება, გადაიხურა შენობა... რომელი ერთი ჩამოვთვალო... ამ სკოლის რეაბილიტაციაზე 330 ათასამდე ლარი დაიხარჯა. კედლები თითქოს ქვიშით იყო ნაშენი, ისე იფხვნებოდა. სპეციალისტების დასკვნის მიხედვით, სკოლას უმძიმესი კატეგორიის დაზიანებები აღენიშნებოდა. სულ მალე, ალბათ, ამ შენოაბში სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი გახდებოდა. ახლა კი... 26 სექტემბერს სწავლას განახლებულ შენობაში ვიწყებთ. გულწრფელად ვამბობ: დიდი მადლობლები ვართ", -** განაცხადა მოსკოვის გამზირზე მდებარე 83-ე სკოლის დირექტორმა ნინელი ადამაშვილმა.

**"ჩვენი სკოლის შენობა არატიპიურია. ამ შენობაში ადრე ჰოსპიტალი იყო განლაგებული, იმიტომაა ამხელა. 48 მარტო საკლასო ოთახი გვაქვს, 1000-მდე ბავშვი სწავლობს. სკოლა საშინლად დაზიანებული იყო. პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები მთლიანად შესრულდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მოხდა შენობის სრული რეაბილიტაცია - თითქმის ყველა მიმართულებით. მარტო ის რად ღირს, რომ სკოლას უკვე აქვს წყლის 8-ტონიანი რეზერვუარი, რის შედეგადაც მთელი დღის განმავლობაში დაუბრკოლებლივ გვექნება წყალი. სამწუხაროდ, პროექტი ყველაფერს არ ითვალისწინებდა. ჰოლი შესაკეთებელი დაგვრჩა და როგორც სსიფ გვპირდება, ამასაც დამატებით გაგვიკეთებს. ძალიან გვინდა ეზოში სპორტული მოედნის მოწყობაც და თუ ესეც გაგვიხერხეს, ხომ სულ მადლობლები დავრჩებით", -** დაიმედებულმა განგვიცხადა ვარკეთილის მასივის ზემო პლატოზე მდებარე 152-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ჯონდო სულაძემ.

**"ეს სკოლა 1971 წელსაა აგებული. მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავიბარეთ. 440 ათას ლარზე ცოტა მეტი დაიხარჯა, და ნახეთ როგორი სკოლა "დადგა". პროექტი საძირკვლის გამაგრებას, წყლის ამრიდების მოწყობას, სახურავის მთლიანად შეკეთებას, შენობის გამაგრებას, სველი წერტილებისა და ფასადის სრულ რეაბილიტაციას და შიდა სარემონტო სამუშაოებს ითვალისწინებდა. როგორც ხედავთ, ყველა სამუშაო დასრულებულია. სსიფ-მა რაც გვთხოვა დამატებითაც ყვალაფერი გავაკეთეთ. ჩვენითაც რაღაც-რაღაცეები წავამატეთ, შესაძლებლობების ფარგლებში, რა თქმა უნდა. მგონი ყველა კმაყოფილი უნდა იყოს. სსიფ-ის სახით ცოტა მკაცრი მაკონტროლებელი გვყავდა, მაგრამ გვესმის, საქმე ხომ ბავშვებს ეხებათ და ისინიც მაქსიმალურად ცდილობდნენ...", -** გამოტყდა 152-ე სკოლის ჩაბარებისას შპს "ტრანსმშენის" სამუშაოთა მწარმოებელი თამაზ ჟიჟილაშვილი. სხვათა შორის, ამავე ორგანიზაციამ შეასრულა სარეაბილიტაციო სამუშაოები გლდანში მდებარე 69-ე საშუალო სკოლაშიც.

**"მე ახალი დანიშნული ვარ; სსიფ-ის წარმომადგენლები ისე ხშირად ამოწმებდნენ მშენებლობას, ყველა მათგანს უკვე კარგად ვიცნობ. უამრავი საქმე გაკეთდა, თან ძალიან ხარისხიანად: მთლიანად შეაკეთეს სახურავი, ძირითადი კორპუსის სველი წერტილები, საძირკველი, გათბობა, წყლის არიდება, დამხმარე და ძირითადი კორპუსის დამაკავშირებელი დერეფანი.**

**დამხმარე კორპუსი, სადაც სკოლის სპორტული დარბაზი (გასახდელებითა და საშხაპეებით), სასადილო, დიდი დარბაზი და რამოდენიმე საკლასო ოთახი მდებარეობს, თავიდან ბოლომდე (გათბობის ჩათვლით) გარემონტდა. 290 ათსიანი პროექტი იყო და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გაგვიმართლა. ასე რომ, ახალი სასწავლო წლიდან გაცილებით უკეთესი პირობები გვექნება", - გვითხრა 69 სკოლის ახალმა დირექტორმა.**

ახალ სასწავლო წელს განახლებულ შენობაში ხვდება 48-ე საშუალო სკოლაც.

**"ამ სკოლაში სრულად შეკეთდა სახურავი, სველი წერტილები, გაიკრა კაფელი, შეილესა და შეიღება მთლიანი ფასადი, ჩატარდა წყლის არიდებისა და შენობის გამაგრების სამუშაოები, შერემონტდა ოთახების უმეტესობა, დაიგო პარკეტი.**

**სსიფ-ის ინჟინრები ყველა წვრილმანზე ისე დაგვსდევდნენ... რაც არ მოსწონდათ ორჯერ, ხან სამჯერაც გვასწორებინებდნენ. ამის გამო სკოლის ჩაბარება ცოტა დაგვაგვიანდა. ობიექტის ღირებულებამ 383 ათასი ლარი შეადგინა", -** განაცხადა ობიექტზე მომუშავე ფირმის დირექტორმა ჯუმბერ ნიკვაშვილმა, და დასძინა:" ორი სართული მზადაა, ორ სართულსაც შაბათს გამზადებულს ჩაგაბარებთო.

48-ე სკოლის ახალი დირექტორი მირანდა მუმლაძე: **"რაც გაკეთდა, ყველაფერი ხარისხიანად... მადლობის მეტი რა გვეთქმის. კარგი იქნებოდა ერთი კვირით ადრე დამთავრებულიყო სამუშაოები, მაგრამ არა უშავს. სასწრაფოდ დავლაგდებით და სწავლას 26-ში დავიწყებთ".**

**"ჩვენს სკოლაში 1100 მოსწავლეა. თითქმის ერთი წელია რაც სსიფ შემოვიდა. ძალიან გულდასმით და ხარისხიანად გაკეთდა ყველაფერი. წვიმა ჩვენთვის სტიქიურ უბედურებად იყო ქცეული. პატარ-პატარა ხარვეზები დარჩათ მუშებს, მაგრამ როგორც სსიფ-ის წარმომადგენლები იძახიან, მათ აღმოფხვრამდე ობიექტს არ ჩაიბარებენ; ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მაგრამ როგორც ხედავთ, სკოლა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის აბსოლუტურად მზადაა", -** განაცხადა ჩვენთან საუბარში 157-ე სკოლის ახალმა დირექტორმა ბორის ნიჩიპეროვიჩმა.

**"ამ სკოლაში ჩატარდა საძირკვლის გასამაგრებელი სამუშაოები, გამაგრდა კედლები, რაც მათ არმატურის ჯავშანში ჩასმას გულისხმობს, შეკეთდა სკოლის ავარიული ნაწილის საკლასო ოთახები, ტუალეტები, დერეფნები, ფანჯრები, კიბეები, მთლიანად შერემონტდა ფლიგელების ერთმანეთთან დამაკავშირებელი დერეფანი, შელესილი და შეღებილია შენობის ფასადი; აღდგენილია გათბობის სისტემა, დამონტაჟებულია ახალი საქვაბე; თავიდან გადაიხურა მთელი შენობა; დღეს ვნახეთ, რომ ერთ ოთახში წყალი კვლავ ჩამოსულა, რის გამოც არა მარტო სახურავის ხარვეზი გამოსწორდება, არამედ, მშენებლის ხარჯით, დაზინებული ოთახიც თავიდან ბოლომდე შეკეთდება", -** აცხადებს სსიფ-ის კონსულტანტი ნიკო სოსელია.

283 ათასი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები აწარმოა სსიფ-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ხურომ" თბილისის 74 საშუალო სკოლაში, სადაც სრულად შეკეთდა ფასადი, სველი წერტილები, გარე კანალიზაცია, წყალმომარაგება, სახურავი; ჩატარდა საძირკვლისა და შენობის გამაგრების სამუშაოები; გარემონტდა საკლასო ოთახები.

**"იმდენი დამატებითი სამუშაოები შევასრულეთ... იმდენი გვამოწმეთ და ორსამჯერ გვაკეთებინეთ... მართალია სამუშაოთა ნაწილი შესასრულებელი დაგვრჩა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სწავლის დაწყებას ხელს არ შევუშლით. ის კი არა, მერხებისა და სკამების დალაგებაშიც მივეხმარებით ბავშვებს. მონიტორინგის რეჟიმში არ ვართ? თუ რამე წვრილმანი ისევ გასასწორებელი იქნება, თქვენც აქ ხართ და ჩვენც...",-** ეუბნებოდა შპს "ხურო"-ს დირექტორი გიორგი რეხვიაშვილი პარასკევს სკოლაში შესამოწმებლად მისულ სსიფ-ის მონიტორინგის ჯგუფის წევრებს.

ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე 145 საშუალო სკოლის რეაბილიტაციისთვის 460 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. სკოლაში სამუშაოებს შპს "პირამიდა 98" გასული წლის დეკემბრიდან აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფირმასთან სსიფ-ს თავის დროზე სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა, წარმოებული სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თავის თვაზე აიღო და გამოასწორა.

სსიფ-ის კონსულტანტი ნიკო სოსელია: **"ამ სკოლაში მოცულობითი სამუშაოები ტარდება. შენდება ახალი სპორტული დარბაზი, თავიდან ბოლომდე იცვლება სხურავი, მონტაჟდება გათბობის ახალი სისტემა ასევე ახალი საქვაბით, რემონტდება სველი წერტილები, ეწყობა წყლის ამრიდი საშუალებები, ილებება ფასადი; ხდება შენობის გამაგრება და შიდა რემონტი. სამუშაოების წარმოების გარკვეულ ეტაპზე, ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ მათი შესრულების ხარისხი არ აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს, რასაც მოჰყვა ფირმის სამუშაოთა მწარმოებლის გათავისუფლება... წერილები... ხელმეორედ აშენდა საქვაბე, მოიშალა უხარისხოდ შეკეთებული სახურავის ნაწილი და გაკეთდა თავიდან, მოინგრა სპორტული დარბაზის ორი დიდი კედელი, რომელიც სარტყლის გარეშე იყო აშენებული და ა.შ. ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსასწორებლად მეორედ ფულს ვერ მიიღებდა, რის გამოც მათ ფინანსური სირთულეები შეექმნათ... ორი თვეა რაც სამუშაოები ფაქტიურად განახლდა და სრული სვლით მიმდინარეობს. სსიფ-ის პოზიცია ასეთია: არავითარ შემთხვევაში არ ჩავიბარებთ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს. გამოვიყენებთ ყველა ბერკეტს, დაწყებული ექსპერტების დასკვნებიდან, დამთავრებული ფირმის საბანკო გარანტიებით. გვირჩევნია ორჯერ, თუ საჭირო გახდება სამჯერ შესრულდეს სამუშაო, ვიდრე უხარისხოდ შესრულებული ობიექტი მივიღოთ. ჩვენი მოთხოვნით არაერთ ობიექტზე ასობით კვადრატული მეტრი უხარისხოდ დაგებული პარკეტი აიყარა და ხელმეორედ დაიგო (152-ე, 124-ე, 54-ე საშუალო სკოლები); დაწუნებული ფასადები მთლიანად გადაიღება, თანაც არაერთხელ (157-ე და 124-ე სკოლები) და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს პროექტის დასრულების გადავადებას, მაგრამ ვფიქრობთ, ხარისხი უპირველესია".**

**"მინდა აღვნიშნო, რომ დედაქალაქის მერია, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად, აწარმოებს მიწისძვრით დაზიანებული სკოლების რეაბილიტაციის პროექტის სისტემატურ მონიტორინგს. სსიფ-ის შენიშვნები სამშენებლო ფირმების მიმართ აღნიშნული პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე საკმაოდ ობიექტური, ხშირ შემთხვევაში კრიტიკული და კეთილსინდისიერი გახლავთ. ყველა სკოლში, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ან უტარდება (სამ სკოლაში - 187-ე, 87-ე და მე-9 - აღდგენითი სამუშაოები ახლა იწყება), თითქმის სრულადაა დაცული სასკოლო, თუ გნებავთ ევროპული სტანდარტები. გულწრფელად ვამბობ, ზოგიერთი სკოლის დანახვაზე თავზარი მეცემოდა. ახლა პროგრამით გათვალისწინებულ სკოლებში სულ სხვა სიტუაციაა. მე-10 და 124-ე სკოლებში კი მერიამ და სსიფ-მა ერთად აწარმოეს სამუშაოები და შედეგიც სახეზეა - გამაგრებული, გარემონტებული, ახალი ინვენტარით აღჭურვილი სკოლები", -** აცხადებს ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის კონტროლის განყოფილების უფროსი ზურაბ აბზიანიძე.

**დაბოლოს,**

**საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის პირველადი შეფასებებით, ქ. თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვმა, რომლებსაც დაზიანებების სხვადასხვა ხარისხი აღენიშნებათ, 127-ს მიაღწია.**

**რამოდენიმე დღის წინ თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ (საცხოვრებელი კორპუსის ნაწილის ჩამონგრევა), კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად დიდია საფრთხე, რომლის წინაშეც შესაძლოა მოულოდნელად აღმოვჩნდეთ; შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უნდა იყოს დაინტერესებული მსოფლიო ბანკის მიერ მიწისძვრით დაზიანებული განათლების ობიექტების რეაბილიტაციის პროექტის გაგრძელებით.**

*თამარ თვალიაშვილი*
*სსიფ*


48-ე საშუალო სკოლა


10-ე საშუალო სკოლა


69-ე საშუალო სკოლა

# "თქვენ პირველები ხართ!"

პირველი გვერდიდან

არტურ კაზარიანი თბილისში დაიბადა და 121-ე რუსული საშუალო სკოლა დაამთავრა. ის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ძალიან კარგად საუბრობს ქართულად: **"ადრინდელი გამოცდები, რა თქმა უნდა, პრობლემას შემიქმნიდა - კორუფცია პრობლემას უქმნის უბრალო ხალხს. ახლა ყველაფერი სამართლიანად ჩატარდა. ორი წელია ქართულად ვლაპარაკობ. მანამ უკრაინაში ვსწავლობდი და რომ ჩამოვედი, ღერი ქართული არ ვიცოდი."**

თამუნა ცალქალამანიძე უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულია. მას ქართულს ნინო ვეფხვაძე ასწავლიდა. გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში 95 ქულა დაიმსახურა. ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე: **"მაინტერესებს ფსიქოლოგია - ადამიანებთან ურთიერთობა. განსაკუთრებით მაინტერესებს ჩვენი სკოლის ბავშვებს მივხედო - მათ მეტი ყურადღება სჭირდებათ: საბჭოთა კავშირისდროინდელი წიგნები გვაქვს, ჩვენი მასწავლებლები საკუთარი ხელით წერენ წიგნებს ბრაილზე. მე ვთვლი, რომ დაქვეითებული თვალისჩინი, თუ ადამიანი თავის თავში დარწმუნებულია, მისი განვითარებისთვის პრობლემა არ უნდა იყოს. ვისწავლი ჩემს კურსთან ერთად. სწავლის პროცესში დამეხმარებიან ჩემი ოჯახის წევრები, რომლებიც დღემდეც მიკითხავდნენ სასწავლო ლიტერატურას და შეჩვეული ვარ, რომ მოსმენით. ჩაწერით მე თვითონ ჩავიწერ და მაქვს დიქტოფონიც".**

საზეიმო შეხვედრის დაწყებამდე სტუდენტები აქტიურად ეკონტაქტებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს - აგროვებდნენ ავტოგრაფებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ტელევიზიების მოწოლისგან ისე იყო დაკავებული, რომ ბევრი ავტოგრაფი ვერ გააკეთა. სტუდენტებმა გაუგეს მინისტრს და "შეეშვნენ".

**"ავტოგრაფი მინდოდა, მაგრამ უშედეგოდ. ძალიან მიყვარს ჩვენი მინისტრი, დიდ პატივს ვცემ და მინდოდა სამახსოვროდ. ძალიან კარგი რეფორმა გაატარა, ძალიან სამართლიანი. ჩავაბარე კონსერვატორიაში, ვიოლინოზე. არ ვიცი, რა პრობლემები შემექმნებოდა ადრე,"** - ამბობს თეა ბახტაძე, პირველკურსელი სახელმწიფო გრანტით.

გიგა ბოკერია, ასე თუ ისე უმკლავდებოდა მოზღვავებულ "ფანებს", არიგებდა ავტოგრაფებს. **"ძალიან მომწონს ეგ პიროვნება. იმიტომ, რომ კარგად უდგება დღევანდელ ცხოვრებას. მომწონს მისი საუბარი, მისი აზრები - ყველაფერი მომწონს", "ავტოგრაფები მინდა სუვენირად დავიტოვო. დღეს უბედნიერესი ვარ იმიტომ, რომ ჩარიცხული ვარ და ასეთი რეფორმებია ჩვენთან. თუ ნიჭი გაქვს და თუ ნასწავლი ხარ, ჩააბარებ", "მე ავტოგრაფები სუვენირად მინდა: მაქვს პაპუაშვილის, ბენდუქიძის ავტოგრაფები. მე სპორტული ჟურნალისტი გამოვალ და გოკა გაბაშვილს უკვე ვკითხე, სპორტს მიხედავთ თუ არა-მეთქი. პირობა მომცა,"**- ამბობდნენ სტუდენტები.

**"ისინი მართლა პირველები გახდნენ საზოგადოებრივი ცვლილებისა იმ რევოლუციური ცვლილების პროცესში, რომელიც მოხდა განათლების სისტემაში,** - ასეთ კომენტარს აკეთებს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, - **რეფორმის ამ ნაწილმა აჩვენა საოცარი შედეგი. ისიც აჩვენა, რომ ჩვენ ქართველები, მიუხედავად შინაგანი ხმაურისა, ძალიან ობიექტურები ვართ. ნახეთ პრეტენზიების რაოდენობა და შესწორებული შეფასებების რაოდენობა. ეს რეალობაა. ემოციურობა უკანა პლანზე დადგა. ადამიანებმა დაინახეს სრული ობიექტურობა - პროცენტულად ასე მცირე "გაპროტესტება" და ბევრი შეფასების მომატება, ორმხრივ**


ლევან ხერხეულიძის ფოტო

**მაქსიმალურ ობიექტურობაზე მიანიშნებს. ზოგმა სახელმწიფო დაფინანსება მიიღო, ზოგი კერძო დაფინანსებით ისწავლის. რა თქმა უნდა ყველას ურჩევნია აიღოს ვაუჩერი, ეს კონკურენტუნარიანობის მექანიზმია, რაც საზოგადოებას წინ წასწევს. კონკურენცია ადრეც იყო, მაგრამ იქ არ იყო ობიექტურობის განცდა. დღევანდელობამ შექმნა ის ეფექტი, რომ თუ წელს ვერ მოვახერხე, გაისად მოვახერხებ, ფიქრობს აბიტურიენტი. ეს პიროვნული ძალების გათავისუფლებაა. ეს არის მართლა საზოგადოებრივი ცვლილება, სერიოზულია და მთლიანად საზოგადოებრივი ღირებულების საფუძველია. ამის გამო უნდა ითქვას - "თქვენ პირველები ხართ!".**

პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ სპორტის სასახლე "სამუშაო რეჟიმში ჩადგა". საზეიმო შეხვედრა დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოს პირველკურსელებს, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც იშრომა და მონაწილეობა მიიღო ამ გამოცდების ორგანიზებაში. მისმა ჩამონათვალმა სამადლობელი საზოგადოების დიდი სპექტრი მოიცვა. ასევე რიგობითი ჩამონათვალით პრეზიდენტს გადაუხადა მადლობა.

შემდეგ სტუდენტებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმართა.

პრეზიდენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებს სოციალური თანასწორობის დამკვიდრების ქვაკუთხედი უწოდა - საქართველოს ყველა კუთხიდან ნიჭიერი, მცოდნე და მონდომებული ადამიანები გახდნენ სტუდენტები: **"51 ონელი აბიტურიენტიდან ორი მესამედი სტუდენტი გახდა, რეიტინგით პირველი თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურიდანაა, სამი ცხინვალელი ოსი ახალგაზრდა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, რეიტინგულ ათეულში წალენჯიხელი ირაკლი შანავაა, სტუდენტი გახდა ორი ფერეიდნელი, გოგონა ზაქათლიდან, საინგილოდან..."** - ამ ჩამონათვალით პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს მემკვიდრეობით სოციალურ უპირატესობებს - დედაქალაქურს, ოჯახურსა თუ უბნურს.

პრეზიდენტმა საკუთარი აბიტურიენტული წარსულიც გაიხსენა, როცა კორუფციის უშუალო მოწმე და კინაღამ მსხვერპლიც გახდა: **"არაკორუმპირებულები, პატიოსანი და სამართლიანი ადამიანები იმ დროსაც არ აკლდა, მაგრამ სისტემა იყო ისეთი, რომელსაც ვერ აღუდგებოდი - სიცოცხლეს მოითხოვდა,"** - ამბობს პრეზიდენტი.

**"საქართველო უნდა დაეწიოს წინწასულ ქვეყნებს, ჩვენ ეს შეგვიძლია და უპირველესად ეს თქვენ შეგიძლიათ - კომპიუტერით შეიარაღებული ინტერნეტში ჩართული სტუდენტი ერთნაირი სიმძლავრისაა, იქნება ეს მალაიზიელი, გერმანელი თუ ქართველი, ეს ინტელექტუალური ძალაა, ინტელექტუალური შეჯიბრი,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე ისაუბრა შრომის კეთილშობილებაზე, რომ არ არსებობს შეურაცხმყოფელი სამუშაო, ნებისმიერი სახის შრომა, საქმის კეთება დასაფასებელია და ვიდრე ამას არ შეიგნებს საზოგადოება, წინსვლა გაგვიჭირდება. მან სტუდენტებს მოუწოდა, ისწავლონ უცხო ენები, რადგან ყველა სახელმწიფოს, ყველა ერს მის ენაზე უფრო ეფექტურად გააგებინონ სათქმელი. ენების ჩამონათვალში პრეზიდენტს ინგლისურთან ერთად რუსული და თურქულიც არ დავიწყებია, როგორც საქართველოს უახლოესი მეზობლების.

პრეზიდენტმა სტუდენტებს მოუწოდა, მადლობა ეთქვათ ალექსანდრე ლომაიასთვის, რომელმაც სამაგალითო პროფესიონალიზმი, მართვისა და ორგანიზაციის უმაღლესი დონე აჩვენა. **"დღეს განათლების სამინისტროები პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ჩვენთან ჩამოდიან, რომ გამოცდილება გავუზიაროთ და ცოდნა მიიღონ - ჩვენ პირველებმა განვახორციელეთ ერთიანი ეროვნული გამოცდები."**

პრეზიდენტმა სტუდენტებს მოკლე ექსკურსი ჩაუტარა ხელისუფლების მიერ უკვე გაკეთებულზე და გასაკეთებელისთვის თანამშრომლობისკენ მოუწოდა. უპირველესად მან სახელმწიფო სექტორში ხელფასების გაზრდა დაასახელა, **"არ შეიძლება სახელმწიფო მოხელეს გარდაუვალი დანაშაულისკენ, კორუფციისკენ უბიძგო, რასაც ნიშნავს დაბალი ხელფასი,"** - აღნიშნა მან. მეორე ეტაპად ინფრასტრუქტურა მიიჩნია და სტუდენტებს პირობა მისცა, რომ მომავალი წლის ბოლომდე თბილისში, გლდანულადან "აფრიკამდე" საუკეთესო გზები იქნება, ხოლო 2006 წლის გაზაფხულზე თბილისი-გორის ავტობანი დასრულდება, რომელიც ბათუმისკენ გაგრძელდება.

პრეზიდენტმა საქართველოს პირველკურსელებს მოუწოდა, რომ ყოველთვის იყვნენ კრიტიკულები, მხოლოდ ცოდნას და ანალიტიკურ აზროვნებას დაეყრდნონ და მერე შეაფასონ ფაქტი. ხალხი, რომელიც ვერ ხედავს წელიწადნახევრის განმავლობაში ხელისუფლებისგან საკეთილდღეო ნაბიჯებს, მოკლებულია ამ თვისებებს - რატომ არ უნდა დაინახონ პოლიცია, რომლისაც პირველადაა, რომ ხალხს არ ეშინია და მისი იმედიც აქვს; რატომ არა - რეგულარული ქართული არმიის ფორმირების დაწყება; რატომ არა - ენერგეტიკის "მისია", რომ საქართველო განათდეს და სტუდენტებს სწავლა სანთლის შუქზე არ მოუხდეთ; რატომ არა - სამედიცინო სფერო, კომუნისტების შემდეგ პირველი უფასო სასწრაფო დახმარება; თხუთმეტწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოში ახალი ნაგებობების მშენებლობები დაიწყო...

თქვენ იმ ქვეყნის სტუდენტები ხართ, რომლის "ვარდების რევოლუციამ" მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია, - უთხრა პრეზიდენტმა ახალგაზრდებს და კითხვაზე "გვეშველება თუ არა?" პასუხისმგებლობა ხელისუფლებასთან ერთად სტუდენტებს, მომავალ პროფესიონალებსაც დააკისრა: "გვეშველება".

# როგორ გადავარჩინოთ უნივერსიტეტი

პირველი გვერდიდან

თბილისის უნივერსიტეტის რეფორმა მისი ორგანიზაციული ცვლილებებით დაიწყო. შეიძლება ეს აუცილებელიცაა. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ ასეთი რეფორმის ძირეული საკითხი - როგორი უნივერსიტეტი გვინდა რომ გვქონდეს? (ანუ, როგორია ამ რეფორმის მიზანი?) - ჯერ არც კი დასმულა და არ განხილულა. ამ საკითხზე ფიქრი კი შეკითხვათა მთელ რიგს წარმოშობს: საერთოდ, რა არის "უნივერსიტეტი"? არის კი თბილისის უნივერსიტეტი, დღევანდელი სახით, "უნივერსიტეტი"? რატომ გვინდა, რომ იგი "უნივერსიტეტად" ვაქციოთ? რა გახდის განათლების ინსტიტუტს "უნივერსიტეტად"? არის თუ არა ამისათვის საჭირო ფაკულტეტების გამსხვილება? ან, მაგალითად, არსებითად რა შეიცვალა საქართველოს პოლიტექნიკურ, სამედიცინო და უმაღლესი განათლების სხვა ინსტიტუტებში, როდესაც მათ რამდენიმე წლის წინ "უნივერსიტეტი" დაირქვეს? და საერთოდ, რისთვის სჭირდება საქართველოს "უნივერსიტეტის" სახელის მქონე უმაღლესი სასწავლებელი? ან, როგორ არის ეს რეფორმა შეთანხმებული საქართველოში ცოდნის ორგანიზებული წარმოების მთელ კომპლექსთან? ამ შეკითხვებზე არა თუ პასუხი, არამედ მათი წარმომქმნელი საერთო პრობლემაც კი ჯერ საზოგადოებრივად განცხადებული არ არის. თავად პრობლემას კი *უნივერსიტეტის იდეის, ანუ მისი არსის* გაურკვევლობა წარმოქმნის. ეს წერილი სწორედ ამ არსის გარკვევას ეხება. ამ საკითხში სრული სიცხადის შეტანის გარეშე კი რეფორმის პროცესში პრინციპულად შეუძლებელია არა მხოლოდ უნივერსიტეტის იდეის გადარჩენა, არამედ გაცილებით უფრო ფართო პრობლემის - საქართველოში განათლებისა და მეცნიერების რეფორმის - საღი და ეფექტური გადაწყვეტა.

## რა არის უნივერსიტეტი?

მკითხველს მოერიდებით რამდენიმე უდავო ფაქტს შევახსენებ: უნივერსიტეტი ევროპული ცივილიზაციის პროდუქტი, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია; იმ კულტურულ მოვლენათა შორის, რომლებმაც ჩვენი ცივილიზაციის დღევანდელი სახე განაპირობა, უნივერსიტეტის ადგილი უნიკალურია. ამასთანავე, ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში სოციალური და პოლიტიკური ძვრები უნივერსიტეტზეც ახდენდა დიდ გავლენას, ხშირად ამახინჯებდა მის არსსა და არსებობის ჯანსაღ ფორმას. ამ მხრივ XX საუკუნე განსაკუთრებულად "გამოირჩა". სადღეისოდ ეს არსი ადამიანთა გაუგებარი ნებით, უმეცრობით წარმოქმნილი მრავალი დანალექი ფორმის ქვეშ ღრმად ჩაიმარხა. ამიტომ უნივერსიტეტის თანამედროვე სახიდან მისი ისტორიულად განსაზღვრული იდენტურობის რეკონსტრუქციისათვის სწორედ ამ ისტორიული განვითარების გზის გააზრებაა აუცილებელი.

უნივერსიტეტის წარმოქმნა განათლებისკენ სწრაფვის იმ საოცარი ენთუზიაზმის შედეგია, რომელმაც XI საუკუნის ჯერ კიდევ ბარბაროსულ ევროპაში განსაკუთრებული ძალით იფეთქა; ამ დროს უკვე ფართოდ იქმნება საეკლესიო სკოლები, რაც უნივერსიტეტის გაჩენის წინაპირობა აღმოჩნდა. XII საუკუნის დასაწყისში ინტელექტუალური ძალისხვევის უკვე მთელი რიგი გამოკვეთილი სფეროები (გამომცემლობა, კოლექციონირება, მოვლენათა და საგანთა კლასიფიკაცია) სწავლების ცენტრების შექმნის საფუძველი ხდება. ამ ცენტრებში მთელი საქრისტიანოდან თავს იყრის ყველა, ვისაც ინტელექტუალური წყურვილი არ ასვენებს. ბოლონიისა და პარიზის ცენტრები იქ თავმოყრილ სწავლულთა გამორჩეული თვისებების გამო განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება. ბოლონიაში მოწაფეები, პარიზში კი მასწავლებლები თავისუფალ ასოციაციას - universitas - ქმნიან (იმ დროს ასე იწოდებოდა ყოველგვარი ლეგალური ასოციაცია; დღევანდელი შინაარსით კი იგი მხოლოდ შუა საუკუნეების ბოლოს დამკვიდრდა).

ცოდნისაკენ სწრაფვა და განათლების სიყვარული უნივერსიტეტის წარმოქმნის მხოლოდ ერთი ზოგადი პირობა იყო, უნივერსიტეტის უნიკალური შინაარსის ფორმირებაში კი გადამწყვეტი როლი წარსულის ინტელექტუალური მემკვიდრეობით უკმაყოფილო თაობათა ძალისხმევამ შეასრულა: უკვე დაგროვილ ცოდნაში (განსაკუთრებით - სამართლისა და საღვთო სწავლების სფეროებში) შინაგან ლოგიკურ წინააღმდეგობათა გაცნობიერება მოხდა. როგორც ეტყობა, სწორედ ამაში მდგომარეობს ევროპული სულიერი ცხოვრების გამორჩეულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი - *იგი არ ეგუება საკუთარ იდეალსა და რეალობას შორის შეუთანხმებლობას, არ თანხმდება ასეთ რეალობაში ყოფნას და დაუკმაყოფილებლობის ეს განცდა ამ რეალობის გარდაქმნისაკენ უბიძგებს!* დღეს ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ შეიძინა ამგვარმა ძალისხმევამ ინტელექტუალური მიმართულება; ან რატომ გამოვლინდა ეს ფენომენი ასე ძლიერ სწორედ ევროპელის ცნობიერებაში, როგორც არსებულის და ჩვეულებად ქცეულის ახალი თვალით დანახვის განსაკუთრებული უნარის ლოგიკურად აუხსნელი გამოვლინება.

შუასაუკუნეების ევროპის სულიერი ატმოსფერო ამ ძალისხმევის ძირითადი მასაზრდოებელი იყო. ამ ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე ანტიკური ინტელექტუალური მემკვიდრეობის გავლენა უდიდესი იყო. ეს განსაკუთრებით პლატონის ფილოსოფიას ეხება. კერძოდ, იგი ადამიანთა ყოფით მოსაზრებასა და პრაქტიკული ცხოვრების ცოდნას მკაფიოდ მიჯნავდა იმისაგან, რასაც მან იდეათა, ანუ, მოვლენათა და საგანთა პირველსაწყისი პრინციპების სამყარო უწოდა. იდეათა ეს სამყარო გახდა ფილოსოფოსთა (აკადემიური) შემეცნებითი სწრაფვის საგანი. ცხოვრებისეული პრაქტიკული ცოდნის და ფილოსოფოსთა აკადემიური ცოდნის მკაფიო პლატონისეულმა გამიჯვნამ ევროპული აზროვნების შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია; იგი ევროპული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამასთანავე, ამ ეპოქაში რელიგიური რწმენისა და იდეათა ცოდნისაკენ სწრაფვის ენთუზიაზმი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება; ფილოსოფოსი, რომელიც შორდება პრაქტიკულ რეალობას და აზროვნების საშუალებით "წმინდა იდეათა" ცოდნისაკენ ისწრაფვის, იმ ქრისტიან ბერს ჩამოჰგავს, რომელიც უფლის სამსახურში ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვაში წუთისოფელს განერიდება; როგორც აკადემიური ცოდნის, ასევე რწმენის სფერო პრაქტიკული ცხოვრებისაგან ერთნაირად დაშორებულად და ღმერთთან თანაბრად ახლოს მყოფად მოიაზრება, ხოლო უნივერსიტეტი ცოდნის ამ იდეალური სამყაროს პროფესიულ მსახურთა "ტაძრად" ყალიბდება. მას ის ადამიანები აარსებენ, რომელთათვის ანალიტიკურმა მჭვრეტელობამ, დიალექტიკის სიყვარულმა და ჭეშმარიტების ძიებამ თავისთავადი ღირებულება შეადგინა, მათი ცხოვრების აზრი და საქმიანობის შინაარსი მთლიანად განსაზღვრა.

ქრისტიანულმა კულტურულმა გარემომ "ცოდნის ძიება მხოლოდ თავად ცოდნისათვის" შესაძლებელი გახადა. XI-XII საუკუნის ფეოდალურ ევროპაში ადამიანთა თავისუფალი ასოციაციების ჩამოყალიბების ფართო შესაძლებლობა უნივერსიტეტის ინსტიტუციურად გაფორმების გადამწყვეტი პირობა გახდა. ამ დროს უნივერსიტეტის პრესტიჟი, რომელიც ცოდნის მიმართ საერთო თაყვანისცემას ეფუძნება, განუზომლად დიდია, ხოლო ევროპა უკვე საკმაოდ მდიდარია, რათა აკადემიური საქმიანობისათვის სახსრები გაიღოს. ასე ყალიბდება უნივერსიტეტი, მხოლოდ ცოდნის წყურვილით შეკავშირებულ ადამიანთა თავისუფალი ასოციაცია, პრაქტიკის მოთხოვნათაგან დისტანცირებული, აზროვნებითა და საქმიანობით სრულიად ავტონომიური.

უნივერსიტეტის სრულ აკადემიურ თავისუფლებაზე საზოგადოების მხრიდან შეტევის ტენდენცია XV საუკუნიდან ჩნდება. ამ პერიოდში ევროპის არისტოკრატიამ მიიჩნია, რომ სამეფო კარზე მის სიძლიერეს მისი განათლებულობა განსაზღვრავს. ამან განათლებას არა მხოლოდ "ცოდნით გონების გაჩირაღდნების", არამედ "ცხოვრებისათვის მომზადების" ახალი მიწიერი ფუნქციაც შესძინა. განათლების მიმართ მოთხოვნა დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ როგორი ცხოვრებისთვის ემზადებიან და სასარგებლოდ როგორ ცოდნას მიიჩნევენ. XVII საუკუნეში ევროპის ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივის გაცნობიერებამ უნივერსიტეტი საზოგადოების კიდევ უფრო ძლიერი პრაგმატული ინტერესების სფეროში მოაქცია, მისგან უკვე პრაქტიკული ცოდნა მოითხოვეს. უნივერსიტეტი ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით გატაცებულ ინტელექტუალთა შეტევის ობიექტი გახდა (თავად ლეიბნიცმაც კი აკადემიურ ცოდნას გაკილვით "განდეგილების ერუდიცია" უწოდა). შემდგომ, XVIII-XX საუკუნეებში, ევროპული სახელმწიფოების ცენტრალურ ხელისუფლებათა გაძლიერებამ ქვეყნის განვითარების მიზნისათვის მისი ყველა ინსტიტუტის (მათ შორის - უნივერსიტეტის) საქმიანობის უშუალო დაქვემდებარების დოქტრინა წარმოშვა. მიუხედავად ამისა, ევროპის ლიბერალური ძალები, რომელთაც კარგად ესმოდათ ქვეყანაში ინტელექტუალური და პოლიტიკური კულტურის განვითარებისათვის უნივერსიტეტის აკადემიური დამოუკიდებლობის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ მდგომარეობის დაცვას მაინც ახერხებდნენ.

უნივერსიტეტის იდეის სრული პროფანაცია, მასში აკადემიური თავისუფლებისა და, შესაბამისად, განათლების კულტურის დეგრადაცია მხოლოდ ტოტალიტარულმა რეჟიმებმა მოახერხეს. "კადრების სამჭედლოს" ინდუსტრიამ "პრაქტიკის მოთხოვნის" და "სოციალური დაკვეთის" ზემოდან თავსმოხვეული ფუნქციით უნივერსიტეტის აკადემიური სულისკვეთება შთანთქა და დაამახინჯა. პოლიტიკური იდეოლოგია, მისი ლოზუნგი - "განათლება ყველას!", პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტის "მავნე ელიტარიზმს" დაუპირისპირდა. უნივერსიტეტი მაქსიმალურად შეივსო აკადემიური საქმიანობისათვის გამოუსადეგარი ადამიანებით; არააკადემიური მოსაზრებებით სტუდენტების მიღება ასეთივე მასობრივ პრაქტიკად გადაიქცა. ამგვარი სამწუხარო გამოცდილება საქართველოსაც მოეპოვება.

## აკადემიური ცოდნისა და პრაგმატული ცოდნის შესახებ

აკადემიური ცოდნის სფეროსა და პრაქტიკული ცხოვრების ცოდნის სფეროებს შორის მიჯნის გაცნობიერებას ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრების შემეცნებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გასაგები გახდა, რომ ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრება ერთგვაროვანი არ ყოფილა; თურმე არც ჩვენი სამყაროს შესახებ ცოდნაა ერთი ტიპის; ცოდნის ზრდისათვის მისი წარმოების ინტენსიფიცირება ყოფილა საჭირო; ადამიანის პრაქტიკულ ეფექტურობას და პრაქტიკული ცოდნის განვითარებას თურმე მხოლოდ აკადემიური ცოდნის განვითარება უზრუნველყოფს; და რომ სხვადასხვა ტიპის ცოდნის წარმოებას განსხვავებული ინსტიტუციური პირობები სჭირდება. შესაბამისად ჩამოყალიბდა შემეცნებისა და განათლების ინსტიტუტთა ორი პარალელური შტო: ერთი - სამყაროში მარადიულისა და უნივერსალურის აკადემიური წვდომისაკენ მსწრაფი გრამატიკის სკოლები და უნივერსიტეტები; მეორე - უწყვეტად ცვლადი პრაგმატული სოციალური მოთხოვნებისათვის გამიზნული, სპეციალიზირებული ცოდნით აღჭურვილი ტექნიკური სკოლები და პოლიტექნიკური (სამედიცინო, აგრონომიული და სხვა) ინსტიტუტები. ამით დაპირისპირება - "აკადემიურობა და არაეფექტურობა", თუ "პრაქტიკულობა და ეფექტურობა" - საბოლოოდ მოიხსნა.

ძირითადი აკადემიური შეკითხვაა: როგორ არის სამყარო მოწყობილი (ალბერტ აინშტაინის შეკითხვა)? პრაქტიკული ცოდნის სფეროსთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა შეკითხვა: როგორ მოვარგო ეს სამყარო ჩემს პრაგმატულ მიზნებს (თომას ედისონის შეკითხვა)? ეს განსხვავება შეგვიძლია სხვანაირადაც გავიაზროთ: აკადემიურ სფეროში ცოდნა ძირითადად მისი ჭეშმარიტებით ან სიმცდარით ფასდება; პრაქტიკულ სფეროში კი შეფასების ძირითადი კრიტერიუმი ცოდნის ეფექტურობაა; თუმცა ეფექტური ცოდნა, აკადემიური თვალსაზრისით, შესაძლოა მცდარიც კი იყოს (მაგალითად, ის წარმოდგენა, რომ დედამიწა ბრტყელია, ადამიანს სივრცეში გადაადგილების მრავალი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტაში მხოლოდ ეხმარება). დიდად გავრცელებული ილუზიაა აკადემიურობას რაციონალობასა, ან ინტელექტუალობასთან აიგივებს. სინამდვილეში აკადემიური შემეცნება ინტელექტუალურია, მაგრამ ინტელექტუალური შრომის უდიდესი წილი (მაგალითად, ინჟინრის შემოქმედება) აკადემიური არ არის. აკადემიური აზრის თავისუფალ მოძრაობას თუ არაფერი არ ზღუდავს, პრაქტიკული ადამიანის აზროვნება, ობიექტურად, მისივე პრაგმატულით ინტერესით არის შეზღუდული.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ეფექტური და სამართლიანი სოციალური წყობის მშენებლობის ყველა ტექნოკრატიულ პროექტში საზოგადოება ერთიანი მიზნით შეკრული სისტემის, ანუ "სოციალური ორგანიზმის" სახით მოიაზრება. შესაბამისად, ამგვარ აზროვნებას საზოგადოებაში მოქმედი ყველა ინსტიტუტი ამ საერთო მიზნის მომსახურე სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებლად ესახება. მხოლოდ მოგვიანებით, უკვე ჩვენს დროში, გახდა ნათელი საზოგადოებაზე ამგვარი "ორგანიზმული" შეხედულების სიმცდარე. საზოგადოება სისტემა არ არის, იგი ადამიანთა გაცილებით უფრო თავისუფალი შინაგანი წყობის ერთობაა; შესაბამისად, მას არც ერთიანი სისტემური მიზანი აკისრია; საზოგადოების ჯანსაღი არსებობა და ეფექტური განვითარება მასში ისეთი ინსტიტუტების არსებობასაც მოითხოვს, რომელთაც არა აქვთ (და პრინციპულად არც შეიძლება ჰქონდეთ) ამ ერთიანი "სოციალური ორგანიზმის" მომსახურე რაიმე ფუნქცია. ამგვარ ინსტიტუტებს მხოლოდ მისია გააჩნიათ - ისინი ღირებულებებს ემსახურებიან და ამით (სურთ მათ ეს, თუ არა) ქვეყანაში ამ ღირებულებებს ამკვიდრებენ. ასეთია ეკლესია, თეატრი, კონსერვატორია; უნივერსიტეტიც ასეთია! ეს მისიონერული ინსტიტუტები იმ ადამიანთა შემოქმედების სფეროა, რომელთათვის რწმენის სამსახური, მშვენიერების ქმნა, შემეცნება - ღირებულია ამ პროცესის არა შედეგით, არამედ ეს შემოქმედებითი პროცესია თავისთავადი ღირებულების მქონე. მისი არსი სამყაროს საკუთარი ხედვისა და გაგების გამოხატვაში, თვითრეალიზაციაში მდგომარეობს (ბ. პასტერნაკი: "Цель творчества самоотдача..."). ამ ინსტიტუტებში მიმდინარე ცხოვრება უწყვეტი დიალოგია, აქ საბოლოო სიტყვას არ ამბობენ, აქ რწმენას მხოლოდ რწმენისათვის, ხელოვნებას - ხელოვნებისათვის, მეცნიერებას - მეცნიერებისათვის ემსახურებიან.

ერთი შეხედვით შეიძლება პარადოქსულიც კი იყოს, მაგრამ, როდესაც საზოგადოება ასეთ "უმიზნო და უფუნქციო" ინსტიტუტებს არსებობის საშუალებას უქმნის და მათ ავტონომიას იცავს (შუა საუკუნეების მსგავსად), ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა ინსტიტუტი სწორედ მაშინ ეფექტურად ფუნქციონირებს, პრაგმატული ცოდნა განსაკუთრებით აქტიურად და ეფექტურად სწორედ ამგვარ ატმოსფეროში ვითარდება. საზოგადოებრივი კულტურის ეს "უმიზნო და უფუნქციო" ინსტიტუტები ქმნიან იმ კულტურულ გარემოს (ამაზე სპეციალური ზრუნვის გარეშე), რომელშიც ყველა სხვა მიზანმიმართული ინსტიტუტი ზნეობრივი, პროფესიული, სამართლიანი ხდება. აქ აღარც კორუფცია არსებობს, როგორც საზოგადოებრივი დაავადება; შესაბამისად, *უნივერსიტეტში კორუფცია არ მძვინვარებს არა პოლიციელთა კორდონით დაცული ერთიანი ეროვნული გამოცდების წყალობით, არამედ იგი აღარ არსებობს, იმიტომ რომ არ არსებობს!*

ყველაფერი ზემოთქმული უფრო იდეალია. სადღეისოდ, განვითარებულ ქვეყნების თითქმის ყოველ უნივერსიტეტს პრაგმატული მიზნის მქონე სხვადასხვა ორგანიზაციული მინაშენი მოეპოვება, რაიმე სპეციალიზირებული კოლეჯის, სკოლის, ან ინსტიტუტის სახით. მიუხედავად ამისა, ყოველი უნივერსიტეტის საფუძველში უნივერსიტეტის იდეის ძირითადი ნიშნები მყარადაა გასაგნებული. თანამედროვე მსოფლიომ კარგად იცის, რომ ინსტიტუციურად დაცული "განდეგილთა ერუდიცია" ქვეყნის განვითარების აუცილებლობაა. უნივერსიტეტის ჯანსაღი ფუნქციონირება რეალურად დაცულია მხოლოდ პლურალისტულ საზოგადოებაში, სადაც თავისუფალი ინიციატივის მრავალი ცენტრი არსებობს, რომლებიც ერთობლივად ამ დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმს ქმნიან. აქ, ლიბერალური სულისკვეთების წარმოქმნისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი წყარო თავად უნივერსიტეტია. სწორედ ამიტომ, მისი ავტონომიური არსებობის რესურსს საზოგადოება შეგნებულად გამოყოფს, ხოლო უნივერსიტეტის იდეას, მის შემოქმედებით თავისუფლებას და ავტონომიურ სტატუსს, სახელმწიფო იცავს.

## როგორ გადავარჩინოთ თბილისის უნივერსიტეტი?

ევროპის კულტურულ გარემოში უნივერსიტეტის გაჩენა შემთხვევით ისტორიულ მოვლენათა მთელმა წყებამ განაპირობა ისე, რომ მისი ინსტიტუციური შინაარსი წინასწარ არავის ჩაუფიქრებია. მაგრამ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი უკვე გაჩნდა და დამკვიდრდა, შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის იდეის, ანუ მისი იდენტურობის ფუნდამენტური ნიშნების ამოკითხვა. ამ იდენტურობას კი ორი ძირითადი პირობა განსაზღვრავს: 1. უნივერსიტეტში ინტელექტუალური ცხოვრების (აკადემიური) შინაარსი და 2. მასში შინაგანი ორგანიზაციის ფორმა (სრული ავტონომია).

"უნივერსიტეტის იდეა" საქართველოსთვის უცნობი არ არის. პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ მამებს ეს იდეა ღრმად გათავისებული ჰქონდათ. ჯერ კიდევ 1917 წელს, ასაბუთებდა რა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობას, ივანე ჯავახიშვილი წერდა: "არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება... თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული"; და კიდევ - "მეცნიერებას კი მუდმივი დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია...". დღევანდელი გადასახედიდან საოცრად მოჩანს, თუ როგორ მოახერხეს სრულიად არალიბერალურ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში ჩვენმა მამა-დამფუძნებლებმა აკადემიური სულის "დაუცხრომელ მსახურ ქურუმთა" უნივერსიტეტის დაარსება და ჯანსაღი განვითარება. დღეს კი, "თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენა", მასში უნივერსიტეტის იდეის აღორძინებას ნიშნავს. ამისათვის ეს იდეა უნივერსიტეტის ინსტიტუციურ წყობაში ადეკვატურად უნდა აისახოს.

დღეს თბილისის უნივერსიტეტის რეფორმატორები საქმეს სრულიად უნაყოფო და, პროფესიული თვალსაზრისით, პრინციპულად მცდარი მხრიდან - ორგანიზაციული გარდაქმნით შეუდგნენ. ძნელია სოციალური ინსტიტუტის გარდაქმნის იმაზე უფრო მავნე მიდგომის მოფიქრება, როდესაც ამ ინსტიტუტის არსში (მის იდეაში) გარკვევის, წინა თაობათა ნამოღვაწარის გააზრებისა და რეფორმის მიზანდასახულობის საჯაროდ გაცნობიერების გარეშე ხდება მისი ახალი ორგანიზაციული ფორმის შეკოწიწება, როგორც ჩანს იმ იმედით, რომ შემდეგ ამ ფორმაში, ოდესმე და თავისთავად, რაღაც ჯანსაღი შინაარსი დაიბუდებს. ასეთი მიდგომით მივიღებთ მხოლოდ ახალ "სამოსელში გამოწყობილ" ძველ შინაარსს და არა მის თვისობრივ ცვლას, ანუ პროგრესს. ორგანიზაციული ფორმა შინაარსის მხოლოდ არსებობის პირობაა, იგი ამ შინაარსითაა მთლიანად განსაზღვრული და არა პირიქით. ხოლო როდესაც ინსტიტუციური რეფორმის წამყვანი ფაქტორი ეს ფორმა ხდება, ამ ინსტიტუტს ეშმაკები ეპატრონებიან. არ არსებობს ბუნების ისეთი კეთილი კანონი, რომელიც ჩვენი უმეცრობის შედეგებისაგან დაგვიცავს.

ეს წერილი "უნივერსიტეტის გადარჩენის" კონკრეტული რეკომენდაციის გაცემას არ ისახავს მიზნად. თბილისის უნივერსიტეტის რეფორმის პრობლემა ამგვარ ღონისძიებათა შერჩევაში როდია. *ამ რეფორმის პრობლემა - რეფორმის მეთოდოლოგიურ გაუმართაობაში, ამ პროცესის გააზრების მცდარ ფორმაში მდგომარეობს.* ასეთ პირობებში კი, ყოველი კონკრეტული ორგანიზაციული ღონისძიება გარდუვალად არა მხოლოდ არაეფექტური, არამედ მავნე შედეგების მომტანიც იქნება. ამ გარემოებაზე ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების გამახვილება - ამ წერილის მიზანია. ***უნივერსიტეტის რეფორმის არსი და ძირითადი ამოცანა უნივერსიტეტის ისეთი ინსტიტუციური ფორმის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს, რომელშიც უნივერსიტეტის იდეა ადეკვატურად იქნება ასახული.*** პროფესიული თვალსაზრისით, სწორედ ამაშია ამ რეფორმის განხორციელების ძირითადი ინტელექტუალური და პოლიტიკური სირთულე.

ე. კანტი განათლებას "ცოდნით გონების გასხივოსნებას" უწოდებდა. ამგვარად მოაზრებულ განათლებას მხოლოდ ერთეულები ესწრაფვიან და თუ იგი სხვა, ცხოვრებისათვის სასარგებლო (უმრავლესობისათვის სასურველ) ცოდნაში იქნება აღრეული, მივიღებთ ინსტიტუციურად დამახინჯებულ სიტუაციას. უნივერსიტეტი არ არის ხელობის დაუფლების ადგილი; აქ ადამიანები, რომელთა მოწოდებად შემეცნებითი ინტერესების სამსახური ქცეულა, მათ რეალიზაციას ახდენენ. გარდა ამისა, აკადემიური აზრით, "სწავლა" - შემეცნების ობიექტის გადააზრებას გულისხმობს. ამდენად, საუნივერსიტეტო სწავლება მხოლოდ ლექტორის სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის ჩვენში დამკვიდრებული ფორმა როდია, იგი თავად ლექტორის აკადემიური შემოქმედების ერთ-ერთი ფორმაც არის. ეს გარემოება სასწავლო ლექციას უნივერსიტეტში უაღრესად სპეციფიკურ საგანმანათებლო-შემეცნებით პროცესად აქცევს. ამ მდგომარეობის ადეკვატური ინსტიტუციური ასახვა უნივერსიტეტის რეფორმის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

უნივერსიტეტის ჯანსაღი რეფორმირება ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებაში ჩართულ ყველა სხვა ინსტიტუტთა როლებისა და ფუნქციების ერთიანად გადააზრებას და ურთიერთშეთანხმებას მოითხოვს. ამ ინსტიტუტთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რეფორმირების მცდელობით რეალური პოზიტიური შედეგის მიღწევა მეთოდოლოგიური ილუზიაა. ამდენად, ***ქართული საზოგადოების წინაშე რეალურად არა თბილისის უნივერსიტეტის გადარჩენის (რომელიც, რასაკვირველია, გადასარჩენია!), არამედ ქვეყანაში მაღალორგანიზებული ცოდნის წარმოების მთელი კომპლექსის - სასკოლო განათლების, უმაღლესი პროფესიული განათლების, საუნივერსიტეტო განათლების, მეცნიერებათა აკადემიის - ანუ ქვეყნის მთელი ინტელექტუალური ცხოვრების შინაარსის ერთიანი გადააზრების პრობლემა დგას.***

თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოსთან ინტეგრირებული თანაცხოვრება საქართველოს სტრატეგიული არჩევანია. ინტეგრირება საერთაშორისო შრომის დანაწილებაში (მათ შორის, ინტელექტუალური ცხოვრების სფეროშიც) არსებით ჩართვას გულისხმობს. საქართველომ უნდა გადაწყვიტოს, თუ ქვეყნისათვის რა აუცილებელ ფუნქციებს ასრულებს იგი თავად, ხოლო სხვათაგან რის და როგორი ფორმით აღებას აპირებს. ჩვენისთანა მცირე (და ღარიბი) ქვეყნისთვის ამგვარი მიდგომა გარდუვალი აუცილებლობაა. ამდენად, ***უნივერსიტეტის რეფორმის პრიორიტეტები ქვეყნის განვითარების სტრატეგიული გადაწყვეტილებით უნდა იქნეს განპირობებული!*** მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა განისაზღვროს, თუ რა კონკრეტული შინაარსით შეივსოს უნივერსიტეტი; და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უნივერსიტეტის ამ შინაარსის ადეკვატური შინაგანი ორგანიზაციის ფორმის განსაზღვრა. ***თანამედროვე პოლიტიკური აზროვნებისათვის საზოგადოების ფუძემდებელ ინსტიტუტთა რეფორმის სხვა მიდგომა უცნობია!***

ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს, თუკი ქართული საზოგადოება მიიჩნევს, რომ სადღეისოდ ქვეყანას განათლებაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრობლემა არ გააჩნია და, შესაბამისად, არც მოვლენათა განვითარების პასიურ მაყურებლად დარჩება. ამ საზოგადოებას უკანასკნელი ათწლეულის გამოცდილებითაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული. ***ქვეყნის განვითარებისათვის უნივერსიტეტის ბედი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი არ შეიძლება მთლიანად ბიუროკრატიას ვანდოთ!***

# სანდრა რულოვსის ახალი ინიციატივა



ქრონიკული და ინკურაბელური სენით შეპყრობილ პაციენტთა პალიატიურმა მზრუნველობამ, როგორც სისტემამ, გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში მიიპყრო ქართველ მედიკოსთა ყურადღება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც 1999 წელს ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელშეწყობით კლასიკური და ტრადიციული მედიცინეს აკადემიის მაშინდელი ხელმძღვანელები, პროფესორები დ.კორძაია და ო. თოიძე მიწვეული იქნენ პალიატიური მზრუნველობის ევროპული ასოციაციის VI კონგრესზე ქალაქ ჟენევაში. იქ პირველად იქნა გაცნობიერებული, რომ "პალიატიური მზრუნველობა" გულისხმობს იმ პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელთა სრული განკურნებაც მედიცინის განვითარების მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია (და აუცილებელი) იმ დისკომფორტთან და ტკივილთან ბრძოლა, რომელიც წამყვანი ჩივილი ხდება აღნიშნული კონტინგენტისათვის; რომ შესაძლებელია პირადი ღირსებისა და სოციალური ფუნქციის ბოლომდე შენარჩუნება; რომ პალიატიური სამედიცინო დახმარება ნაკლებად უნდა ითვალისწინებდეს საფასურის გადახდას პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების მხრიდან და რომ ის უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფოს და ქველმოქმედების ხარჯზე; რომ პალიატიური მზრუნველობის სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს ქვეყნისა და საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური განვითარების კრიტერიუმს . . .

შემდგომში, ჩვენს ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის სისტემის შექმნისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა უკავშირდება პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის "ჰუმანისტთა კავშირის" და ა/ო "ონკოპრევენციის ცენტრის" სახელებს. ამ ორგანიზაციების ხუთწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, მოწვეულ იქნენ პირველი უცხოელი მასწავლებლები, გაჩნდნენ პირველი პარტნიორები, ღია საზოგადოების ინსტიტუტის და "ღია საზოგადოების ფონდის" მხარდაჭერით მომზადდა ექიმთა, ექთანთა და მოხალისეთა პირველი გუნდები, მოპოვებულ იქნა ქვეყნის ჯანდაცვის მესვეურთა და ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს მხარდაჭერა. თითქმის ყველაფერი მომზადდა პალიატიური მზრუნველობის სამსახურის პრაქტიკული ამოქმედებისათვის, მაგრამ. . . პრობლემად იქცა მედიკოსთა შრომის ანაზღაურებისათვის ფინანსების მოძიება.

სწორედ ამ გადამწყვეტ სიტუაციაში ინიციატორისა და ლიდერის როლი იტვირთა ქალბატონმა სანდრა რულოვსმა და მის მიერ დაფუძნებულმა საქველმოქმედო-ჰუმანიტარულმა ფონდმა "SOCO"-მ, რომელმაც სხვადასხვა სპონსორთა და დონორთა შემოწირულობებით დააფინანსა ასოციაცია "ჰუმანისტთა კავშირის" მიერ წარმოდგენილი **"ბინაზე პალიატიური მზრუნველობის"** ერთწლიანი პროგრამა, რაც გულისხმობდა ასზე მეტ პაციენტთან განხორციელებულ 3000-ზე მეტ ვიზიტს, უაღრესად შეჭირვებულ ადამიანთათვის პროფესიულ-სამედიცინო, სოციალური და მორალური დახმარების აღმოჩენას.

პროექტის დირექტორი პროფესორი დ.კორძაია აღნიშნავს:

**"მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობ მრავალი ქვეყნის პალიატიური მზრუნველობის სამსახურს, ნამდვილად არ მოველოდი ასეთ გამოძახილს და მხარდაჭერას პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების მხრიდან. ვფიქრობ, ამას თავისი მიზეზები აქვს: ჩვენი "მობილური" გუნდის წევრები პროფესიული თვალსაზრისით კარგად არიან მომზადებული; პაციენტებისა და მათი ოჯახების ერთი ნაწილის სიდუხჭირეც, თავის მხრივ, განსაკუთრებულ ფასს ადებს მათთვის უანგაროდ გაწეულ სამედიცინო მომსახურებას; ამასთანავე, ფრიად მნიშვნელოვანია ამ დახმარების ორგანიზატორის - ქვეყნის პირველი ქალბატონის - პოპულარობა და სიყვარული ხალხში. ასეთ დაკვირვებას გაგიზიარებთ: აღნიშნული პროექტის პარალელურად ასოციაცია "ჰუმანისტთა კავშირმა" ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით მოამზადა ვიდეორგოლები უშუალოდ პაციენტთა მონაწილეობით. ეს ვიდეორგოლები უკვე მთელი თვეა, რაც გადის ტელეეთერში, როგორც სოციალური რეკლამა. აქვე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ბატონ ბ.პატარკაციშვილის მხარდაჭერა, რომლის შედეგადაც ამ აქციაში საზოგადოებრივი ტელევიზიის პარალელურად "სრული დატვირთვით" ჩაერთო ტელეკომპანია "იმედი"-ც. აღნიშულ ვიდეორგოლებზე მითითებულ სატელეფონო ნომრებზე შემოვიდა ათასობით მხადამჭერი ზარი და SMS-ი. ამ SMS-ებში ხშირად მეორდება ორი სიტყვა: "გმადლობთ, სანდრა!"**



**ქვეყნის პირველი ქალბატონის ინიციატივა გაზიარებული იქნა ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერაც. ბატონი ლ. ჭიპაშვილის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა პირველად დააფინანსა პალიატიური მზრუნველობის ორივე მოდელი: "ჰოსპისი" (პალიატიური მზრუნველობა სტაციონარში) და "პალიატიური მზრუნველობა ბინაზე". შედეგად, 2005 წელს პალიატიური მზრუნველობა გაეწევა სამასამდე პაციენტს. ასეთი ტემპით ეს სამსახური არ განვითარებულა აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.**

**8 ოქტომბერს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება პალიატიური მზრუნველობის დღე. წელს ამ აქციას ქალბატონი სანდრას ინიციატივით პირველად შეუერთდება საქართველოც. დაგეგმილ შეხვედრაზე გათვალისწინებულია ჩემი პრეზენტაცია ბინაზე პალიატიური მზრუნველობის პილოტური პროექტის შედეგების თაობაზე, აგრეთვე ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის და ა/ო "ონკოპრევენციის ცენტრის" ინფორმაციის მოსმენა ჰოსპისის მუშაობის თაობაზე.**

**საქართველოში პალიატიური მზრუნველობის დანერგვის მიმართულებით გაწეული სამუშაო არ დარჩენილა უცხოელ კოლეგათა და პარტნიორთა ყურადღების გარეშე. 2005 წლის 4-7 სექტემბერს, ბუდაპეშტში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ პალიატიური მზრუნველობის მესვეურთა და ექსპერტთა საერთაშორისო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით განზრახულია საქართველოში დაიწყოს პალიატიური მზრუნველობის სისტემის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის 3-წლიანი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო გარანტიების შექმნას. შეხვედრის მონაწილეთათვის სასიამოვნო სურპრიზად იქცა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის მისალმება და პალიატიური მზრუნველობის სისტემის განვითარებისადმი მხარდაჭერის გამოხატვა, რომელიც მან ვიდეო-კასეტით გაგვატანა ბუდაპეშტში.**



**მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაგეგმილია პალიატიური მზრუნველობის იმ პროგრამების პრეზენტაციაც, რომლის ჩართვაც საერთაშორისოდ რეკომენდებულია უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლების კურიკულუმებში. ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ამჟამად იხილავს "პალიატიური მედიცინის" სუბსპეციალობად გამოყოფის საკითხსაც."**

ამდენად, ქალბატონ სანდრა რულოვსისა და ასოციაცია "ჰუმანისტთა კავშირის" ინიციატივის განვითარებას რეალური პერსპექტივა უჩანს.

*გ. შაიშმელაშვილმა*

---

HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

### ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**

ყოფის ისტორია

■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში

ეთნიკურობა და საზოგადოება

■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია

პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში

■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

**სოციოლოგია:**

უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები

■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები

რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში

■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში

გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება

**მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):**

საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი

■ არქიტექტურა და ხელისუფლება

ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა

■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა

ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)

■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.

საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**

**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**

**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**

---

სიიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **მარნეულის რ-ნის სოფ. წერეთლის წყალსადენის რეაბილიტაცია.** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **წერეთლის** საკრებულოს სათემო კავშირთან **"წერეთელი-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"წერეთელი-2005"**, იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, მარნეულის რაიონი,**

**წერეთლის საკრებულო სოფ. წერეთლის გამგეობის შენობაში.**

საკონტაქტო პირი **გივი გოგრიჭიანი**, სათემო კავშირი **"წერეთელი-2005"**-ს თავმჯდომარე.

**2005** წლის **24** 09 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2500** ლ.

არის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, მარნეულის რაიონი,**

**სოფ. წერეთლის საკრებულოს გამგეობის შენობა.**

საკონტაქტო პირი **გივი გოგრიჭიანი**, სათემო კავშირი **"ბარისახო-2005"**-ს თავმჯდომარე.

**2005 წლის 24 10 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 1:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

**ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს საინფორმაციო პროგრამის წამყვანის თანამდებობაზე**

**მოთხოვნები**

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**



სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ**

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **დაბა ქედის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **დაბა ქედის სათემო კავშირთან "ბეთლემი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბეთლემი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, დაბა ქედა,**
**ქედის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რომან დიასამიძე, სათემო კავშირი "ბეთლემი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 29 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, დაბა ქედა,**
**ქედის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რომან დიასამიძე, სათემო კავშირი "ბეთლემი"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 27 ოქტომბრის 12 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ**

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ოზურგეთის რაიონის, სოფელ ასკანის სკოლის რემონტის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ასკანის სათემო კავშირთან "ასკანა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ასკანა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ასკანის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ოთარ მელუა, სათემო კავშირი "ასკანა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 28 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ოზურგეთის რაიონი,**
**სოფელ ასკანის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ოთარ მელუა, სათემო კავშირი "ასკანა"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 26 ოქტომბრის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


*კრივი*

# ВОЛОДЯ МОЛОДЕЦ!!! ОЙ, КАК НАПЬЮСЬ...

*უკრაინელ გიგანტ ვლადიმირ კლიჩკოსა და ნიგერიელ პიტერ სემიუელს შორის გუშინ გამთენიისას ატლანტიკ სიტიში შემდგარ ორთაბრძოლაში ერთნი დიდ ჩხუბს ელოდნენ, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ ანუ, განვითარებული მოვლენების მიუხედავად, მათ შორის დაპირისპირებამ შედეგი მაინც გამოიღო. უკრაინელმა დაამტკიცა, რომ შეუძლია ჰქონდეს საუკეთესოთა შორის ჩხუბის ამბიცია. მაგრამ ეგაა, საჩემპიონოდ ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. წერილის სათაურად უკრაინელის ერთ-ერთი გულშემატკივრის სიტყვებია წამძღვარებული, რომელიც მავანს ორთაბრძოლის დასრულებისთანავე აღმოხდა. ეს კი მეორე გულშემატკივრის სიტყვებია: Мужики, расслабтесь-бой прошёл и выиграл Владимир Кличко, как это неприятно для одних и радостно для других.*

გიგა გურასაშვილი

სემიუელის ბანაკი იქადნებოდა, პიტერი უკრაინელს გააშიშვლებს და მის ნამდვილ სახეს დაგანახებთო. კლიჩკო-უმცროსი კი იმას ამბობდა, რომ ბრძოლა დროზე ადრე დასრულდებოდა, რადგან მეტოქე ნოკაუტს იგემებდა. პირობა ვერც ერთმა ვერ შეასრულა. ნიგერიელმა უკრაინელი ვერ დაამარცხა, ხოლო ვლადიმირს საქმის ბოლომდე მისაყვანად 12-რაუნდიანი ორთაბრძოლა გადახდა. მართალია, გამარჯვება უკრაინელს დარჩა, რაც იმის მაუწყებელია, რომ IBF-ისა (ფედერეციის) და WBO-ს (ორგანიზაციის) ანუ, ორი სხვადასხვა ვერსიის მოქმედ მსოფლიო ჩემპიონებთან შესარკინებლ პრეტენდენტთა შორის რეიტინგის პირველი ნომერი (სავალდებულო მეტოქე) გახდა, მაგრამ სამჯერ ნოკდაუნში ყოფნამაც რომ მოუწია? ისე, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ნოკდაუნი სრულფასოვანი ნოკდაუნი არ ყოფილა. ნიგერიელმა ერთ შემთხვევაში აშკარა წესების დარღვევით იმოქმედა - კეფაში უთავაზა, რასაც კლიჩკო-უმცროსის წაქცევა მოჰყვა. უკრაინელის წაქცევაც არ ყოფილა წაქცევა. წამიერად დაეცა და ისიც აშკარად ეტყობოდა, რომ დარეტიანებული არ იყო. უბრალოდ, წაიქცა და მორჩა, ისევე როგორც შემდგომ.



ვლადიმირი პიტერმა სამჯერ წააქცია, მაგრამ მაინც ვერ აჯობა.

რაც შეეხება ორთაბრძოლას, ორი სიტყვით იმის თქმა შეიძლება, რომ სემიუელ პიტერი უფრო აგრესიულად გამოიყურებოდა. ძირითად სამიზნედ უკრაინელის კორპუსი ჰქონდა ამოჩემებული და შიგადაშიგ მეტოქის თავ-ყბასაც უტევდა, მაგრამ მიზანს ძირითადად აცელდა. უკრაინელი კი ნიგერიელისგან განსხვავებით აგრესიულად არა, მაგრამ უფრო ეფექტურად და აკადემიურად მოქმედებდა, რამაც საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სამივე მსაჯთა დათვლით ვლადიმირ კლიჩკომ სემიუელ პიტერს ერთნაირი ანგარიშით - 114-11, 114-111, 114-111 აჯობა.

# თუ არ გინდა ჩაგეძინოს საყვარელ ქალთან...

"Ешь хлеб ржаной - не уснёшь с женой". მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ მჯეროდა, რომ ეს ძველი რუსული ანდაზა ჭეშმარიტებას ღაღადებდა. მხოლოდ წლების შემდეგ, როდესაც მედიცინას პროფესიულად დავეუფლე, დავრწმუნდდი, რომ ანდაზა "მიირთვი ჭვავის პური და არ დაგეძინება ცოლთან" არა მარტო ცხოვრებისეული გამოცდილებით, არამედ მეცნიერულადაც დასტურდება - ნატურალური ჭვავის პურის საკვებად რეგულარული გამოყენება სასარგებლოა ორივე სქესის ადამიანის რეპროდუქციული ფუნქციისა და სექსუალური პოტენციის ხანგრძლივი დროით შესანარჩუნებლად. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჭვავის პური ადამიანის ორგანიზმის თავისებური მცველიცაა - იგი გვიცავს ავიტამინოზისგან და მისი უსიამოვნო შედეგებისგან, თან ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში და წარმოადგენს მშვენიერ დიეტურ პროდუქტს ზედმეტი წონის თავიდან ასაცილებლად, მივხვდებით, რომ მისი მიღება არა მარტო სასიამოვნო, არამედ სასრგებლოც არის.

არსებობს დიეტოლოგების მიერ შედგენილი ჯანმრთელი ცხოვრების წესის (ჯანსაღი კვების) ამსახველი პირამიდა, რომლის საფუძველშიც ჭვავის პური დევს, ხოლო წვერში ცხიმების და კალორიების ნაკრები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭვავი ჩვენი ორგანიზმისთვის უაღრესად სასარგებლო და, შეიძლება ითქვას, შეუცვლელი პროდუქტია. შეუცვლელია იმიტომ, რომ იგი მდიდარია ნახშირწყლებით, რომელიც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ნორმალურად ფუნქციონირებას და ამცირებს ქოლესტერინის ოდენობას სისხლში. გარდა ამისა იგი დიდი ოდენობით შეიცავს A ჩვენი ორგანიზმისთვის ასე აუცილებელ ვიტამინებსა და მინერალებს. ჭვავის პური B1, B2 და PP ვიტამინებისა და მინერალების: კალციუმის, კალიუმის, მაგნიუმის, ფოსფორის, ცინკისა და რკინის წყაროა. თუ ადამიანი დღეღამის განმავლობაში საშუალოდ 500 გრამ ჭვავის პურს მიირთმევს, მისი ორგანიზმი მიიღებს ვიტამინების დღიური ნორმის: B1 - 68 %-ს, B2 - 28 %-ს, და PP - 82%-ს. შედარებისთვის, საქართველოში პოპულარულ, იგივე ოდენობის თეთრი ქვის პურში B1 - 30 %-ა, B2 - 15 %, და PP - 20%. სამკურნალო-პროფილაქტიკური ეფექტის მისაღება აუცილებელია ჭვავის პურის რეგულარული მიღება.

სამწუხაროდ, ნამდვილი ჭვავის პურის გემო დიდიხანია დაავიწყდათ ადამიანებს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც, სადაც ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა. მიზეზი მარტივია - ჭვავის პური, რომელსაც დღეს გვთავაზობენ, ძირითადად სუროგატია, ნაწილობრივ არის დამზადებული ჭვავისგან. როგორც ცნობილი დიეტოლოგი, აკადემიკოსი ვასილ სისოევი აღნიშნავს : "რუსეთში უკვე თაობები გაიზარდა, რომლებსაც არ უგემიათ ნამდვილი ჭვავის გემო. დღეისთვის მისი წილი რუსეთში მოხმარებული პურპროდუქტების მთელ წილში მხოლოდ 15 პროცენტია, მაშინ როდესაც ჯანდაცვის მოთხოვნით, სულ ცოტა 40 პროცენტს მაინც უნდა შეადგენდეს.". ცხადია, საქართველოში მოხმარებული ჭვავის პურის წილი გაცილებით ნაკლებია და 5 პროცენტსაც კი ვერ უახლოვდება. სხვა საქმეა, თუ რამდენად ჭვავის არის ის პური, რომელსაც ქართული ბაზარი გვთავაზობს.

საერთოდ, პურისა და სხვა კვების პროდუქტების ხარისხის პრობლემა საქართველოში ძალზე სერიოზულია. ფალსიფიცირებულ, უხარისხო კვების პროდუქტებზე საუბარი წლების მანძილზე მიმდინარეობს, მაგრამ საუბარი საუბრად რჩება. მიუხედავად ბოლო დროს განხორციელებული ენერგიული ღონისძიებებისა, სუპერ და მინიმარკეტებში, განსაკუთრებით კი ბაზრობებზე დახლები სავსეა უხარისხო, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გენური ინჟინერიით შექმნილი, ქიმიური დანამატებითა და შემცვლელებით გაჯერებული, ხშირად ჯანმრთელობისთვის შეუთავსებელი, მოშიმშილე მესამე ქვეყნებისთვის განკუთვნილი კვების პროდუქტებით. სამწუხარო ის არის, რომ ეს მარტო იმპორტირებულ პროდუქტს არ ეხება. ღვინისა და ვაზის სამშობლოში ნატურალური ღვინო სანთლით საძებარი გახდა. ბუნებრივი მინერალური წყალი "ბორჯომი" კონკურენციას ვერ უწევს ფალსიფიცერებულ სუროგატს. ცნობილი "ქართული პურის", "შოთიპურის", ქვეყანაში, მცირედი გამონაკლისის გარდა, პური არ იჭმევა, ცომში სხვადასხვა დანამატების, საღებავებისა და საფუარის ძალიან დიდი ოდენობით გამოყენების გამო. ვითარებიდან გამომდინარე ვფიქრობ, იქნებ დროა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სიგარეტების დარად, კვების ამგვარ პროდუქტებსაც დაურთოს შეგონება: "ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, კვების პროდუქტი საშიშია თქვენი ჯანმრთელობისთვის".

ჭვავის პურს, ისევე როგორც პურის სხვა სახეებს, ადამიანი უძველესი დროიდან იცნობს და სიამოვნებით მიირთმევს. ყველაფერი ძველ ეგვიპტეში დაიწყო. შემდეგ პურის გემო ძველმა ბერძნებმა და რომაელებმაც იგემეს. ხოლო შუა საუკუნეებიდან პურის ცხობის „ეპიდემია" მთელ ევროპას მოედო. იმ დროისთვის საქართველოში პურის ცხობის საკუთარი ტრადიცია არსებობდა. შეიძლება ითქვას, საქართველო პურის ცხობის უძველეს ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა ჭვავის პურის მოხმარების ტრადიცია ნაკლებად გვაქვს.

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ხორბლის კულტი არსებობდა, ლიტვაში ჭვავი მნიშვნელოვნად ჭარბობდა. თუ საქართველოში თეთრ ხორბლის პურს ვანიჭებდით უპირატესობას, ლიტვაში წამყვანი, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი, ჭვავისგან დამზადებული პური გახლდათ.

ლიტვა შემთხვევით არ გვიხსენებია. დღეს სწორედ ლიტვაზე გვექნება საუბარი - ევროპული ტრადიციებისა და კულტურის მატარებელ, ერთერთ უძველეს ქვეყანაზე, რომელიც, როგორც ჩანს, სულ მალე სუამ-ის წევრი გახდება. ლიტვა გვეხმარება ევროკავშირში, ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებაში, იწყებს ინვესტირებას ქართულ ეკონომიკაში, თანამშრომლობას საქმიანობის მრავალ სფეროში. ლიტვა არა დეკლარირებულად, არამედ გეოგრაფიულადაც და, რაც მთავარია, მენტალიტეტითაც ევროპული ქვეყანაა და მასთან პარტნიორობა ნამდვილად სასარგებლო იქნება საქართველოსთვის.

სულ ახლახანს თბილისში ლიტვური საწარმო, პურის საცხობი გაიხსნა. ლიტველი მცხობელები ქართველ გურმანებს სთავაზობენ, უძველეს ლიტვურ ტრადიციებზე დაფუძნებული ტექნოლოგიებით, არაფალსიფიცირებულ, ხარისხიანი ჭვავიდან, საფუარისა და სხვა დანამამტების გარეშე გამომცხვარ, ჯანმრთელ, ნატურალურ ჭვავის პურს, რომელიც გამოცხობიდან 7 დღის განმავლობაში ინარჩუნებს პირვანდელ გემოსა და არომატს, 10 დღის განმავლობაში კი ვარგისიანობას და, რაც მთავარია, ლიტვური პური სასწაულებრივად მოერგო ქართულ სამზარეულოს. საკმარისია ერთხელ გასინჯო და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ცნობილი ქართული კერძები არა მარტო ღომზე, ჭადსა და ქართულ პურზეა გათვლილი, არამედ ლიტვურ ჭვავის პურზეც. მითუმეტეს რომ მაღალკალორიულ ქართულ სამზარეულოსთვის დაბალკალორიული ჭვავი საჭმლის მონელებისთვის და ცხიმების დასაწვავად ზედგამოჭრილია. არ გეგონოთ ღომისა და მჭადის იგნორირებას ვაპირებდეთ, უბრალოდ ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ ჭვავის პური ახალ გემოვნურ თვისებებს შესძენს ქართულ სამზარეულოს.

ჭვავის პურის ბუტერბროტები, არა მარტო კარაქით, ყველით, ძეხვით, თევზით, ხიზილალით არამედ მაიონეზით, კვერცხით, მაწვნით, ხაჭოთი და სხვა, შედარებით ხელმისაწვდომი პროდუქტითაც კი, გემრიელი და სასარგებლოა, როგორც ბავშვებისთვის, ასევე ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანისთვის.

ჭვავის თვისებების, მძლავრი ენერგეტიკული მუხტისა და დაბალი კალორიულობის გამო იგი შეუცვლელია დიაბეტით, სხვა ენდოკრინოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის, ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის, სპორტსმენებისთვის, ჯარისკაცებისთვის, დიეტის გარეშე გახდომის მსურველებისთვის, სახის კანის დასაწმენდად, სექსუალური პოტენციის ასამაღლებლად და ა.შ.

გარდა ამისა, ლიტველი მცხობელები ქართველ გურმანებს სთავაზობენ ჭვავის პურის ნივრიან ჩხირებს, რაც მას პიკანტური გემოს გარდა, უაღრესად სასარგებლო თვისებებს სძენს. განსაკუთრებით ეფექტურია იგი გრიპისა და სურდოს პროფილაქტიკისთვის, სისხლის წნევის დასარეგულირებლად, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

ლუდის მოყვარულებს კი ნამდვილად არ ვურჩევთ დააჭაშნიკონ ლუდი ლიტვური ჭვავის პურის ნივრიან ჩხირებთან, რამეთუ ეფექტი იმდენად შთამბეჭდავი იქნება, რომ შემდეგ დაივიწყებენ ტრადიციულ "ვობლასაც", მარილიან ჩიპსებსაც და სამუდამოდ ლიტვური პურის მომხმარებლები გახდებიან.

ცხადია, ეს სტატია ლიტვური პურის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დაიწერა, მაგრამ ავტორები პასუხს აგებენ ყოველი სიტყვის ჭეშმარიტებაზე. რამეთუ "ჰომო გეორგიკუსის" შთამომავლები, როდესაც თავს ვდებთ ჭეშმარიტ ქართველობასა და ევროპელობაზე, არც იმას ვავიწყებთ, რომ ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე, საზოგადოებაზე ორიენტირებული და პასუხისმგებლური. ჩვენ სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაწარმი თავად არის საკუთარი თავის რეკლამა.

ბოლოს გვინდა რუსი დიეტოლოგის, აკადემიკოს სისოევის მოწოდება გაგაცნოთ: "თუ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე, სამედიცინო კვლევებზე დაყრდნობით მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ - თუ გვინდა მხნედ ვიყოდ, არ შეგვაწუხოს ავადმყოფობებმა, საკვებად ნატურალური ჭვავის პური უნდა გამოვიყენოთ, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ფარგლებში მისი აქტიური პროპაგანდა გავწიოთ. სულ ტყუილად დავივიწყეთ ხალხური სიბრძნე და ჭვავის პური, რომლითაც მთელი რუსეთი იკვებებოდა და მტრების ჯიბრზე ვმრავლდებოდით, რაციონიდან ამოვიღეთ. გახსოვდეთ, არა სხვადასხვა წამლებსა (მითუმეტეს ქიმიურ) და აღმოსავლურ "წითელ ფესვებშია" ძალა და პოტენცია, არამედ ჭვავის პურში" ! ისე, მტრის ჯიბრზე გამრავლება და ჯანმრთელი თაობების აღზრდა არც ჩვენ გვაწყენდა.

ჩვენ არ მოგიწოდებთ, გინდა თუ არა იყიდოთ ლიტველი მცხობელების მიერ თბილისში გამომცხვარი ლიტვური ჭვავის პური, უბრალოდ გირჩევთ - გასინჯოთ და თავად განსაჯოთ!

დაწვრილებითი ინფორმაცია ჭვავისა და ჭვავის პროდუქტების (საერთოდ) და ლიტვურ ჭვავის პურის (კონკრეტულად) შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ინტერნეტში, საიტებზე "კავკასია" (www.caucasus.ge) და "მშვენიერება" (www.beauty.iatp.ge).

*გიორგი ძაგნიძე*
*პროფესორის ასისტენტი ,*
*ონკოლოგიური კლინიკის*
*"ქირონის" დირექტორი*


AIOC bp btc SCP South Caucasus Pipeline

**ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში**

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ორგანიზაციას ან გარემოსდაცვით სააგენტოს წარმოადგენთ, გთხოვთ წაიკითხოთ ბოლომდე... გასული 3 წლის წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ბი-პი სიამოვნებით აცხადებს მეოთხე

**ბიომრავალფეროვნების კონკურსს საქართველოში**

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული "BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**წლევანდელი კონკურსი მოიცავს 2 კატეგორიას:**
1. პროექტები ბიომრავალფეროვნების სფეროში
2. საგაზეთო სტატიები და ვიდეო მასალა ბიომრავალფეროვნების სფეროში

**პირველი კატეგორია**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20,000 აშშ დოლარს.

საპროექტო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- უნდა მოიცავდეს პროექტის შედეგების და წარმატებულობის განსაზღვრის კონკრეტულ მეთოდებს
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

**მეორე კატეგორია**

კონკურსზე წარმოდგენილი საგაზეთო სტატიები და ვიდეო მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- სტატიები და ვიდეო მასალა ბიომრავალფეროვნების სფეროში გამოქვეყნებული/გაშვებული 2004 ან 2005 წელს;
- მკითხველისათვის პოპულარული ენით დაწერილი;
- სტატიების წარდგენა შეუძლია ერთ ან რამოდენიმე ავტორს.

წარმოდგენილი მასალა არ უნდა მოიცავდეს 7000-ზე მეტ სიმბოლოს, ვიდეო მასალის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10-20 წუთს

გამარჯვებულებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სახის პრიზები:
- პირველი პრიზი - ერთი პრიზი (700 აშშ დოლარი);
- მეორე პრიზი - ერთი პრიზი (500 აშშ დოლარი);
- მესამე პრიზი - ორი პრიზი (300 აშშ დოლარი).

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 28 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2005 წლის იანვრის თვეში.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177; ბი-პი საქართველო

**დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ**
**ბი-პი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს.**
**ტელ: 59 34 00**

# ლაშა და ლევანი

**ლაშა ბუღაძე:** დღეს ჩემი სტუმარია პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი. დავიწყოთ თქვენი პარტიის გუშინდელი განცხადებით, რასაც მთავრობიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ასეთი განცხადება ისეთი ტიპის "ჩინოვნიკებისაგან", რომლებიც გამორჩეულნი მდუმარებით, ახალი იყო. როგორ შეაფასებდით ამას?

**ლევან ბერძენიშვილი:** დიდი მადლობა კითხვისთვის, რადგან შეიძლება საზოგადოება შეესწრო მხოლოდ ბოლო ნაწილს და შეიძლება ვინმემ წარმოიდგინა, რომ ძალიან სასაცილო ვთქვით რესპუბლიკელებმა. მართალი გითხრათ, ოდნავ მაინც მთავრობაზე მეტად გარკვეული ვარ, თეორიულად, რა იწვევს სიცილს. იმაზე, რაც რესპუბლიკურმა პარტიამ თქვა მთავრობისთვის სასაცილო ვერაფერი დავინახე. შევეცდები მარტივად ვთქვა, რას ამბობს პარტია. პრეზიდენტს აქვს საკუთარი ფონდი; მთავრობასაც აქვს თავისი ფონდი, რომელიც იხარჯება განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითად, სტიქია, მიწისძვრა, უბედურება, ის, რაც გუშინ მოხდა. პრეზიდენტს ასეთი ფონდი ჰქონდა ათმილიონიანი. მას არ ეყო ეს თანხა, მერე ჩამოყალიბდა, რომ 25 მილიონი აქვს მას და 20 მთავრობას. სულ 45 მილიონი. ამ 45 მილიონიდან საჭიროებაზე, როგორიც არის მიწისძვრა, მეწყერი, სახლის ნგრევა - დახარჯულია დაახლოებით, სამი მილიონი. დანარჩენი 42 მილიონი - პლუს კიდევ ოცი მილიონი, ვინაიდან არც ეს არ ეყო და გადახარჯეს, დახარჯულია სულ სხვა რამეზე. ამაზე ილაპარაკა რესპუბლიკურმა პარტიამ. თურმე განსაკუთრებული შემთხვევა ყოფილა ის, რომ კოტე კემულარიას სჭირდება 180 ათასი მანქანის შესაძენად, გათბობის სისტემის ასაწყობად თავის აგარაკზე და ერთ ოთახში სამი პლაზმური ტელევიზორის დასადგმად. ამ თანხაში გათვალისწინებულია რუსლანას ჩამოყვანა, ქართველების კონცერტი კიევში, უკრაინელების კონცერტი საქართველოში და ა.შ. კონცერტის საწინააღმდეგო არ მაქვს. მე ვიცი რაზე რა უნდა დაიხარჯოს. რესპუბლიკელებმა თქვეს, ფაქტების მიხედვით, რომ პრეზიდენტმა მაშინ მოაწერა 13 მილიონ 600 ათასის გახარჯვას ხელი, როდესაც მისი ფონდი ათ მილიონს შეადგენდა. რომ ყოფილიყო ქვეყანაში ნამდვილი ფინანსთა მინისტრი, ეტყოდა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ცდებით, ამას ხელს ვერ მოაწერთ. სინამდვილეში კი, სწორედ ფინანსთა მინისტრმა შეუტანა პრეზიდენტს 13 600 ათასი ხელმოსაწერად, ამიტომ ის პირველი დამნაშავეა. ამიტომაც იყო, რომ რესპუბლიკელებმა სწორედ მისი იმპიჩმენტით დაიწყეს მოთხოვნა. მე კიდევ 50-მდე დარღვევა დავითვალე. ბიუჯეტიდან, რომელიც თითქოს გაიზარდა, მთელი სტატია გაქრა, რომელიც იყო განსაკუთრებით უპოვარი ოჯახებისთვის. და ეს სტატია ამოიღეს ბიუჯეტიდან, ვითომ საქართველოში განსაკუთრებით უპოვარი აღარავინ დარჩა. ასეთი უპასუხისმგებლო რამ რომ ხდება, ამაზე მივეცით შენიშვნები და დავსახეთ სამუშაო, რომ ამ მინისტრს მოეთხოვა პასუხი. სერიოზული პრობლემებია და სერიოზული პასუხი სჭირდება. პირველი პასუხი რაც გავიგე, ასეთი იყო: მაგათ ეგ საარჩევნოდ სჭირდებათო. ასე თქვა მინისტრმა ალექსიშვილმა და მოადგილემ გოდაბრელიძემ. ამ ბატონებმა, რომლებიც პოლიტიკური ფიგურები არიან, არ იციან, რომ ახლანდელ, საშუალედო არჩევნებში რესპუბლიკელები არ მონაწილეობენ. რომ არ იციან - ეს ერთია; და მეორე - ოროსნობა გამიგია და ასეთი ცოცხალი ტყუილი... რამე სხვა მოეფიქრებინათ. რესპუბლიკელებს საარჩევნო ამბიციები ამ წუთას არ ჰქონდათ; ხოლო 2008 წლის არჩევნებისთვის 2005 წლის ბიუჯეტით არავინ იბრძვის, ამას უნდა მიხვდნენ. კიდევ ასეთი დარღვევაა, ბავშვიც რომ მიხვდება. მაგალითად: ნათქვამია, რომ სექტემბერში და ოქტომბერში უნდა დავაფინანსოთ საგაზაფხულო სახნავ-სათესი სამუშაოები. ახლა გაზაფხულია? რა გადაწყვიტეს? ის, რომ ხალხთან გაითამაშებენ, როგორ აღელვებთ ეს ყველაფერი, და საქმეში ჩაერთვნენ ისეთი "ექსპერტები", როგორებიც არიან: კემულარია (გასაგებია მას გულზე რატომ მოხვდა; ეს ძველი ქურდია და ეს ჩემი აზრი არ არის. მასზე ეს მოსაზრებები სხვებისგანაც მსმენია. მის კორუმპირებულობაზე მისი მინისტრობისას იყო საუბარი; მის კავშირებზე ორგანიზაციებთან - მათ შორის, საქველმოქმედოებთან; საქმეც იყო აღძრული); ვანო მერაბიშვილმა, ჩემი ძველი შეფასებების გამო, იმის გამო, რომ დეპუტატებს ცემენ და დამნაშავეებს ვერ პოულობს, რაღაც წყენა ჰქონია გულში და დაგვიბრუნა იმით, რომ აღმოჩნდა ფინანსური ექსპერტი და გვიხსნიდა ბიუჯეტის საკითხებს. თანაც დაგვპირდა, რომ ჩაატარებენ სამუშაოებს, რომ ჩვენ "საცოდავმა რესპუბლიკელებმა" ეკონომიკის სფეროში გავიაროთ შტუდირება მათი ხელშეწყობით. ჩვენგან ასეთი პირობაა: ერთხელ მონტაჟის გარეშე მოახერხოს ერთი ქართული წინადადების, მარტივი, თხრობითი წინადადების სწორად თქმა. დღესაც კი მომზადებული ტექსტი ვერ თქვა სწორად. დღეს ძალიან აქტიური, პრემიერმინისტრი იყო - როგორც ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა მშვენივრად იცის, რა დარღვევებზეა საუბარი. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამ საქმეს მთავრობაში ჰყავს პოლიტიკური ხელმძღვანელი (ვგულისხმობ ყველაზე მძიმეწონიანს და ყველაზე სერიოზულ ეკონომისტს მათ რიგებში), რომელიც მშვიდად უყურებდა ამ ყველაფერს და ხანდახან გაკვირვებული უყურებდა ვანოს. დადგება დრო და ჩვენ მოვითხოვთ ზუსტ პასუხს. უნდა გვითხრან: ათი მილიონი რომ იყო, ცამეტ მილიონს ხელი როგორ მოაწერა? შემოდგომაზე ზაფხულის სამუშაოებს როგორ ვაფინანსებთ? რატომ ამოვაგდეთ ის მუხლები, რომლებიც ამოსაგდები არ იყო და არის თუ არა ქართულ კულტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი რუსლანა? წელს იყო დიდი აღმოჩენა ქართულ კულტურაში - ფიროსმანის ნახატი. კულტურის სამინისტრომ რამდენი თეთრი დახარჯა ამ საქმეზე? იმიტომ კი არა რომ ცუდი სამინისტროა. იმიტომ, რომ ვინ კითხავს კულტურის სამინისტროს კულტურის ამბებს? პრეზიდენტს უნდა, რომ უკრაინაში წავიდნენ ქართველები და წავლენ. მე მესმის პოლიტიკური ამოცანა. დღეს მთელმა მსოფლიომ თქვა, - სანამ მთავრობა იცინოდა, ჯორჯ სოროსმა თქვა: საქართველოში და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ ეიფორია როცა გაქრა, გამოჩნდა, რომ იქ დემოკრატიასთან პრობლემებია. საკმაოდ მკაცრი შეფასება იყო იმდენად, რომ აზერბაიჯანს ურჩევს, რევოლუცია არ გინდათო. ამას ამბობს რევოლუციების ცნობილი მამა. მთავრობა დაგვცინეს, მაგრამ ეს იყო რეაქცია. ისინი აღელდნენ. ბიუჯეტი ვიღაცისთვის იზრდება და ვიღაცისთვის მცირდება და ის, ვისთვისაც მცირდება, ხმას გასცემს რა თქმა უნდა. ყოველთვის პრობლემაა ქართული კულტურისთვის ფულის შოვნა. ლიტერატურაზე საერთოდ საუბარი არ არის. მთავარი ხელოვნება, რომელიც ლენინისთვის კინო იყო, ამათთვის ბალეტი აღმოჩნდა. ყველაზე საინტერესო ის არის, ვანო მერაბიშვილის მთავრობა, საიდან გახდა ბალეტის გულშემატკივარი? ეს ხომ მაინც დახვეწილი ხელოვნებაა?! არავინ მითხრას, რომ ვანოს ამ საკითხში რამე გაეგება. ვიცი, რომ საქრათველოს მთავრობაში ერთი კაცი, რომელსაც ბალეტი ესმის, ბენდუქიძეა; ის მოსკოვში ცხოვრობდა და გემოვნებიანი კაცია. მართალია, მისი პრორუსული გამოხდომები არ მოგვწონს, ამ საკითხში ასეა. მთავრობა გახდა ხელოვნების ერთი დარგის გულშემატკივარი. მუსიკიდან მათ იტაცებთ პოპ-მუსიკა უკრაინული.

**მსმენელი**: გუშინ თქვენ რომ "აბესალომ და ეთერის" პირველი აქტი გენახათ, მიხვდებოდით - არც ქართული ეთქმოდა, არც ცეკვა იყო. უცხოელებიც კი იცინოდნენ. ერთხელ ძალიან კარგად თქვით, პრეზიდენტს ერთი მრუშის ჩამოსაყვანად თვითმფრინავი ყავდაო. ჩვენ ვიცით, რომ იმის მიუხედავად, რომ "პამპერსიანები" დარბიან, სექსუალური მისწრაფებებისთვის რუსლანას ჩაოყვანა პარლამენტს სჭირდება. კულტურასთან ერთად კნინდება ჩვენი ტრადიციებიც. ერი, რომელიც დაფუძნებულია მეღვინეობის კულტურაზე, უარყოფს მეღვინეობას. პრეზიდენტის ვოიაჟებზე მილიონები იხარჯება, მაგრამ მეღვინეობისთვის კაპიკიც არ იდება. წამოვიდა ძველი შიშის პერსპექტივა, 37-წლიანების შიში ხალხს გამჯდარი აქვს.

**ლაშა ბუღაძე:** ბატონო ლევან, მსმენელის პათეტიკიდან გამომდინარეც, ზოგ შემთხვევაშიც, ხომ არ არის ფობიები გადაჭარბებული? ცოტა არაადეკვატური?

**ლევან ბერძენიშვილი:** ძალიან საინტერესოა, როდესაც ადამიანი უკვირდება პროცესს, როგორ იბადება შიში საზოგადოებაში. არ არის შანსი ისტორიულად, რომ 37 წლის მდგომარეობა განმეორდეს. არავინ მისცემს საქართველოს ამ ექსპერიმენტის საშუალებას, ისე გამოგვიცვლიან ხელმძღვანელობას. არა მგონია, ჩრდილოეთ კორეა დაუშვას ვინმემ საქართველოში. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, ჩაჯდა მოსკოვი-თბილისის თვითმფრონავში ხალხთან ერთად და თქვა: ასე იქნება ამიერიდანო; აბა შევარდნაძე რომ საკუთარი თვითმფრინავით დაფრინავდა, ეს ძვირი ღირსო და ა.შ. ასეთი პოპულისტი პრეზიდენტი მირჩევნია, ვიდრე პრეზიდენტი, რომელიც სამი კაცის ჩასაყვანად გდანსკში თბილისიდან ხსნის ბოინგის ტიპის თვითმფრინავს, რომელსაც თავისი რეისები აქვს შესასრულებელი. ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის მის საქციელთან. ასე იწყებოდა ხოლმე. ყველას ვურჩევ გადაიკითხოს ორუელის "ცხოველების ფერმა". საქართველომ, როგორც ქვეყანამ, უნდა იცოდეს თავისი პრიორიტეტები. არა მგონია უცხოური მუსიკა ჩემი პრიორიტეტი იყოს. მეღვინეობა სამოცი საუკუნეა არის და იქნება. ესაა საქმე, რომელიც ვიცით, გვეხერხება. ხარისხიანი ქართული ღვინო კონკურენტუნარიანი კი არა, უბრალოდ ჩემპიონია. ეს სახელმწიფო ინტერესის საგანი უნდა ყოფილიო. მასთან ერთად, უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაშიც ძლიერები ვართ, მათი ექსპორტირება. როგორც ჩანს, მთავრობა ამაზე არ ფიქრობს. არ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები. მისი პრიორიტეტი არის პრეზიდენტის სურვილი. პრეზიდენტის სურვილი კი ძალიან ცვლადია. გასაგებია, რომ პრეზიდენტს მოსწონს ქალები, მგზავრობა... საერთოდ უყვარს, უცხოეთში ყოფნა. თუ დავუთვლით, უფრო ხშირად არის უცხოეთში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის პრეზიდენტს; იგივე ეხება პარლამენტის თავმჯდომარესაც. ქალბატონი ნინო იმიტომ მიდის, რომ რაც შეიძლება ნაკლები პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე. არაფერი იყო ცუდი იმაში, რომ პარლამენტარები ტექსელზე ვიყავით, მაგრამ თურმე ჩვენ ყველას ამ თანხის დიდი ნაწილი მიწისძვრით დაზარალებულთა და მეწყერით დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხიდან შეგვიჭამია. ასე რომ, მომავალში ფრთხილად უნდა ვიყოთ.

როდესაც სააკაშვილმა უმრავლესობას ზღაპრების საახით გააცნო ახალი ქართული ზღაპარი, ჯანი როდარის შეშურდებოდა. მაგალითად, 2003 წლის 23 ოქტომბერს ბათუმში რომ დიდი ამბები იყო, ამ დროს სააკაშვილმა ერთი წლის მერე დაიწყო ამის გახსენება და აღმოჩნდა, რომ 23 ოქტომბერს ბათუმში შესულა და აჭარული ხაჭაპური მიართვეს თურმე. გრიშა ქობალიაც დაითანხმა და პირდაღებული უსმენდა ყველა. არავის პრეზიდენტი იქ არ დაუნახავს. ცოტა სირცხვილი ხომ არ არის, როცა ხალხს კლავდნენ, იქ ხაჭაპურს ჭამდე. თუნდაც ტყუილში? ეს ეპატია. ხალხმა თქვა, პრეზიდენტია და უხარია. ასე ნელ-ნელა იბადება ინდივიდუალური მითი, რომელიც კოელქტიურისგან განსხვავებით, ატარებს ძალიან სერიოზულ სამედიცინო შეფასებებს. ჩვენი ამოცანაა საჯაროდ შევახსენოთ, რომ ასე არ ყოფილა და ვაპატიოთ ტყუილი.

**ლაშა ბუღაძე:** ჰაველთან ამოვიკითხე, რომ ქვეყანა ემსგავსება თავის პრეზიდენტს. მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, მსმენელს მოვუსმინოთ.

**მსმენელი** (სატელეფონო ჩართვა): რა აზრის ხართ ბატონო ლევან, რუსეთის მიმართ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკის? თქვენ რას შეცვლიდით და რა მოვუხერხოთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს?

**ლევან ბერძენიშვილი:** რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ცოტა უცნაური პოლიტიკური დამოკიდებულება აქვს. ერთის მხრივ, გვაქვს გაკეთებული არჩევანი: ეს არის ნატო, ევროკავშირში წევრობის მიღწევა და ა.შ. ეს სრულიად ნათელი მიზნებია. მეორეს მხრივ, ჩვენი ხელსიუფლება სულ ცდილობდა, რომ როგორმე რუსეთისთვის მიეცა ჩვენი სტრატეგიული ობიექტები. მათ შორის, გაზსადენი, რაზეც ამერიკელებმა პირდაპირ გვითხრეს არ ქნათო. ასეთი გულწრფელობა ამერიკის ადმინისტრაციისა, ძალიან იშვიათად მინახავს. დიპლომატიის ენაზე ეს სერიოზული სკანდალია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, პრეზიდენტს კი ეუბნებიან, მაგრამ ვერ არწმუნებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ პრეზიდენტს აქვს იგივე არჩევანი, რაც ქართველ ერს. მაგრამ როგორც ჩანს, არსებობს ხალხი, რომელთაც გავლენა აქვთ ხოლმე ხანდახან (იმიტომ, რომ პრეზედენტ სააკაშვილზე მუდმივი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს არავის; ეს არ არის კაცი, რომელიც მოექცევა ვინმეს მუდმივი გავლენის ქვეშ); მაგრამ ის ადამიანია, რომელიც შეიძლება მოექცეს გავლენათა ქვეშ სხვადასხვა საკითხში; რაც საკმაოდ კარგიცაა, თუკი დაცული იქნება ზომიერება და სისტემურობა. ჩემი ეჭვით, პრეზიდენტს ჰყავს ბიძა - თემურ ალასანია, რომელიც საბჭოთა დროს იყო გაეროში საბჭოთა კავშირის ქვოტით განიარაღების კომიტეტის ძალიან სერიოზული ჩინოსანი. ეს კომიტეტი დაკავშირებული იყო საბჭოთა ე.წ. შეიარაღების კომპლექსთან. მოგეხსენებათ რა ხალხზეა საუბარი. ეს ხალხი წყვეტდა მსოფლიოს ბედს. მაღალი თანამდებობა ჰქონდა. მერე საბჭოთა კავშირი რომ გაქრა, ამ კაცს შეეშალა ხელი, მაგრამ რუსეთის ქვოტით განაგრძო იგივე სამუშაოს შესრულება, რაც ძალიან საინტერესოა. ბიძამ ყველაფერი გააკეთა მიშა მოხვედრილიყო იმ სასწავლებელში, რომელსაც "კგბ" კურირებდა; წასულიყო იმ გზით - ემსახურა საბჭოთა სასაზღვრო ძალებში (რომელიც ასევე უშიშროების ჯარები იყო). ამას ახალგაზრდა კაცს საყვედურად ვერ ვეტყვი, მიხეილ სააკაშვილი არაფერ შუაშია. ბიძა იყო მისი და კარგი უნდოდა, გარდა ერთისა: ის ქვეყანა აღარ არის. აქ ვიღაცები ლუსტრაციაზე საუბრობენ ხოლმე და არ ესმით, რომ არ უნდა ილაპარაკოს ზოგიერთმა; ეს კანონი რომ მივიღოთ, სააკაშვილს რომ აეკრძალოს პოლიტიკაში მოღვაწეობა? მიხეილ სააკაშვილი პატრიორტია, მას საქართველოს სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვის ინტერესი არ აქვს. მაგრამ არის კაცი, რომლის ცხოვრება დამთავრდა ბელოვეჟის ტყეში. დამთავრდა და ახლა ის მოწყენილი ხანდახან თავის დიშვილზე გავლენას ახდენს, ხანდახან ვერ ახდენს. სხვათა შორის, საინტერსო მეგობართა წრე ჰყავს: ტარიელ ონიანი, ანდროპოვის ოჯახი და სხვა. ასეთი კაცი სასიკეთო გავლენას ვერ ახდენს. მოგეხსენებათ, უშიშროება ყოფილი არ არსებობს. ეს არის სისხლი. მადლობა ღმერთს ჩვენს პრეზიდენტზე მუდმივ გავლენას ისიც ვერ ახდენს ხოლმე. მეორეს მხრივ, რუსეთთან ურთიერთობა თუ არ არის გულწრფელი და ხან ეუბნები რაღაცას მოგყიდი, ხან ეუბნები - ვერ მოგყიდი და სხვა, რუსეთი ამძაფრებს თავის დამოკიდებულებას. ბალტიის ქვეყნებმა აირჩიეს მტკიცე გზა - ყველაფერზე უთხრეს არა. ვაჭრობა - კი, მაგრამ სამხედრო-სტრატეგიული ობიექტი - არა. რა წააგეს? საქართველოს თუ ექნება მტკიცე პოზიცია რუსეთთან, მან შეიძლება მოიგოს. იმათ უარესი პრობლემა ჰქონდათ - იქ მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსია. პირადად სამხრეთ ოსეთს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქს ვეძახი; როდესაც რაღაცის დაბრუნებაზეა საუბარი, სახელიც ზუსტად უნდა შევურჩიოთ. ქართულ-ოსურ ძმობას სერიოზული ზიანი მივაყენეთ ჩვენც. გაცილებით მეტია ჩვენი შეცდომა, ვიდრე ოსების. აქ ჩვენ დავუშვით განსაკუთრებული შეცდომები. ამ ადამიანებთან კეთილდღეობის ენაზე უნდა ვისაუბროთ მხოლოდ. უნდა მოვიპოვოთ ნდობა. სანამ ყველა ქართველისთვის არ არის სასურველი ქვეყანა საქართველო, ოსისთვის როგორ გახდება? ან აფხაზისთვის? ამიტომ პირველი ამოცანა უნდა იყოს ეკონომიკური აყვავება, რომელიც ამ დიალოგს გახდის უფრო შესაძლებელს. და მეორე - ეს მილიტარისტული დაშინებები უნდა შეწყდეს. მიმაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი უნდა იყოს ისეთი, როგორიც ირაკლი ოქრუაშვილია. ქვეყანას ჰყავს მთავარსარდალი, რომელიც არც ქორი უნდა იყოს და არც მტრედი; ის უნდა იყოს არბიტრი. კოკოითი კარგი კაცი არ არის. მაგრამ ვინ თქვა, რომ ჩვენ კარგ ოსებთან ვაპირებთ მოლაპარაკებას?

ჩვენ გადაშენება არ გვიწერია და ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველიც ეს არის. თორემ დღევანდელი მთავრობის შემხედვარე ოპტიმიზმის დაბადება ძნელია, მაგრამ ჩვენ ხომ ძველი ხალხი ვართ და მადლობა ღმერთს, ჩვენი ოპტიმიზმი გამართლებულია.

---


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხულოს რაიონის, სოფელ ღორჯომის სკოლის რემონტის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ღორჯომის სათემო კავშირთან "ღორჯომი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ღორჯომი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხულოს რაიონი,**
**სოფელ ღორჯომის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი თამაზ ირემაძე, სათემო კავშირი "ღორჯომი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 29 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხულოს რაიონი,**
**სოფელ ღორჯომის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი თამაზ ირემაძე, სათემო კავშირი "ღორჯომი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 27 ოქტომბრის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


## TV5-ის პროგრამა

**26 სექტემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 03.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.05** შავი ოქროს ეპოპეა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: მნიშვნელოვანი შეხვედრა. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ჩახლართული ამბავი. მხ. ფილმი. რეჟისორი მიშელ დევილი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.20** გადაცემა: თალასა. **22.00** ჩაო ბელლა. თელესერიალი. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **24.30** კაცების სეზონი. მხ. ფილმი. რეჟისორი მუფიდა ტლატლი. **04.30** მეფის ხეივანი. ტელესერიალი.

**27 სექტემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** კამბოჯაში დაბრუნება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. **12.15** ბიჭები. მხ. ფილმი. რეჟისორი მაურო ბოლონინი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეტამაში. **16.30** ელუაზ რომის გამოძიება. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** შავი ოქროს ეპოპეა. დოკ. ფილმი. **02.55** სამხრეთის ანარეკლი. **04.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

**28 სექტემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** გადაცემა: კროსვორდი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაშში. **16.25** ჟორესი. დევის დაბადება. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟან-დანიელ ვერეჰი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.02** გადაცემა: ჩვენი პლანეტა. **20.25** გადაცემა: პირადი საუბრები. **03.00** შავი ოქროს ციებ-ცხელება. დოკ. ფილმი. **04.25** ელიოზ რომის გამოძიება. ტელესერიალი.

**29 სექტემბერი**

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.55** საუკუნის ვიოლონო. Mენუჰინი. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.15** მეფის ხეივანი. თელესერიალი. რეჟისორი ნინა კომპანეზი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გამვლელები. მხ. ფილმი. რეჟისორი დიდიე კრუსე. **22.05** აკუსტიკა. **24.30** თეთრი ქორწილი. ღეჟისორი ჟან-კლოდ ბრისო. მხ. ფილმი 04.20ფოთოლცვენა. მხ. ფილმი რეჟისორი სერჟ ლეროე.

**30 სექტემბერი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** გდაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.15** ელიოზ რომის გამოძიება. ტელესერიალი.

**15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** სასმელი. მხ ფილმი. რეჟისორი მარიონ ვერნუ. **23.00** გადაცემა: სტრიპტიზი. **24.30** მეგობარი ფრიცი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-ლუი ლორენცი. **03.00** კკამბოჯაში დაბრუნება. დოკ. ფილმი. **04.25** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

**1 ოქტომბერი**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.00** საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. 12.15.მეგობარი ფრიცი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-ლუი ლორენცი. **13.55** ხელით შექმნილი საოცრებები. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. **19.05** სტამბულის პეიზაჟები. დოკ. ფილმი. **20.25** ელიოზ რომის გამოძიება. ტელესერიალი. **24.25** ორი წლის შემდეგ. ტელესერიალი. **04.20** გადაცემა: ყველას ყველაფრს ვერ ეტყვი.

**2 ოქტომბერი**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.30(შვეიცარია), 02.50(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები.**06.55** ცაი თუ ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **10.40** ათა თურქის აჩრდილი. დოკ. ფილმი. **11.15** სტამბულის ახალი სულთანი. დოკ. ფილმი. **12.40** თურქეთი-ევროპის მიჯნაზე. დოკ. ფილმი. **14.35** მუსულმანური ეკლესია. დოკ. ფილმი. **15.05** თურქული ზაფხული. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა; მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა. **03.00** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს.


## განცხადება

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბრის განცხადებაში ღია ტენდერის შესახებ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ 2005 წლის 13 სექტემბრის გაზეთში "24 საათი" კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

განცხადების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდების სასურველი ვადაა არა უგვიანეს 2005 წლის 20 ოქტომბერი"**

განცხადებას დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

**სატენდერო წინადადების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:**

| № | შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1. | წინადადების საერთო ფასი | 0.60 |
| 2. | საქონლის მიწოდების ვადები | 0.40 |
| | სულ: | 1.00 |

საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია
23 სექტემბერი 2005



OSCE

## ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს მომსახურებაზე:

წყალმომარაგების, კანალიზაციისა და გათბობის სისტემების მცირე ზომის სამონტაჟო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოები

ეუთოს მისია საქართველოში იწვევს კვალიფიცირებულ კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში:

წყალმომარაგების, კანალიზაციისა და გათბობის სისტემების მცირე ზომის სამონტაჟო, სამომსახურებო და სარემონტო სამუშაოები

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გაგაჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერსებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები და გაგ ზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი). 2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

**ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Adolf.Turek@osce.org**
**ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 29 სექტემბერი, 13:00.**

## მეხუთე საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში

### პირველი საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ

ხათუნა გაბიევი

ყოფილ კომუნისტებს, შესაძლოა, ხელისუფლების სათავეების დათმობა მოუხდეთ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათ შეძლეს პოლონეთის ევროკავშირში ინტეგრაცია ერთი წლის წინ. ყოფილი კომუნისტები, იგივე მემარცხენე დემოკრატიული ალიანსი, ხელისუფლების სათავეში პოლონეთში 2001 წელს მოვიდნენ. ქვეყნის ამომრჩეველი ხელისუფლების შესახებ მარცხს ისტორიული გამოცდილებაც ადასტურებს - 1989 წლის შემდეგ, როდესაც კომუნისტებმა პოზიციები დათმეს, პოლონეთის ვერც ერთმა ხელისუფლებამ არჩევნების სიმძიმეს ვერ გაუძლო. კვირას პოლონეთში სეიმისა და სენატის დეპუტატებს ირჩევდნენ. როგორც წესი, ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარი შედეგებია ცნობილი, რომელთა თანახმადაც, ხელისუფლების სათავეში მყოფ კომუნისტებს პოზიციების დათმობა მოუხდებათ. დაახლოებით, ანალოგიურ პროგნოზს იძლეოდა არჩევნებამდე ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევაც. ამ უკანასკნელის მიხედვით, მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიები - "სამოქალაქო პლატფორმა" და "კანონი და სამართლიანობა", ამომრჩეველთა ხმების 60 პროცენტის მოპოვებას შეძლებდნენ. ორივე პარტია სათავეს მოარობა "სოლიდარობიდან" იღებს, მაგრამ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას გადასახადებისა და ბიუჯეტის საკითხები იწვევს.

სოციოლოგიური კვლევის მონაცემებს მეტის მხრიდან კარგად არგუმენტირებული ახსნაც ემატებოდა. პოლონური პრესის მიხედვით, ამომრჩეველებს კვირას კარგი შესაძლებლობა ექნებოდათ, დაესაჯათ მემარცხენეები კორუფციული სკანდალების სერიისა და უმუშევრობის წინააღმდეგ არაეფექტიანი ბრძოლის გამო.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, გუშინდელი არჩევნები პოლონეთის ისტორიაში იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ელექტორატს პირველად მიეცა საარჩევნო ურნებთან მისვლის საშუალება.

საარჩევნო ხმის უფლებით პოლონეთის 30 მილიონი მოქალაქე სარგებლობს.

რაც შეეხება საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ პარტიების გეგმებს, მემარჯვენე ცენტრისტული პარტიები კოალიციის ფორმირებას აპირებენ, სადაც მიღებული ხმათა უმრავლესობით გამოკვეთილი პარტიის წარმომადგენელი იქნება წარდგენილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე. მემარჯვენე ცენტრისტული პარტიებიდან ერთ-ერთი - "კანონი და სამართლიანობა" - აქცენტს საგადასახადო შეღავათებსა და სოციალურად გაჭირვებული ფენებისათვის სახელმწიფო პროგრამაზე აკეთებს. გარდა ამისა, იგი პოლონეთის მოსახლეობას ოჯახური და ქრისტიანული ღირებულებების დაცვას ჰპირდება და უნდობლობით ეკიდება ლიბერალურ იდეებს ეკონომიკურ სფეროში.

სრულიად განსხვავებული საარჩევნო პროგრამა აქვს მეორე მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიას - "სამოქალაქო პლატფორმა", რომელიც თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, სახელმწიფოს როლის შემცირებასა და პრივატიზაციას, სასწრაფოდ ევროზონაში შესვლას და 15-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადების დაწესებას უჭერს მხარს. "სამოქალაქო პლატფორმის" წარმომადგენლისა და ცენტრალური ბანკის ყოფილი მმართველის ჰანა გრონკევიჩ-უოლცის თქმით, პარტია, გამარჯვების შემთხვევაში, რადიკალურ საგადასახადო რეფორმას გაატარებს, რაც ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემებს მოაგვარებს.

**"ჩვენი პროგრამა მხოლოდ მდიდრებზე არაა გათვლილი. იგი უმუშევრების ინტერესებსაც ითვალისწინებს. ამჟამად პოლონეთში უმუშევრობის დონე 18 პროცენტს აღწევს, სწორედ ამიტომ, ჩვენ გადასახადების შემცირება გვინდა,"** - განაცხადა გრონკევიჩ-უოლცმა.

ერთიანი პოლიტიკური წარსულის და, რაღაც თვალსაზრისით, ერთიანი პოზიციების მიუხედავად, ანალიტიკოსებს ორი ზემოხსენებული მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის ურთიერთთანამშრომლობის წარმოდგენა უჭირთ. თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც არჩევნების წინასწარი შედეგებიც ცხადყოფს, მოსახლეობა მომავალი ხელისუფლებისგან მხოლოდ არაკორუმპირებულობას და ნაკლებ რიტორიკას მოითხოვს.

ორი კვირის შემდეგ კი პოლონელ ამომრჩეველებს კიდევ ერთხელ მოუწევთ საარჩევნო ურნებთან მისვლა - 9 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნების პირველი რაუნდი ჩატარდება.

## ცენტრალური საარჩევნო კომისია საქმიანობას აჯამებს

ცენტრალური საარჩევნო კომისია 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარ საქმიანობას აჯამებს. 1 ოქტომბრის არჩევნების შესახებ, ცსკ-ს ინიციატივით, ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" ორდღიანი სემინარი მიმდინარეობს.

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია აღარ განხორციელდება. ცსკ-ს თავმჯდომარე გია ქავთარაძე ირწმუნება, რომ ხუთივე საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა სიები მაქსიმალურად დაზუსტებულია და 1 ოქტომბერს ყოველგვარი დამატებითი სიების შედგენა გამოირიცხება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით არჩევნების დღეს უბნებზე მისული ამომრჩევლების მხრიდან გარკვეული პრობლემების შექმნას ცსკ არ გამორიცხავს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არჩევნების დღეს შეიძლება წამოიჭრას, საარჩევნო უბნის კომისიის წევრების სამსახურში მოსალოდნელი გამოუცხადებლობა შეიძლება გახდეს.

როგორც სემინარზე აღინიშნა, პრაქტიკულად, არც ერთ უბანზე ოპოზიციური პარტიის კომისიის წევრები არ მისულან და მათ სპეციალური სწავლებები არ გაუვლიათ. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ ეს პრობლემა პრაიმერის შედეგების შემდეგ დარეგულირდება.

ცსკ-ს თავმჯდომარე პირობას დებს, რომ 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნები ყველაზე ობიექტურად წარიმართება. ყველა შემოსული საჩივარი რეაგირებისათვის პირდაპირ პროკურატურას გადაეგზავნება.

ცსკ ყველა საარჩევნო უბანს დამკვირვებლებით უზრუნველყოფს. არჩევნების დღეს ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებელთა გვერდით საერთაშორისო დამკვირვებლებიც იმუშავებენ.

1 ოქტომბრის არჩევნები სახელმწიფოს 1 219 000 ლარი უჯდება. როგორც სემინარზე ითქვა, წინა არჩევნებთან შედარებით ეს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტია, რაც თანამშრომელთა ხელფასების გაზრდით არის განპირობებული.

**ინტერპრესნიუსი**

## უმრავლესობა სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილებას განიხილავს

რუსული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით დადგენილებას დღეს საპარლამენტო უმრავლესობა განიხილავს.

დადგენილების შესამუშავებლად შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელის კოტე გაბაშვილის განცხადებით, დადგენილების პროექტი უკვე მზადაა. მას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც გაეცნო, პლენარულ სხდომას კი იგი სამშაბათს მას შემდეგ წარედგინება, რაც საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა განიხილავს.

მისი თქმით, დადგენილების პროექტის შემუშავებაში ჩართულია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებაც და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება რეალისტური და მკაცრი იქნება.

"სწორედ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქართველოს პარლამენტის ერთიანი პოზიციის შედეგი იყო ის, რომ საქართველოდან სამხედრო ბაზები გავიდნენ. ჩვენ გვინდა, რომ ანალოგიურ შედეგს დღესაც მივაღწიოთ," - აღნიშნა გაბაშვილმა.

მისი თქმით, დადგენილებაში მოხსენიებული იქნება ის მძიმე ფაქტები, რასაც ადგილი აქვს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში. გაბაშვილის თქმით, კონფლიქტის ზონებში კრიმინალური დიქტატურა ჩამოყალიბდა.

გაბაშვილის განცხადებით, როგორც დადგენილებაში იქნება მოხსენიებული, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში ამგვარი რამ იმიტომ ხდება, რომ სეპარატისტულ ხელისუფლებებს რუსეთის სახით ძლიერი ზურგი აქვთ.

გაბაშვილის განცხადებით, რუსეთი ორმაგი პოლიტიკით მხარს უჭერს სეპარატისტული ხელისუფლებების გაძლიერებას. მისივე განცხადებით, პოლიტიკური დიპლომატიის თვალსაზრისით, საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ დადგენილებაში ჩაიწერება, რომ საქართველოს პარლამენტი გარკვეულ დროს მისცემს რუსეთის ხელისუფლებას, გადახედოს საკუთარ სამშვიდობო ქმედებას კონფლიქტის ზონებში და გაარკვიოს, კონფლიქტის მონაწილეა, თუ მედიატორი.

გაბაშვილის განცხადებით, დადგენილებაში ასევე იქნება ჩამონათვალი იმ რუსი მოქალაქეებისა, რომლებიც იმავდროულად, კონფლიქტის ზონებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ. რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც კონფლიქტის ზონებში თანამდებობები უკავიათ, საქართველოს ტერიტორიაზე ვიზების გარეშე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. **ინტერპრესნიუსი**

# ტარია ჰალონენი: სამხრეთ კავკასიასთან უკეთესი ურთიერთობები შეიძლება გვქონდეს



ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი.

პირველი გვერდიდან

- უფროსი ასაკის ფინელებში ძალიან ბევრია ისეთი, ვინც ნამყოფია სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მათ შორის - მეც. აღსანიშნავია, რომ მათ ძალიან თბილი მოგონებები აკავშირებთ თქვენს სამშობლოსთან. ცივი ომის დროს, როცა სამხრეთ კავკასია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, საქართველო ხომ ტურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილს წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვეთ, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა თქვენს ქვეყანაში, მაგრამ, ვფიქრობ, დღესაც ბევრი ადამიანი სიამოვნებით ჩამოვა საქართველოში.

ფინეთი, უკვე ათი წელიწადია, ევროკავშირის წევრია. იმედი გვაქვს, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები გვექნება ევროკავშირის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ასეთი ურთიერთობების დამყარებას ვცდილობთ ჩვენს უახლოეს მეზობლებთან - რუსეთთან და ნორვეგიასთან, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ფინეთს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წამოწყება კარგ შესაძლებლობებს გვიქმნის კავშირების გასაღრმავებლად სხვა მეზობელ ქვეყნებთანაც. ვფიქრობ, სამხრეთ კავკასიასთან უფრო ახლო, უკეთესი ურთიერთობები შეიძლება გვქონდეს. ევროკავშირში უკეთესი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ თქვენზე. დარწმუნებული ვარ, ფინეთში თბილი მოგონებები თქვენს ქვეყანაზე ჯერ კიდევ ცოცხალია.

ვეცდები, ჩემი ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ უკეთესად გაგიცნონ ევროკავშირში და, პირიქით, თქვენც მეტი გაიგოთ, ზოგადად, ევროკავშირისა და, კერძოდ, ფინეთის შესახებ. გეცოდინებათ, რომ ჩრდილოეთში არსებობს არცთუ დიდი, მაგრამ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მტკიცე დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი სახელმწიფო. ჩვენ საკმაოდ უსაფრთხო და ეფექტური ქვეყანა ვართ და ბევრ რამეში შეგვიძლია დახმარება. რასაკვირველია, ჩვენი კომპანიები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, სად დააბანდონ ფული. ზოგიერთი უკვე მონაწილეობს ქართულ ეკონომიკაში. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ საკმაო გამოცდილება გვაქვს ტელეკომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის (შვედურ-ფინური ტელეკომუნიკაციების კომპანია "ტელია სონერა" კომპანია "ჯეოსელი"-ს ერთ-ერთი მსხვილი აქციონერია - ნ.თ.).

**- დღემდე აშკარად შესამჩნევი იყო, რომ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიას, თითქმის, ყოველთვის ერთიან, მონოლითურ რეგიონად განიხილავდა. ასევე მოხდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების დროსაც - ევროპულ ინიციატივაში სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ერთდროულად, ერთნაირი ხარისხით აღმოჩნდა ჩართული; არადა, რეგიონის ქვეყნებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ორი მათგანი კი, საერთოდ, კონფლიქტშია ერთმანეთთან. იქნებ დადგა დრო, შეცვალოს ევროპამ თავისი მიდგომა სამხრეთი კავკასიის მიმართ და თითოეული ქვეყნის მისამართით განსხვავებული პოლიტიკა შეიმუშავოს.**

- ვფიქრობ, პირველი ვიქნები, ვინც ამგვარ პოზიციას დააფიქსირებს. ცხადია, განსხვავებულები ხართ - სამხრეთ კავკასიაში ყველას საკუთარი სახე აქვს. თუმცა, ეს მიდგომა წარსულის მსგავს გამოცდილებას ემყარებოდა. ანალოგიური მომენტი იყო ბალტიისპირეთის გაწევრიანების შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი ბალტიისპირეთის ქვეყნებზე საუბრისას ცალ-ცალკე მეხსენებინა ესტონეთი, ლიტვა და ლატვია, ძალიან ბევრი ლაპარაკობდა ზოგადად ბალტიისპირეთზე. გაფართოების დროს ჩვენთვის უმთავრესი იყო, ყველასთან ერთნაირი დემოკრატიული მიდგომა გვქონოდა. თუმცა, მხოლოდ თითოეულის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე იყო დამოკიდებული, შეუერთდებოდა თუ არა ევროკავშირს.

ამჟამადაც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წამოწყებისას, თითქმის, იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ამიტომაა ერთნაირი მიდგომა. მაგრამ, თქვენ თქვენივე ქცევით, იმედებით უნდა გადაწყვიტოთ, რა ფორმით და რა ფარგლებში გსურთ ევროკავშირთან თანამშორმლობა. დასამალი არ არის, რომ როდესაც რაიმე უარყოფითი ან დადებითი ხდება რეგიონის ერთ-ერთ ქვეყანაში, ამას ჩვენთან სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებად აღიქვამენ. ეს ფაქტია, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. თუმცა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ცალკე განვიხილოთ თითოეული ქვეყანა. თქვენ განსხვავებულები ხართ. მაგრამ, როცა ევროკავშირი სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში კარგ ურთიერთობებს დაამყარებს თქვენს სახელმწიფოებთან, იმედი გვაქვს, რომ ერთმანეთთან თავადაც კარგი ურთიერთობები გექნებათ.

**- საქართველომ მკაფიოდ გამოთქვა სურვილი, შეუერთდეს ევროკავშირს. როგორი იქნება ევროკავშირის პოზიცია ამ მხრივ? როგორ ფიქრობთ, კარგი იქნება ეს ჩვენთვის თუ - ცუდი?**

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირი არ არის "სანატორიუმი". ევროკავშირი არის ძალიან ღია, თანამშრომლობისთვის მოწოდებული ქვეყნების გაერთიანება, რომლის შიგნით ძალიან მკაცრი კონკურენცია არსებობს.

ჩვენ ვცდილობთ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ყველა ეტაპი ურთიერთსასარგებლო იყოს. ზოგჯერ ევროკავშირის წევრობა მეტი სარგებლის მიღების გარანტია სულაც არ არის. მაგალითად, ვიდრე ფინეთი ევროკავშირს შეუერთდებოდა, ჩვენს შორის ძალიან კარგი, ახლო ურთიერთობები იყო. ჩვენ ვსარგებლობდით თავისუფალი ვაჭრობის უფლებით. ბარიერები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ხოლო შემდეგ, როცა ევროკავშირის წევრი გავხდით, ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში. როგორც იცით, ევროკავშირს საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა აქვს. ასე რომ, ჩვენი მაგალითიც ცხადყოფს - ევროკავშირის წევრობით მხოლოდ სარგებელს ვერ მიიღებ. ევროკავშირის წევრობა პასუხისმგებლობასაც გაკისრებს. სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ, გულდასმით შეისწავლოთ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შეთავაზებული წინადადებები. შემდეგ გადაწყვეტთ, კიდევ უფრო გააღრმავოთ ინტეგრაციის პროცესი თუ არა.

**- თქვენი აზრით, რა შეიცვალა ფინეთში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. რა მიიღო თქვენმა ქვეყანამ ევროკავშირიდან და რა იყო ყველაზე დიდი მსხვერპლი, რისი გაღებაც მოუწია?**

- ვფიქრობ, რომ ყველა ქვეყანას მოუხდა რაღაცის დათმობა. ფინეთი იყო არცთუ ძალიან მდიდარი, მაგრამ საკმაოდ შეძლებული ქვეყანა. ასე რომ, ჩვენ თავიდანვე "გადამხდელთა" შორის აღმოვჩნდით. დღეს ჩვენ უფრო მეტს ვიხდით ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში, ვიდრე იქიდან ვიღებთ. სარგებელი კი, ალბათ, საერთო ბაზარი და 25 წევრიანი "ოჯახის" წევრობის შეგრძნებაა. ასევე უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გარემოს დაცვა და ა.შ.

მე, მაგალითად, თქვენ ადგილას რომ ვიყო, კარგად დავაკვირდებოდი არსებულ ვითარებას და იმ შესაძლებლოებს, რომელსაც ევროპის სამეზობლო პოლიტიკა იძლევა. შემდეგ კი ვეცდებოდი, ეს ყველაფერი კარგად გამომეყენებინა. აუცილებელია დაკვირვება, რადგანაც ხალხს დრო სჭირდება. ვფიქრობ, ქართველებისთვის უმთავრესია, უფრო უსაფრთხო, მდიდარ, დემოკრატიულ გარემოში ცხოვრება. ეს ყველაფერი კი თქვენი ხელისუფლების, თქვენი პარლამენტის, თქვენი მეწარმეების გასაკეთებელია. ჩვენ ვეცდებით, კარგი მეგობრები და პარტნიორები ვიყოთ, მაგრამ ყველაფერი ძირითადად მაინც თქვენზეა დამოკიდებული. ძალიან მაინტერესებს, საკუთარი თვალით ვიხილო, რას წარმოადგენს დღეს საქართველო.

**- თქვენ ევროპის სამეზობლო პოლიტიკას შეეხეთ. ხანდახან მეზობლებთან, განსაკუთრებით, დიდ მეზობლებთან თანასწორი ურთიერთობა ძალიან რთულია. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა რაიმე სახის კავშირებში ყოფნა, რათა თავი უსაფრთხოდ იგრძნო?**

- ჩვენ ყოველთვის ჩვენზე დიდი მეზობლები გვყავდა. მხოლოდ ესტონეთია ჩვენზე პატარა. თუ ისტორიას გადავხედავთ, საბჭოთა კავშირი ძალიან დიდი მეზობელი იყო. მართალია, ყოველთვის ვცდილობდით, თანასწორი ურთიერთობები გვქონოდა მეზობლებთან, მაგრამ, ამასთანავე, ვაცნობიერებდით არსებულ სიტუაციას. დღეს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს, მათ შორის პატარას, შეუძლია თავად აირჩიოს საკუთარი უსაფრთხოების სისტემა. მაგრამ ეს, თავისთავად გულისხმობს, რომ სხვას არ უნდა შეუქმნა საფრთხე. ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობა, ამავდროულად, ნატოს წევრიცაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატო პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე აკეთებდა აქცენტს. დღეს ევროკავშირის მხოლოდ ოთხი წევრი (შვედეთი, ფინეთი, ავსტრია და ირლანდია) არ არის ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ბლოკში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნეიტრალურნი არიან. მაგალითად, ჩვენ არ ვართ ნეიტრალური ქვეყანა. ჩვენ ვართ ევროკავშირის წევრი. სრულად ვმონაწილეობთ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში. მაგრამ ევროკავშირი არ წარმოადგენს სამხედრო გაერთიანებას. მისი მიზანი მხოლოდ საერთო პოლიტიკის შემუშავებაა ამ სფეროში. ცხადია, ჩვენ გვყავს სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც კრიზისების დარეგულირებისთვის გამოიყენება. თანამედროვე საზოგადოებისთვის უსაფრთხოებას გაცილებით ფართო გაგება აქვს, ვიდრე მარტო სამხედრო უსაფრთხოებაში გულისხმობს. თუ ევროკავშირის უსაფრთხოებას შევხედავთ, ის გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა უმუშევრობა, საერთაშორისო უსაფრთხოება და გარემოს დაცვა. რეგიონში ჩვენ საერთო პასუხისმგებლობა გვაკისრია მშვიდობის შენარჩუნებაზე. მაგალითად, ბალკანეთში ყველა ერთად ვცდილობთ კონფლიქტების დარეგულირებას. მაგრამ ერაყში მხოლოდ რამდენიმე ჩვენგანს ჰყავს სამხედრო ძალები. ჩვენ არ გვყავს. აქედან გამომდინარე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკაშიც არსებობს განსხვავებები.

**- თქვენს ქვეყანას თითქმის ყოველთვის საკმაოდ რთული ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან. ხომ ვერ გვეტყვით, რა შეიცვალა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ? გრძნობთ თუ არა თავს უფრო მეტად დაცულად?**

- წარსულში, რასაკვირველია, გვქონდა რთული ურთიერთობები. ჩვენს ისტორიაში საკმაოდ ხშირი იყო ომები. შვედეთსა და რუსეთს შორის ომის დროს, ფინეთი შვედეთის სამეფოს ნაწილი იყო. 1809 წლის შემდეგ ფინეთი დიდი საჰერცოგოს ავტონომიური სტატუსით შეუერთდა რუსეთს. ხოლო სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ 1917 წელს მივიღეთ. მას შემდეგ კიდევ ორი ომი გადავიტანეთ რუსეთთან, მეორე მსოფლიო ომის წინ და თავად მეორე მსოფლიო ომი. საბედნიეროდ, უკვე 60 წელია, ჩვენ შორის მშვიდობა სუფევს. დღეს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული პრობლემები მხოლოდ პრაქტიკული ხასიათისაა. საზღვარს ყოველ წელს ექვს მილიონზე მეტი ადამიანი კვეთს. ეს ევროკავშირში ყველაზე აქტიური და დინამიური საზღვარია. იმედისმომცემია, რომ რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ღრმავდება. ასევე სწრაფად იზრდება თანამშრომლობა ფინეთსა და რუსეთს შორის. დღეს უკვე ვერავინ იტყვის - რუსეთსა და ფინეთს შორის ურთიერთობები რთული ხასიათისააო. რასაკვირველია, არსებობს ყოველდღიური, ნორმალური პრობლემები. თქვენ მკითხეთ რუსეთთან ურთიერთობებზე ევროკავშირში გაწევრიანებამდე და შემდეგ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ რუსეთი არასოდეს ყოფილა ჩვენი ევროკავშირში შესვლის წინააღმდეგი. მართალია, ჩვენ არც არასოდეს გვიკითხავს მათთვის ამის შესახებ.

შემიძლია გითხრათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ჩვენ უფრო საინტერესო პარტნიორები გავხდით რუსეთისთვის. მათთვის ხომ ევროკავშირს კარიბჭესაც წარმოვადგენდით. დღეს, ცოტა სხვაგვარი ვითარებაა. რუსეთს ჩვენს გარდა ევროკავშირის კიდევ რამდენიმე წევრი ესაზღვრება. გარდა ამისა, დღეს რუსეთს უფრო მჭიდრო ურთიერთობები აქვს ევროკავშირთან.

ასე რომ, მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო რუსეთსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო ურთიერთობების, თქვენ მაინც მოგიწევთ ამაზე დათანხმება. პირიქით, უნდა ეცადოთ, გააძლიეროთ და უფრო დინამიური გახადოთ კავშირები ორივე მხარესთან. სხვათა შორის, ეს კარგი იქნება თქვენთვისაც და მათთვისაც.

ნოდარ ლადარია

# მომავალ ორშაბათამდე!



არსებობს ფრაზები, რომლებიც თავიანთ თავში იუმორის ცოცხალ მუხტს შეიცავენ ისე, რომ მთქმელი ამის აინუნშიც არაა. მაგრამ სწორედ მთქმელი — უფრო ზუსტად კი მისი პიროვნება ქმნის ვითარებას, როცა მისი სიტყვების გამგონეს ან წამკითხველს დაუძლეველი ხარხარის შეტევა მოუვლის. აი, ასეთი ფრაზის ერთ-ერთი მაგალითი: **"ეს ხელისუფლება მხოლოდ სოფლელებს მოსწონთ"**. მაინც რაშია ამ გამონათქვამის იუმორი? ვერა ხვდებით? — ეს სიტყვები ტელეკომპანია "202"-ის ეთერში **ზვიად ძიძიგურმა** წარმოთქვა.

შეიმაგრეთ თავი? — ახლა კი უფრო სერიოზულ საქმეებს მივხედოთ, რადგან მსგავსი მაგალითები ხანდახან ისეთი ვითარებაში გვხვდება, რომ ხარხარის შეტევა კი არა, გონიერ კაცს, როგორც ოდესლაც იტყოდნენ, ორი აგური მოენატრება. მაგალითი იხილე ქვემოთ: **"მთავარი ის არ არის, რომ თქვენ გაქვთ ახალი ფორმები, მთავარი ის არ არის, რომ გყავთ ახალი მანქანები, მთავარი ის არ არის, რომ გაქვთ მაღალი ხელფასები, მთავარია, რომ თქვენი სახით, საქართველოს ჰყავს სრულიად ახალი პოლიცია, რომლითაც ამაყობს ჩვენი საზოგადოება და ასე იქნება 100 წლის შემდეგაც"** (მადლობა პატრულს! — 19 სექტემბერი). ეს წინადადება წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** მაშინ, როცა საპატრულო პოლიციას ერთი წლის იუბილე მიულოცა. რა თქმა უნდა, დაბადების დღე ისეთი გარემოებაა, როცა ჭკუის სწავლება და სერიოზული სახე, ცოტა არ იყოს, უადგილოა, მაგრამ არც მთლად "იუმორინად" უნდა ვაქციოთ ღონისძიება, მით უმეტეს, რომ სერიოზულ კაცს მხიარულება და კმაყოფილებაც შესაბამისი უნდა ახასიათებდეს. მაინც რა ვნახეთ პრეზიდენტის სიტყვებში მიუტევებლად ჭკუამხიარული?

მაშ ასე, წინადადება არაორაზროვნად გვახვედრებს, რომ საპატრულო პოლიციის მუშაკებს აქვთ ახალი ფორმები, ახალი მანქანები და მაღალი ხელფასები. მაგრამ რატომ არ არის ეს მთავარი? — ბევრი მიზეზის გამო. თუნდაც იმიტომ, რომ ექსტრემალურ პირობებში ქვეყანას თავისი მოქალაქეებისაგან, კერძოდ, პოლიციელებისაგან შეიძლება უანგარო დახმარებაც დასჭირდეს. მაგრამ არა, სულ სხვა რამეს გულისხმობს ბ-ნი პრეზიდენტი: ფორმები, მანქანები და ხელფასები აქვთ საპატრულო პოლიციის მუშაკებს. მაგრამ რა მდგომარეობაში არიან ისინი, ვისაც პოლიციელები ჰქვიათ, მაგრამ პატრულში არ მუშაობენ? იქნებ მათ პირდაპირ ვუწოდოთ სააკაშვილის გერები? რატომ აკლია ასე კატასტროფულად პერსონალი სამძებრო პოლიციას? რატომ დაიკარგა მცირე და საშუალო დანაშაულზე ზემოქმედების ეფექტური მეთოდები, რომლებიც პოლიციის რეორგანიზაციას გადააყოლეს? რატომ? რატომ? რატომ? საქმეში უფრო ჩახედული ადამიანი კიდევ მრავალ შეკითხვას დასვამს, დასვამს, მაგრამ მათ გამოსაქვეყნებლად ერთადერთი გზა დარჩება, აი, ერთ ზღაპარში რომაა აღწერილი — უნდა ამოთხარო ულრან ტყეში ორმო, შიგ ჩასძახო საიდუმლო და ელოდო, როდის ამოვა ორმოში ლერწამი, როდის იპოვის მას მწყემსი, გამოთლის მისგან სალამურს და როდის დაიწყებს ეს სალამური შენი საიდუმლოს საქვეყნოდ სიმღერას... ამას რამდენი ხანი დასჭირდება? — აკი გაიგონეთ, ასი წელიო...

მანამდე კი? მანამდე "კურიერის" 6-საათიანი გამოშვების შემდეგ მივაჩერდეთ "ვიდეო-პატრულს" და დავიწყოთ მკითხაობა, რამდენი ისეთი უნდა იყოს ტყეში ამოთხრილი ორმოს იმედზე, ვინც დროზე ვერ დარეკა "022"-ზე, ვისაც ცუდი ოპერატორი შეხვდა, ვისაც გულმა ვერ მოუთმინა, ნახევარ საათში მეორეჯერ დარეკა და მხოლოდ მაშინ უთხრეს, კარგს იზამ, თუ ამ ნომერზეც სცდიო. მათ შესახებ ცნობები არ მოეპოვება არც საქართველოს პრეზიდენტს, არც ელექტრონულ თუ სხვა რამ მედიას. რა ვუყოთ, მოკრძალებულია ჩვენი ხალხი. მოკრძალებული და მიმნდობი.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



აი, მაგალითად, ორიოდე კვირის წინ "რუსთავი 2-მა" ზარზეიმით გვაუწყა, რომ **"პუბლიცისტ ლადარიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის საქმე გახსნილია!"** (ცნობისათვის: ოთხიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ეჭვმიტანილია დაკავებული, ხოლო ჩემი ბინიდან გატაცებული არც ერთი ნივთი ჯერ არაა ნაპოვნი). მაგრამ "რუსთავი 2" განაგრძობს "მაუწყებლობას": 'ლადარიას ოჯახიდან გაიტანეს კომპიუტერი, სამოცდაათი ლარი და მობილური ტელეფონი". თავს არ შეგაწყენთ გატაცებული ნივთების ნუსხით, არც ის მინდოდა მაინცდამაინც, სრულიად საქართველოს ყურადღება ამგვარ რამეებზე დაკავებულიყო, მაგრამ ალმოჩნდა, რომ საქმე მეტად მნიშვნელოვან ფენომენთან გვქონია: მართალია, 70 ლარი ჩემი ოჯახიდან წაიღეს, მაგრამ რა ვუყოთ იმ 120 თუ 130 ლარს, რომელშიც ის 70 იყო "გახვეული"? — აბა, ასეთ წვრილმანზე ხომ გამარჯვებული ხალხის ტელევიზია არ დაიწყებს ფიქრს! ან იმ ერთ მობილურ ტელეფონთან ერთად გატაცებული კიდევ ორი მობილური ტელეფონი? — დარწმუნებული ვარ, ჩემი კოლეგები იმაზე ზრუნავდნენ, ვინმეს სპეტაკი და მიამიტი დეპუტატის დამშანტაჟებელი მედია-არწივი არ ვგონებოდი. ამიტომაც დააკლეს. სულაც ნურაფერს იტყოდნენ, განა მეწყინებოდა! **ფრიდრიხ ნიცშესი** არ იყოს, ის კი არ მადარდებს, რომ მომატყუე, არამედ ის, რომ აწი ველარ დაგიჯერებ...

ეს კიდევ არაფერი, მე დიდი მოთხოვნები არა მაქვს. მაგრამ უყურადღებობა და დაუდევრობა, რაც ბოროტი განზრახვის საუკეთესო ნიღაბია, შეიძლება ისეთ მოვლენებსაც შეეხოს, რომელთა მნიშვნელობა ბევრად სცილდება ერთი ცალკეული ოჯახის კეთილდღეობას... აი, მაგალითად, "24 საათის" 21 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ერთი ფოტო ცხინვალში გამართული აღლუმიდან აქ "მარჯუენით მამისა", უკაცრავად, კოკოითისა, ვხედავთ ერთ მზისგან (არა სინდისისგან) შეწუხებულ მიტროპოლიტს. ვინ არის ეს კაცი? მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბრიფინგზე გაისმა რაღაც მინიშნება ვილაც რუს სასულიერო პირებზე. მედია კი დუმს. მედიას ეს არ აინტერესებს. მედია არხეინადაა.

პირველად არ გვიწევს გარჯა, ჰოდა, ახლაც გავიხსენოთ ძველი შესაძლებლობები. მაშ ასე, პიროვნება: მოსკოვის საპატრიარქოს სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის ეპარქიის ეპისკოპოსი თეოფანე აშურკოვი წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეო განყოფილების გამგის მოადგილედ და ერთი მეტად საჩოთირო თანამდებობა ეკავა: პასუხისმგებელი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებაზე ევროპასა და მსოფლიოში. ასეთი თანამდებობის პირს კი არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა პარალელური ხელდასხმა ლუბიანკას (გასაგებ ენაზე, სუკის) სინოდში — თუ არ გჯერათ, ბიძიას ჰკითხეთ, ოღონდ ის არ მკითხოთ, რომელ ბიძიას. კიდევ ერთი საინტერესო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული უსამღვდელოეს აშურკოვს: გარდაცვლილი ეპისკოპოსებისა და ბერ-მონაზვნების ქონება უნდა აღეწერა და დაებინავებინა. თურმე, რაც მოეწონებოდა... არა, არაფერს ვაბრალებ, მხოლოდ ერთი რამ მინდა გავიხსენო რუსი სემინარისტების ტრადიციიდან — მათი შესრულებით ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეს მეექვსე თავის მეშვიდე მუხლი ოდნავ უფრო გრძელი იყო ხოლმე: **"არარაი შემოვიღეთ სოფლად, ჩანს, რამეთუ არცა განღებად რაის ხელგუეწიფების, რამეთუ არცა მღვიძარება დააკლდის თუალთა აშურკოვისასა არცა სიხარბე ხელთა მისთა"**.

აი, ეს ყმაწვილი იფარავს ომოფორს სამხრეებიან მუნდირზე და იმაზე ტირის, ვაი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსები როგორ გაყოფილნი არიან ერთმანეთისგანო.

მედია სდუმს. ამას შევურიგდით. მაგრამ ჩვენი მშობლიური საპატრიარქო? ჰმ, იმასაც დუმილს ვაბრალებდით, თურმე წერილი არ დაუწერიათ! და არა მარტო დაუწერიათ, არამედ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი მეორისთვის გაუგზავნიათ. წერილი მერე "ნეზავისიმაია გაზეტას" ჟურნალისტებმა წაიკითხეს და ოდნავ გაკვირვებულნი დარჩნენ: **"ილია მეორე თავის წერილში თითქმის სრულიად არ გამოყოფს ერთმანეთისგან საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ინტერესებს"**. დახე, კაცო, ჟურნალისტები უძახე და ის კი იციან, რომ ეს ინტერესები ერთმანეთისგან გამოყოფილი უნდა იყოს. აბა, ჩვენებს ჰკითხეთ! — არა, არ ვხუმრობ, დააწყვეთ რიგზე ჩვენი ჟურნალისტები, თუ გნებავთ, პოლიტიკოსებიც მიაყოლეთ და ჰკითხეთ, რაზეა აქ ლაპარაკი. არა, არა, გონებრივ შესაძლებლობებს არ ეხება საქმე, უბრალოდ, რაღაც-რაღაცეები უნდა იცოდეთ, თუნდაც მანამდე, სანამ **გიგა ბოკერიას** დაუწყებდეთ პირდაპირ ეთერში კამათს მარტო საკუთარი ენამახვილობის იმედით. მერე არ უნდა გწყინდეთ, თუ თავში ჩაგირაკუნებენ — ვიცნობ მე მაგას, არ მოერიდება...

ჰო, რას ვამბობდი? — უნდა ვიცოდეთ-მეთქი რაღაც-რაღაცეები. ამ არცოდნის გამო, ჩვენს პრესაში წერილის შემდეგი ამონარიდი გამოქვეყნდა: **"ერთმორწმუნე ერები და ძმური მართლმადიდებლური ეკლესიები ვალდებულნი არიან შეძლებისამებრ გააკეთონ ყველაფერი, რათა აღდგეს ნდობა და მეგობრული ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოთა შორის"**. ვერც ახლა გაიგეთ, რას გულისხმობენ რუსი ჟურნალისტები? — წერილი დაწერილია სახელმწიფო ჩინოვნიკის ენით. შეიძლება ამოვიღოთ ტექსტიდან სიტყვები "ძმური მართლმადიდებლური ეკლესიები" და შინაარსი არ შეიცვლება! თანაც "შეძლებისამებრო" — მაინცდამაინც თავს ნუ შეიწუხებთო, არ გაგვიბრაზდეთო, თორემ, ხომ იცით აქაურების ამბავი... მარამ ერთი ის მოგვახსენონ წერილის ავტორებმა: რა საფუძველზე უნდა იყოს აღდგენილი "ნდობა და მეგობრული ურთიერთობა"? გამოდის, რომ ეს მეგობრული ურთიერთობა რაღაც უზენაესი მიზანი ყოფილა — და ეს მაშინ, როცა სახარებაში წერია: **"უკუეთუ კრებულისაიცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი"** (მათე, 18,17) და ამას ვინმე კი არ ამბობს, არამედ იესო ქრისტე. მაგრამ, როგორც ეტყობა, იესო ქრისტე აღარაა ჩვენი პატრონი — ჩვენი პატრონი სხვაგან ზის, სახელდობრ იქ, საიდანაც 1992 წელს უკრაინაში ორი ეშელონი გააგზავნეს...

მაგრამ ნუ ავჩქარდებით: როდესაც უკრაინამ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მიიღო, მაშინვე გამოცხადდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. და სწორედ მაშინ გამოგზავნეს მოსკოვიდან საგანგებოდ წვერმოშვებული და კაბით შემოსილი "კეგებეშნიკების" ორი ეშელონი უკრაინის მთავარი სიწმინდის, კიევ-პეჩორის ლავრის დასაპყრობად. იქ დასვა ლუბიანკამ თავისი მიტროპოლიტი **ვლადიმერ საბოდანი**. ახლა კი ყურადღებით: 21-23 ოქტომბერს ხელახლა გათავისუფლებული უკრაინელი ხალხი ისევ ცდილობს მოსკოვის დიქტატისაგან თავის დაღწევას და აღნიშნავს ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქის, **ფილარეტ დენისენკოს** ინტრონიზაციის მეათე წლისთავს. ამ საერთო სახალხო ზეიმზე საქართველოს ძმური ეკლესია არ იქნება წარმოდგენილი. როგორც გავიგეთ, მისი დელეგაცია სხვაგან მიემართება. გამოიცანით, სად! — მართალია, მოსკოვის მორჩილ მღვდელმთავართან, ვლადიმერ საბოდანთან. 1995 წელს, რომში, მეორე მარტინის შემდეგ, მისი ერთი ყოვლადუსამღვდელოესი ადიუტანტი, გვარად **სვისტუნი** იმას მიყვებოდა, როგორ უყვარდა ლამაზი გოგო, ლიდა, მაგრამ სამშობლომ მოუწოდა და თავზე კუნკული დაიხურა. ნეტა, ალბათ ისიც იქნება შეხვედრაზე და ჩვენს სულიერ დელეგატებს რას მოუყვება მაშინ?

ეჰ, ჩექმიწმენდია ეპისკოპოსის სატრფო იქით იყოს, და ჩვენ სხვა ვიკითხოთ: თუ ჩვენს სამღვდელოებას ასე სწყურია საეკლესიო და პოლიტიკური საქმეებისა და ინტერესების შერწყმა, რატომ უდგას კრიჭაში საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს? იმის მაგიერ, რომ რადიკალური საეკლესიო ზომები გამოიყენოს რუსეთის საპატრიარქოს მიმართ, რატომ უგორებს კოჭს და რატომ ახარჯავს თავის საერთაშორისო ავტორიტეტს უკრაინაში რუსეთის დამპყრობლური მიზნების შესრულებას?

ამაზე მრავალი პასუხი შეიძლება მოვიფიქროთ. მაგრამ არის ერთი — ყველაზე მნიშვნელოვანი. სანამ მოგახსენებდეთ, "24 საათის" ერთი პუბლიკაციის შესახებ მოგითხრობთ: **თამარ მაისურაძე**, *ცოდვის შვილები* — 23 სექტემბერი. თბილისის ერთ-ერთ უბანში ადამიანები 1930-იან წლებში გაუქმებულ ყოფილ საეკლესიო შენობაში ცხოვრობენ. ტაძარმა შეიფარა ხალხი, ისე, როგორც იფარებდა დევნილებსა და გაჭირვებულებს საუკუნეთა განმავლობაში: ორი საათით, სამი დღით, სამოცი წლით — რა მნიშვნელობა აქვს მარადიული ღმერთისთვის? და აი, ყოფილი ტაძრის ნივთიერმა ბუნებამ ვერ გაუძლო, დაძველება დაეტყო და ადამიანებმაც უკეთესი მოისურვეს. ამიტომ დაიწყეს რაღაც მისტიკური ამბების შეთხზვა, თითქოს ღმერთი სჯის მათ, ვინც თვითონ შეიფარა. რა ვუყოთ, ადამიანები არიან.

ამ საბაბით საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, **ზურაბ ცხოვრებაძე** ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამგვარ თეოლოგიას ავითარებს: **"იქ მოსახლეობის რამდენიმე თაობა შეიცვალა და ბუნებრივია, რომ ამ საკმაოდ მძიმე ცოდვამ თავისი ანარეკლი თითოეული ოჯახის ცხოვრებაზე ჰპოვა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ტაძარში ცხოვრება უმძიმესი ცოდვაა... დრო გადის და ეს ცოდვა მთელ ერს აწვება, რადგან ერი ვერ უზრუნველყოფს, რომ ტაძრის შეურაცხყოფა შეჩერდეს"**.

თეოლოგიურ წიაღსვლებს არ მოვყვები, ისედაც სულ მთლად რომელიმე "კარიბჭეს" ან "ქაროზს" არ დავამსგავსო "24 საათი". მხოლოდ ზოგადი ხასიათის რამდენიმე დასკვნას შემოგთავაზებთ:

1) საქართველოში ადამიანს იმედი არა აქვს, რომ მის კანონიერ მოთხოვნას ვინმე ყურად იღებს, თუ რაიმე მისტიკური არ მოიგონა.

2) საკუთარი მოსახლეობის დაშინება უსაფუძვლო ზღაპრებით გაცილებით უფრო ადვილი და სასურველი გამოსავალია, ვიდრე გარეგან არაკეთილმოსურნეთათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

და ბოლოს მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც პასუხადაც გამოდგება ოდნავ ზემოთ დასმულ შეკითხვაზე:

3) ღვთაება, რომელსაც ზურაბ ცხოვრებაძე და მის თანა მყოფელნი ქადაგებენ, იესო ქრისტეზე მეტად რატომღაც წარმართთა ქვესკნელის ღმერთებს ჰგავს: მათ შესახებ არავინ იცის, მათი ქურუმები ყველას სძულს, მაგრამ მათთვის მიძღვნილ ადგილებში შებიჯება ყველას ეშინია, ემანდ არაფერი დამემართოსო...




# საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ქალაქ ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლექტორთა შესარჩევ კონკურსს

1. სახელმწიფო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კურსის ლექტორებს მოეთხოვებათ:

უმაღლესი განათლება;

პედაგოგიური გამოცდილება და/ან არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის საკითხებზე.

სასურველია უცხო ენების ცოდნა.

2. ქართული ენის ლექტორებს მოეთხოვებათ:

უმაღლესი განათლება ფილოლოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით;

პედაგოგიური გამოცდილება შესაბამის სფეროში.

ლექტორმა უნდა გადასცეს მასალა მსმენელებს უახლესი მეთოდების გამოყენებით. ლექტორს ევალება კონკრეტული საკითხების სწავლება დარგის ექსპერტთა მიერ შექმნილი კურიკულუმის მიხედვით. სასწავლო პროცესის დაწყების წინ ლექტორებს ჩაუტარდებათ ტრენინგი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგინეთ შემდეგი საბუთები:

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ავტობიოგრაფია;

- სამოტივაციო წერილი;

დახასიათება აკადემიური წრეებიდან და სამუშაო ადგილიდან;

- დამატებითი კვალიფიკაციის (ტრენინგები, გადასამზადებელი კურსები) დამადასტურებელი დოკუმენტები.

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 8 ოქტომბერი,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო,
დ. უზნაძის 52, თბილისი, 0102, საქართველო

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ნატო ფანჩულიძეს, ოთახი 119, ტელ: 95 99 12; ელ-ფოსტა: **nato@mes.gov.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**გაზეთ "24 საათის" 18 აგვისტოს 188-ე ნომერში გამოქვეყნდა ტენდერი გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში ღია სასროლეთის აშენების შესახებ. მსურველთა და შესაბამისად დოკუმენტაციის არარსებობის გამო განმეორებით ვაცხადებთ აღნიშნულ ტენდერს.**

**1.**გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ.გარდაბანი, დ. აღმაშნებლის ქ.N73, ინდ.1300 აცხადებს ღია ტენდერს გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში ღია სასროლეთის აშენების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის ქ.N73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არააქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 ფიზიკური და იურდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკასიო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის, ტენდერში მონაწილე პრეტედენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ.303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემო მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე; ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ.N73, 9-დან 17 საათამდე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-24-46

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სალიების ქუჩის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი (5200 $მ^2$), ტროტუარის საფარი (700 მ2).

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 ნოემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 ოქტომბრის 12 საათიდან 12 ოქტომბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ლიცენზიას (ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

*5*. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

*6.* სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 17 ოქტომბრის 12 საათიდან 18 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე -საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების წესი.**

**სერტიფიცირება ხორციელდება გამოცდის გზით, გამოცდა - ტესტური მეთოდით.**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებას.**

**მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

**- განცხადება გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე);**

**- საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (ატესტატის ან დიპლომის ასლი);**

**- ავტობიოგრაფია;**

**- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.**

**საბუთები მიიღება 2005 წლის 26 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე გარდა შაბათ - კვირისა, 11-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14 საათამდე. შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი #29. პირველი სართული.**

**გამოცდა იწყება 5 ნოემბერს.**

**გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს გამოცდა დაყოს ეტაპებად, რის შესახებაც გეცნობებათ დამატებით.**

**საგამოცდო ფურცელი გაიცემა 31 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.**

**გამოცდაზე დასწრების მსურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები აკრედიტაციისათვის უნდა დაგვიკავშირდნენ 26 ოქტომბრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:**

**ტელ: 987005; 987010; 988342:**

**დებულება „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ" და საგამოცდო ტესტები იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე: www.cec.gov.ge.**

**შენიშვნა: პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში, შემოიტანენ მხოლოდ განცხადებას.**

**ტესტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულის თაობაზე 28 ოქტომბრამდე.**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2005 წლის 1 ოქტომბერს ჩასატარებელი შუალედური და ხელახალი არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენებს ამზადებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ხახანაშვილის ქუჩა 37.**

**საარჩევნო ბიულეტენების დამზადებაზე პასუხისმგებელი პირია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი.**

# ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წლის 22 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1) გაზეთ "24 საათში"-ში 2005 წლის 1 ივლისს N147-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის 79-ე კმ-ზე მდ. ცივზე ახალი სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა ს.ს. "ორიონი".

2) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 16 ივლისის N160-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ციხისძირი-ახალგორის ს/გზის კმ9-კმ16 მონაკვეთის (ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ობა გეორგია".

3) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 16 ივლისის N160-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილი, ხონი-მათხოჯი-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ6-კმ10 მონაკვეთის(ლოტი-2) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ობა გეორგია".

4) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 21 ივლისის N164-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილი, ხონი-მათხოჯი-მარტვილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ11-კმ15 მონაკვეთის(ლოტი-3) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ობა გეორგია".

5) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 5 აგვისტოს N177 გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ვანი-სულორის ს/გზის კმ1 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ლატექსი".

6) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 24 აგვისტოს N190 გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა, საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის ს/გზის , ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა-სარკინიგზო გადასასვლელის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს." N7 საგზაო სამმართველო"

7) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 24 აგვისტოს N182 გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა, ორ ლოტად დაყოფილ ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპის შესყიდვას:

ლოტი-1 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის კმ1-კმ30 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი;

ლოტი-2 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის კმ45-კმ50, კმ55-კმ61, კმ68(0.85), კმ69, კმ70, კმ74(0.28), კმ75-კმ81, კმ82(0.82), კმ83(0.27), კმ84, კმ85, კმ86((0.5) მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი;

გამარჯვებულად მეორე ლოტზე გამოცხადდა შ.პ.ს. "არქეოპოლისი"

8) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 21 ივლისს N164 გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა, ციხისძირი-ახალგორის ს/გზის კმ1-კმ8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გზამშენი-4".

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვებისას, ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 41-ე კმ-ში მდ. ქსანზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელის რეგულაციის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "გზამშენ-4"-თან.

2) ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის ს/გზის 131-ე კმ-ზე და 133-ე კმ-ზე, სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "მცხეთის ხიდების სამშენებლო სარემონტო სამმართველოსთან".

3) ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის ს/გზის 105-ე კმ-ზე სოფელ შარდომეთში სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი გზის აღდგენითი და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს." მცხეთის ხიდების სამშენებლო სარემონტო სამმართველოსთან".

4) ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის ს/გზის 128-ე კმ-ზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი და მდ. რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს." მცხეთის ხიდების სამშენებლო სარემონტო სამმართველოსთან".

5) დუშეთის რ-ში, სოფ. შალაანთან დამაკავშირებელი, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის, სოფ. დოლასქედთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი ხიდის, სოფ. დგნალში სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი ხიდის აღდგენითი სამუშაოების და სოფ. კაწალხევთან ოთხკუთხა რკ. ბეტონის მილის 4X2.5მ მოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ვანტთან".

*სატენდერო კომისია.*

# მწვრთნელების შესარჩევი კონკურსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში აცხადებს **მწვრთნელების შესარჩევ კონკურსს** ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლების მასწავლებელთათვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების განვითარებისთვის ბაზისური კურსის ჩასატარებლად.

**ვაკანტური ადგილები:**
პირველ ეტაპზე შეირჩევიან მწვრთნელები საქართველოს რვა ქალაქიდან: თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ოზურგეთი (მწვრთნელების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივ კადრებს).

ტრენინგების დაწყებამდე შერჩეული კანდიდატები გაივლიან სპეციალურ მომზადების კურსს.

**ძირითადი მოვალეობები:**
პროექტის ფარგლებში მწვრთნელი იმუშავებს შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად:
- ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

ჩატარებული ტრენინგების ანალიზი და შეფასება;
- კვლევების ჩატარება (დაკვირვება, ინტერვიუ) და რეკომენდაციების შემუშავება სატრენინგო პროგრამისა და სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით (საჭიროებისდა მიხედვით);

სატრენინგო მასალების შემდგომი სრულყოფა და განვითარება;
- ფონდ „ირმის ნახტომში" გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება;
2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნა, მათი აქტიურად გამოყენების და სხვებისთვის გადაცემის უნარი;
3. სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
4. ტრენინგების ჩატარების გამოცდილება;
5. სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების განვითარებული ხედვა.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:**
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი:
- პროფესიული ავტობიოგრაფია (CV);

სამოტივაციო წერილი;
- შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ან ნაშრომები:

განაცხადის ფორმის მიღება შეგიძლიათ პროგრამა "ირმის ნახტომის" ვებ-გვერდიდან: www.dlf.ge (საბუთები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფორმით). საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 სექტემბერი, 17 საათი.

**მისამართი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდი "ირმის ნახტომი", დ.უზნაძის ქ. N52, თბილისი 0102, საქართველო, ოთახი 324.**
**ტელ: (995 32) 95 62 94. ელექტრონული ფოსტა: info@dlf.ge**
**საკონტაქტო პირი: რუსუდან ზურაბაშვილი**

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **დუშეთის რ-ნის სოფ. ბარისახოს სკოლა ინტერნატის შენობის რემონტი** საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **ბარისახოს** საკრებულოს სათემო კავშირთან **"ბარისახო-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბარისახო-2005"**, იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
**საქართველო, დუშეთის რაიონი,**
**ბარისახოს საკრებულო სოფ. ბარისახოს სკოლა ინტერნატის შენობაში.**
საკონტაქტო პირი **ბათირა არაბული**, სათემო კავშირი **"ბარისახო-2005"**-ს თავმჯდომარე.
**2005** წლის **27** 09 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, დუშეთის რაიონი,**
**სოფ. ბარისახო სკოლა ინტერნატის შენობა.**

საკონტაქტო პირი **ბათირა არაბული**, სათემო კავშირი **"ბარისახო-2005"**-ს თავმჯდომარე.
**2005 წლის 21 10 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს 1:00 საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**"ვამტკიცებ"**
**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრის მოადგილე**
**თ. სამადაშვილი**

**1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91**

------------------------------------------------------------ ,
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და რეკვიზიტები)
აცხადებს **ღია** ტენდერს ------------------------------------------
(ღია, დახურულ )
**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამის "ირმის ნახტომის" დაფინანსების ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად**
------------------------------------------------------------------------
(შესასყიდი მომსახურების მოკლე აღწერა)
და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. ა)**

| ლოტი N | | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | კომპიუტერი | 640 ც. |
| | 1.2 | უწყვეტი კვების წყარო | 640 ც |
| 2 | | პორტატული კომპიუტერი | 16 ც |
| 3 | 3.1 | მონაცემთა პროექტორი | 34 ც |
| | 3.2 | პრინტერი | 2 ც. |
| | 3.3 | ასლგადამღები | 1 ც. |
| | 3.4 | სკანერი | 1 ც |
| 4 | 4.1 | კომუტატორი | 6 ც. |
| | 4.2 | "ვაიფაი-აქსეს-ფოინთი" | 6 ც. |

ბ) ტექნიკა მოწოდებული და დამონტაჟებული უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დანიშნულების ადგილზე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სკოლებში (ინფორმაცია მიწოდების ადგილის შესახებ მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში დამატებით).
------------------------------------------------------------------------
(სავალდებულო ან სასურველი)

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (1 - დედანი, 2 - ასლი), **10.10.05.** დან **14.10.05.** მდე შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222**

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია **(ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);**
**ბ)** ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (**ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან**);
გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის; **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან)**

**4.2** ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა; **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით)**
ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის; (**ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან)**

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის გაკოტრების ან სანაციის საქმე; **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს რეგისტრაციის შესახებ.
დ) შესყიდვის ობიექტზე შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი (ICO სერთიფიკატი).
ე) წესდება და დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ნოტარიულად დამოწმებული).

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის **19.10.05-დან 26.10.05-მდე** შეეძლებათ მისამართზე:
**ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91**, **ოთახი N222**

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე, მისამართზე: **ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**
ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. www mes. gov.ge.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: თეიმურაზ სამადაშვილი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს საერთაშორისო ღია ორეტაპიან ტენდერს თბილისის ქუჩების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 37 პოზიციად (ლოტებად): 1. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო ფეიქრების ქუჩიდან ჩოლოყაშვილის ქუჩამდე 2. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო ბელიაშვილის ქუჩიდან ვეფხი და მოყმემდე 3. გელოვანის გამზირი 4. თბილისი-აეროპორტის ტრასის I და IV გზები 5. დ. აღმაშენებლის გამზირი 6. ჩიქობავას ქუჩა. 7. ჩიტაიას ქუჩა. 7.თამარ მეფის გამზირი 8. ც. დადიანის გამზირი (ც. დადიანის გამზირის დასაწყისიდან ხუდადოვის ქუჩამდე) 9. ბელიაშვილის ქუჩა. 10. ლუბლიანას ქუჩა 11. გურამიშვილის გამზირი 12. სარაჯიშვილის გამზირი 13. ლიბაანის ქუჩა 14. ჩარგლის ქუჩა 15. მანჯგალაძის ქუჩა 16. მოსკოვის გამზირი (გამგეობიდან ავეჯის კომბინატამდე) 17. ჩოლოყაშვილის ქუჩა 18. ბ. ხმელნიცკის ქუჩა 19. ბაღდადის ქუჩა 20. ნავთლუღის ქუჩა 21. ირ. აბაშიძის ქუჩა 22. ფალიაშვილის ქუჩა 23. ყაზბეგის გამზირი 24. ქავთარაძის ქუჩა 25. გამსახურდიას გამზირი 26. საბურთალოს ქუჩა 27. გაგარინის მოედანი და ქუჩა 28. ბულაჩაურის ქუჩა 29. მოსაშვილის ქუჩა 30. ყიფშიძის ქუჩა 31. კუტუზოვის ქუჩა 32. ბახტრიონის ქუჩა 33. რუსთავის გზატკეცილი 34. გორგასლის ქ. (აბანოთუბნიდან ბაგრატიონის ძეგლამდე) 35.მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ავტოსადგურიდან გორგასლის ქუჩამდე) 36. გორგასლის ქუჩა სამშობიაროდან საპატრულო პოლიციამდე 37. თბილისში შემოსასვლელი ზემო ფონიჭალიდან რუსთავის გადასახვევამდე.

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

ქუჩების როგორც სავალი ნაწილის, ასევე მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, სანიაღვრე) რეაბილიტაციას.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის
31 დეკემბერი.

3. დაფინანსების წყარო: თბილისის ბიუჯეტი.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს 2005 წლის 11 ოქტომბრის 12 საათიდან 13 ოქტომბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**5.** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 **იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**6.2ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ლიცენზიას (ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში) საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

**6**. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

7.იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-11 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8**. საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპზე სატენდერო კომისია განიხილავს და აფასებს საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე (მეორე ეტაპზე წარმოდგენილ საბოლოო სატენდერო წინადადებაში ლოტის ღირებულება ნაჩვენები უნდა იყოს ცალ-ცალკე).

10. პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), ასევე ამ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

11. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

12. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

13. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა ეცნობებათ პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად.

14. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებულ იქნება პრეფერენციული შეღავათი 15% -ის ფარგლებში.

**15.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**16.** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

**17.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***** უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

*სატენდერო კომისია*

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

## კონკურსი გაიმართება ბათუმში 1 ოქტომბერს


21


24


25








26



ეკა ჭარიაშვილი N 21
ასაკი: 17 წლის
სიმაღლე: 174 სმ.
პარამეტრები: 90-63-93

- ჩავაბარე მენეჯმენტზე კავკასიის უნივერსიტეტში. ოთხი წელიწადია, ვმოდელობ.

**- როგორც გამოცდილი ამ საქმეში, რა არის ყველაზე მთავარი მოდელისთვის?**

- თავისუფლება. არ უნდა იყო დაკომპლექსებული. უნდა შეეგუო ხალხის თვალს.

**- ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ისეთივე ხარ, როგორც პოდიუმზე?**

- ცხორებაში ცოტა შეზღუდული ვარ. შემიძლია რაიმე გადავწყვიტო, მაგრამ მაინც მშობლების აზრს ვითვალისწინებ ყოველთვის.

**- კონკურსში რა მიზნით მიხვედი, გრან-პრისთვის?**

- უფრო ახალი მეგობრების შეძენა მინდოდა. მაინტერესებდა რა ხდებოდა კონკურსზე; ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხალხმა შემაფასოს.

**- შენი სპეციალობით რა ტიპის სამსახური გინდა?**

- მოდელების მენეჯერი. ეს სფერო ჩვენთან არ არის განვითარებული. ხალხის თვალიც არ არის შეჩვეული და იმდენი თავისუფლება არ აქვს მოდელს, რამდენიც დასავლეთში.

**- შენ, როგორც მათი მენეჯერი, სამომავლოდ, რას შეცვლიდი მოდელებთან ურთიერთობაში?**

- მაგაზე არ მიფიქრია... ალბათ მენეჯერებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ მოდელების დასპონსორება, მათი საზღვარგარეთ გაშვება.

ნინო ლომინაძე N 24
ასაკი: 18 წლის
სიმაღლე: 174 სმ.
პარამეტრები: 86-61-90

- ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ორი წელიწადია "იმიჯ ცენტრში" ვარ. მე და ჩემი დაქალი წამოვედით, კასტინგი გავიარეთ და აგვირჩიეს.

**- ყველაზე მეტად რა გიზიდავს მოდელის საქმიანობაში?**

- პოდიუმზე სიარული და ფოტოგადაღებების პროცესი. უფრო მაინც პოდიუმი მიზიდავს.

**- როგორ ფიქრობ, თავისუფალი ადამიანი ხარ?**

- ნაკლებად.

**- დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიგიღია?**

- ძალიან ბევრჯერ. ხანდახან სხვებსაც ვეკითხები, მაგრამ უფრო საკუთარ თავს ვანდობ საბოლოო სიტყვას. თუმცა ხშირად ვნანობ კიდეც.

**- რა გიყვარს ყველაზე მეტად?**

- მოგზაურობა.

**- საოჯახო საქმიანობაში რა გეხერხება?**

- ძალიან მიყვარს კერძების მომზადება. ოღონდ როდესაც მარტო ვარ, მაშინ ვამზადებ.

**- მნიშვნელოვანი წარუმატებლობა განგიცდია?**

- ჯერჯერობით არა და შეიძლება ახლა განვიცადო. წინასწარ მზად ვარ ყველაფრისთვის.

**ჰობი?**

- ცეკვა.




მაიკო კიკილაშვილი N 25
ასაკი: 24 წლის
სიმაღლე: 171 სმ.
პარამეტრები: 84-62-87

- ვარ სტუდენტი. ვსწავლობ ეკონომიურზე. ასევე ვმოდელობ ერთი წელიწადია ლიკა ყაზბეგის სააგენტოში.

**- სად იმუშავებ?**

- სურვილი მაქვს ბანკში ვიმუშაო. ისედაც დატვირთული ვარ ფიზიკურად და მინდა ასევე გავაგრძელო. არ მეზარება არაფერი.

**- ოჯახი?**

- ოჯახს პირველი ადგილი უჭირავს, შემდეგ - სამსახური.

**- არ გიფიქრია ოჯახის შექმნაზე?**

- კი, მაგრამ ისეთი გამოცდილება მაქვს მეგობრებისგან, თავს ვიკავებ ნაადრევად.

**- ფრთხილი ხარ?**

- საერთოდ კი. ხანდახან რისკიანიც. ხანდახან მომდის, რომ დაუფიქრებლად ვაკეთებ. მაგრამ ასეთ შემთხვევებში თითქმის არასდროს არაფერი გამომდის და მერე ვცდილობ მაგალითად ავიღო, მაგრამ მავიწყდება ხოლმე და იგივე მეორდება.

**- გადაწყვეტილების მიღებაში ვინ გეხმარება?**

- მყავს ერთი მეგობარი, რომელსაც ყოველთვის ვეუბნები და ვენდობი. და კიდევ - მეხმარება მამაჩემი.

**- მოდელობა რომ გადაწყვიტე, წინააღმდეგობა ხომ არ გქონია?**

- არა. საერთოდ, დიდი ხანია ვფიქრობდი, მაგრამ აქამდე ვერ მოვაბი თავი. ახლა გამიმართლა ყველაზე მეტად. ამ კონკურსზეც მინდოდა შარშან, მაგრამ მიზეზების გამო ვერ მივიღე მონაწილეობა. ასე რომ, ჩემი ერთ-ერთი სურვილი ავიხდინე.

**- რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად ამ კონკურსზე?**

- ხალხის გაცნობა, თავგადასავლები. ყოველდღიური რეჟიმი. დავდივართ სხვადასხვა საინტერესო ადგილში.

**- გამარჯვება არის მიზანი?**

- მიზანი არის, ხალხმა შემაფასოს. მარტო მეგობრების შეფასება არ მაკმაყოფილებს.

მარიკა ლილუაშვილი N 26
ასაკი: 23 წლის
სიმაღლე: 172 სმ.
პარამეტრები: 90-58-90

- დავამთავრე სახელწმიფო უნივერსიტეტი, ვარ ფსიქოლოგი. ძალიან მიხარია, რომ კონკურსზე მოვხვდი. სამოდელო საქმიანობაში არც ისე გამოცდილი ვარ - მხოლოდ ერთ ჩვენებაში მაქვს მიღებული მონაწილეობა. მომეწონა პოდიუმი; კონკურსზე მოსვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდოდა საკუთარი თავი გამომეცადა: გავიმარჯვებდი თუ არა, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, მაინტერესებდა და ახლაც მაინტერესებს, ამის მერე რა იქნება.

**- ინტერესი ცოტა მაინც თუ დაიკმაყოფილე?**

- რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად მომწონს, რომ ყოველი საათი დაკავებული მაქვს, რეჟიმში ვარ, ვვარჯიშობ. ფიზიკური დატვირთვაც მომწონს ძალიან.

**- შენი სპეციალობით თუ გიმუშავია?**

- არასდროს, ისე ძალიან დიდი სურვილი მაქვს და ახლა ვაპირებ. თუმცა ჩემი პროფესია მეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი სპეციალობა მაქვს, კარგი არჩევანი გავაკეთე და ძალიან მიმართლებს ცხოვრებაში.

**- რას ვერ იტან?**

- არ მიყვარს უსამართლობა და მატყუარა ადამიანები.

**- მაგრამ, ალბათ მაინც ხშირად ხვდები შენთვის არასასიამოვნო გარემოში. როგორ უწევ წინააღმდეგობას?**

- წინააღმდეგობის გაწევა ნაკლებად შემიძლია. გული მტკივა. ხასიათს მიფუჭებს, თუმცა საზოგადოებაში არ გამოვხატავ. ამ დროს ვჯდები ფორტეპიანოსთან და ვუკრავ კლასიკას. ძალიან მიყვარს ბეთჰოვენი.

**- საკუთარ თავში იკეტები?**

- საერთოდ არ მიყვარს მარტოობა, მაგრამ ზოგჯერ მჭირდება საკუთარ თავში გასარკვევად.

ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია"**:
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**